პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

წელიწადი მეშვიდე

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდო მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმომწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

პარასკევი, 29 ივლისი 1927 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 170 (1915)

დ ღ ი უ რ ი

- შრომის საყოველთაო კონფედერაციის ყრილობა პარიზში.
- მდგომარეობა პორტუგალიაში.
- კომუნისტების დევნა უნგრეთში.
- მუშების სასტიკი დევნა ავსტრიაში.
- ნანკინის ჯარები უკან იხევენ.
- საქ. კომპარტიის ცეკას დადგენილება პარტმუშაკების განაწილების შესახებ.
- დამთავრდა ს. კ. პ. (ბ) ც. ს. კ. პლენუმი.

„კომუნისტი"
მიიღება ხელის მოწერა
აგვისტოსათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

კვირას, 31 ივლისს
კანტორა ღია იქნება
ხელის მოწერის მისაღებათ
დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე

ბაუერის აღსარება

ჩვენ არ შეგვიძლია გვერდი აუაროთ ავსტრიის პარლამენტის გახსნას და მასზე წარმოთქმულ სიტყვებს. პარლამენტმა განსაკუთრებულ პირობებში განაახლა თავისი „მუშაობა". ეს ეს არის ვენაში ადგილი ჰქონდა მუშების გრანდიოზულ აჯანყებას, რომელმაც კინაღამ წალეკა ბურჟუაზიული წყობილება თავისი პარლამენტით და სხვა ატრიბუტებით. ვენის ქუჩებში მუშების დაღვრილი სისხლი ჯერ არც კია გამშრალი. ასეთ დროს გასაგებია, რომ პარლამენტი გარშემორტყმული იყო თოფებით შეიარაღებულ პოლიციელთა რაზმებით და შიგნითაც ის სავსე იყო „წესრიგის" დამცველებით. „უზენაესი სახალხო წარმომადგენლობაც" ასეთი უნდა! იმდენად დაშორებულია ის ხალხის მასას და მისდამი დაპირდაპირებული, რომ მასში გაბატონებულ ბურჟუაზიას და მის ლაქიას — სოციალ-დემოკრატიას პოლიციელთა ხიშტების საშუალებით უხდებათ ყოველგვარ „არასასიამოვნო" მოვლენისაგან თავის დაფარვა. თუმცა ამ ხიშტებმა თავისი საქმე ამ ხანად უკვე შეასრულეს, აჯანყება სისხლში ჩაახჩვეს, მაგრამ მაინც ცხადია, რომ მუშების ნებისყოფა სრულიად არ არის გატეხილი. ეს ზეიპელებს და ბაუერებს კარგად ესმით და „სიფრთხილეს თავი არა სტკივა"-ს ტაქტიკის გატარებას უკარნახებს მათ.

პრემიერმა ზეიპელმა პარლამენტის პირველ სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვაში აღიარა, რომ ვენის ამბები იყო „მეტი, ვინემ დემონსტრაცია". ამ დახასიათებაში ჩვენ მას ვეთანხმებით. სოციალ-დემოკრატებმა რაც არ უნდა დასწამონ ცილი ავსტრიის პროლეტარიატს, რომ ის რევოლიუციონურად არ არის განწყობილი, რაც არ უნდა ეცადონ ისინი ბურჟუაზიისაგან „პოლიტიკური კეთილსაიმედობის მოწმობის" მიცემას მუშათა კლასისათვის, — ცხადია, რომ ვენის ამბებმა გამოაშკარავა ის რევოლიუციონური ენერგია, რომელიც დაგროვილია ავსტრიის მასებში. მართალია, აჯანყებას სტიქიური ხასიათი ჰქონდა, ნათლად არ ყოფილა ჩამოყალიბებული მისი კლასობრივი მიზნები, მაგრამ მაინც უდავოა, რომ ვენის მუშების გამოსვლა, ეს აღშფოთება იყო ბურჟუაზიის რეჟიმის წინააღმდეგ და ეს აღშფოთება, მოქმედებათ გაშლილი, უაღრესად რევოლიუციონური ხასიათისა იყო. ჩვენ ვიცით, რომ ზეიპელს ვენის ამბების ასეთი შეფასება ესაჭიროება იმიტომ, რომ გაამართლოს მუშების ველური ხოცვა-ჟლეტა, რის მოწმენი ვიყავით, და ის რეპრესიები, რომლებსაც ფაშისტური რეაქცია შემდეგშიც მიმართავს მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ. მაგრამ მხოლოდ ისეთ მოღალატეებს და ფილისტერებს, როგორც ბაუერებია, თუ ჰგონიათ, რომ ზეიპელები კრავებად იქცევიან და მუშებს თავზე ხელს მოუსვამენ, თუ ვიტყვით, რომ უკანასკნელთ თითქო აზრადაც არ მოსდიოდეთ რევოლიუციონურ ბრძოლის წარმოება. ეს იქნებოდა ავსტრიის პროლეტარიატის შეურაცხყოფა და ამავე დროს მისი კლასობრივი შეგნების დაბნელების ცდა. ამით ჩვენ მნიშვნელობას დაუკარგავდით ვენის ამბებს, რომლებიც გამოსავალი წერტილი უნდა გახდენ შემდგომი რევოლიუციონური ბრძოლებისათვის.

შემდეგ ზეიპელმა მოწოდებით მიმართა სოციალ-დემოკრატებს, რათა ისინი „დარჩენ დემოკრატიულ ოპოზიციად და არ დაიცვან აჯანყებულნი". ეს მოწოდება, რა თქმა უნდა, სრულებით ზედმეტია. ავსტრიის სოციალ-დემოკრატიამ ნათელყო, რომ ის მხოლოდ თამაშობს უწყინარი ოპოზიციით და იმავე დროს საქმით ემსახურება ბურჟუაზიას მუშებზე თავის ბატონობის განმტკიცებაში. რაც შეეხება „აჯანყებულთა დაცვას", ამისაგან ბაუერები „ღმერთმა დაიფაროს". პირიქით, აჯანყებას ისინი თვლიან უპასუხისმგებლო ელემენტების საქმედ, რომელთაც სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს. მენშევიკების მიერ აჯანყებულთა „დაცვა" იმაში გამოიხატა, რომ მათ დასახვრეტად ზეიცებმა თავისი სოციალ-დემოკრატიული რაზმები მიაშველეს პოლიციას.

თუ რამე ეჭვი ჰქონდათ ზეიპელს სოციალ-დემოკრატიის „არაკეთილ-საიმედობაზე", ეს ეჭვი სავსებით გაფანტა ბაუერმა თავის გამოსვლით. მან პირველ ყოვლისა გაიხსენა თავისი წარსული დამსახურება ბურჟუაზიის წინაშე.— „1918—19 წლებში სოციალ-დემოკრატებმა მოსახლეობას სინდისისა და კეთილგონიერებისადმი მიმართვით შეძლეს შეეკავებიათ იგი უაზრო გამოსვლებისაგან"-ო, — უტიფრად განაცხადა მან. ეს ის წლები იყო, როცა მსოფლიო ომის გათავების შემდეგ ყველგან ბეწვზე ეკიდა ბურჟუაზიის ბატონობის ბედი და პროლეტარიატი მზად იყო ძალა-უფლების დაპყრობისათვის საბრძოლველად. სწორედ ასეთ მომენტში ბაუერებმა ხელი გაუწოდეს ბურჟუაზიას და იხსნეს ის დაღუპვისაგან. ბაუერი აგრძელებს თავის დამსახურებათა სიას ბურჟუაზიის წინაშე. „შატენდორფის ფაშისტურ მკვლელობების დროს (ფაშისტების მიერ მუშების მოკვლის დროს) სოციალ-დემოკრატებმა, მიუხედავად მასების განწყობილებისა, დააწყნარეს მათი აღშფოთება და დაუფლენ მდგომარეობას"-ო, ამბობს ბაუერი. ამგვარად, ის საჯაროდ აღიარებს თავის გამცემლობას, იმას, რომ სოციალ-დემოკრატია დაეუფლა რევოლიუციონურ მოძრაობას იმ მიზნით, რომ იგი ჩაეფუშა.

შემდეგ ბაუერი „აკრიტიკებს" პოლიციის „ანტი-მორალურ" მოქმედებას, „უდიდესი უბედურება იყო ის, რომ პოლიცია დაიბნა. მხოლოდ სოციალ-დემოკრატები იყვენ თავის ადგილზე". „შუცბუნდ"-მა მოაწყო მთავრობის შენობების დაცვა, ის აქრობდა ხანძარს და წინააღმდეგობას უწევდა არეულობას", —მოგვითხრობს თავის გამცემლობაზე მეორე ინტერნაციონალის „მემარცხენე" ფრთის ბელადი. კაცმა ყოველი ზომა უნდა დაკარგოს, რომ ასე შორს წავიდეს თავის მოღალატეობის აღიარებაში. ჯერ ვიკითხოთ, ვინაა მართალი პოლიციის შეფასებაში — ზეიპელი თუ ბაუერი; პირველი ამბობს: „ყველა პოლიციელებმა, განურჩევლად პარტიული მიმართულებისა, შეასრულეს თავისი ვალი"-ო. პოლიცია აჯანყების პირველ საათებში დაიბნა, მაგრამ შემდეგ მან პირნათლად შეასრულა თავისი „მოვალეობა", ე. ი. სასტიკად გაუსწორდა აჯანყებულთ. უნდა ვიცოდეთ, რომ ვენის პოლიციის საგრძნობ ნაწილს სოციალ-დემოკრატები შეადგენენ. ამასთან, პოლიციამ მუშებს ტყვიები დაუშინა ვენის ქალაქის თავის, სოც.-დემოკრატ ზეიცის განკარგულებით. ასე რომ, რამდენადაც საქმე აჯანყების ჩაქრობას ეხება, სოციალ-დემოკრატების მეთაურობით პოლიციამ თავისი „დანიშნულება" შეასრულა, ხოლო თუ პირველად ის რამდენიმედ დაიბნა, ეს „დანაკლისი" შეავსო „შუცბუნდ"-მა (სოციალ-დემოკრატების შეიარაღებულმა რაზმმა), რომელმაც წრეგადასული ერთგულება გამოიჩინა მუშების დახვრეტაში და მთავრობის დაწესებულებათა დაცვაში.

ბაუერი ბოლოს ასკვნის: „მე არასოდეს ისე არ ვამაყობდი სოციალ-დემოკრატიის სახელით, როგორც ორშაბათ ღამეს, როდესაც სოციალ-დემოკრატებმა უარი სთქვეს გაფიცვაზე". მოღალატეობის სრული სურათი მოცემულია. და ყველაფერ ამას ბაუერი აღიარებს არა თავისი ცოდვების მონანიების მიზნით, რა თქმა უნდა, არამედ მას თავი მოაქვს ამით.

გამცემელი სოციალ-დემოკრატიის სახე სავსებით გარკვეულია. ამის შემდეგ „ადამიანური სამართლიანობა" მოითხოვდა, რომ ზეიპელს ბაუერი მთავრობაში შეეყვანა და რაიმე უმნიშვნელო სამინისტრო პორტფელი მაინც დაეთმო მისთვის. ამაზე იგი დიდი ხანია ვაჭრობს. თავისი პოზიციით აჯანყებაში ხომ საუცხოვოდ დაამტკიცა მან თავისი ერთგულება ბურჟუაზიისადმი. მაგრამ, როგორც ეტყობა, ზეიპელი „სასტიკი" კაცია და მას ბაუერის დამსახურება კიდევ არ მიაჩნია საკმარისად, რომ სამინისტრო სავარძელი შესთავაზოს მის მაძიებელს. და ამიტომაა, რომ ბაუერმა შეიტანა წინადადება მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ. გასაოცარია! ასეთი „რევოლიუციონური" ნაბიჯი ოდნავადაც არ გამომდინარეობს ყველაფერ იმიდან, რაც ზევით იყო ნათქვამი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს „ჟესტი" ვერვის შეიყვანს შეცდომაში. მუშები კარგად გაერკვევიან ბაუერების მოღალატურ როლში აჯანყების დროს და აქედან შესაფერ დასკვნას გამოიყვანენ. აჯანყების დროს, როცა ბაუერი დამშვიდებისაკენ მოუწოდებდა მუშებს, უკანასკნელებმა რამოდენიმე მუჯლუგუნი აგემეს მას და მის კოლეგებს. არც ისე შორსაა ის დრო, როცა მუშათა კლასი უფრო ღირსეულად გაუსწორდება ბურჟუაზიის ამ ლაქიებს.

მდგომარეობა ჩინეთში

ჩინეთის რევოლიუციის მსვლელობაში სამხედრო მოქმედებას თითქმის უმთავრესი ადგილი უჭირავს. ეს არის ერთნაირი ბარომეტრი, რომელიც პირდაპირ გვიჩვენებს რევოლიუციის ტალღების ადიდებას, ანდა დაცხრომას.

ჩინეთის რევოლიუციის სირთულე უმთავრესად აიხსნება იმით, რომ ამ რევოლიუციაში ორი პარალელურად მიმდინარე პროცესი, ეროვნულ განმანთავისუფლებელი მოძრაობა და ჩინეთის მასების რევოლიუციონური ბრძოლა იმდენად მჭიდროთ არიან ერთი მეორესთან გადაბმული, რომ მათი გაყოფა ყოვლად შეუძლებელია.

ეროვნულ მოძრაობის განვითარება ყოვლად შეუძლებელია გარეშე რევოლიუციონური პროცესის განვითარებისა. ტრაგედია ჩინეთის ბურჟუაზიისა, რომელსაც მეთაურობს ნანკინის მთავრობა და დიქტატორი ჩან-კაი-ში სწორედ იმაში გამოიხატება, რომ ეს უკანასკნელი რევოლიუციას გამოეთიშა, მის მტრად გარდაიქცა და იმავე დროს ლამობდა ეროვნულ განმანთავისუფლებელ მოძრაობის სათავეში დარჩენას და ამ ბრძოლის განვითარებას. მაგრამ ჩინეთის სინამდვილემ მალე აშკარად ჰყო ამის შეუძლებლობა და ჩინეთის ბურჟუაზია იძულებული გახდა ჩან-ძო-ლინისაკენ წასულიყო. ამის ფაქტიური გამოსახულებაა ჩან-კაი-შის ჩან-ძო-ლინთან მოლაპარაკება. ამ მოლაპარაკებაში ჩან-კაი-ში და ნანკინის მთავრობა ცდილობენ ნასახი მაინც შეინარჩუნონ ეროვნული დროშისა, მაგრამ ჩან-ძო-ლინი, რომელიც უკეთ გრძნობს ჩინეთის ბურჟუაზიის ტრაგიკულ მდგომარეობას, რასაკვირველია არავითარ დათმობაზე არ მიდის. იგი პირიქით ინგლისს ბრალსა, სდებს რომ უკანასკნელი თავის ჯარს არ ხმარობს და აქტიურად არ ერევა ჩინეთის საქმეში. ერთი სიტყვით ჩან-ძო-ლინი პირდაპირ მოითხოვს, რომ ჩინეთში ყველაფერი ძველ ყაიდაზე დარჩეს. ჩინეთის ბურჟუაზიას სხვა გამოსავალი არა აქვს და ალბად ბოლოს და ბოლოს ქედს მოიხრის ჩან-ძო-ლინის წინაშე.

ასეთია ჩინეთის ბურჟუაზიის მდგომარეობა და საზოგადოთ იმ ელემენტებისა, რომელთა ინტერესებს ამჟამად გამოხატავს გომინდანის მემარჯვენე ნაწილი და მისი ორგანო—ნანკინის მთავრობა. რა თქმა უნდა ჩან-ძო-ლინთან შეთანხმებას, რომელიც ნაკარნახევია უცხოელ იმპერიალისტების მიერ, შეიძლება სულ უმნიშვნელო დათმობანი მოჰყვეს იმპერიალისტების მხრით, მაგრამ თუ კი ასე დამთავრდა საქმე, გამოვა, რომ ჩინეთის ხალხმა ესოდენი მსხვერპლი შესწირა და მოგება კი სრულიად უმნიშვნელო მიიღო. საბაჟო პოლიტიკაში დათმობა რა თქმა უნდა ოდნავადაც ვერ აუნაზღაურებს ჩინეთის ხალხს ზარალს. ასეთი შედეგი, რასაკვირველია ვერ გადასწყვეტს ჩინეთის საკითხს და თვით ჩინეთის ბურჟუაზიასაც ვერ დააკმაყოფილებს. მაგრამ ვიმეორებთ, ჩინეთის ბურჟუაზია და მემარჯვენე გომინდანი ისეთ ჩიხში ჩავარდენ, რომ სხვა გამოსავალი არა აქვთ

თითქოს ამას გრძნობს და ხედავს გომინდანის მემარცხენე ნაწილი, რომლის გამომხატველია აწინდელი უხანის მთავრობა და იგი მზადაა იარაღით შეებრძოლოს ჩან-კაი-შის. იგი ცდილობს არ დაკარგოს ეროვნული დროშა და განაგრძოს ბრძოლა მილიტარისტების და იმპერიალისტების წინააღმდეგ. მაგრამ ამ თავისი წადილის განხორციელებისათვის იგი ფაქტიურად იმავე გზას მისდევს, რომელსაც თავის დროზე ჩან-კაი-ში და მემარჯვენე გომინდანი დაადგენ, რევოლიუციისაგან სრულ გათიშვას, რევოლიუციასთან ბრძოლას, აგრარულ მოძრაობის ჩაქრობას. ერთი სიტყვით უხანის მთავრობაც ისწრაფის იმავე ჩიხში ჩავარდნას, რომელშიც ჩავარდა ჩან-კაი-ში მემარჯვენე გომინდანთან ერთად. ასეთი არევ-დარევით აიხსნება ის თითქოს უცნაური ფაქტი, რომ ერთის მხრით ჩან-კაი-ში და მემარჯვენე გომინდანი მოლაპარაკებას აწარმოების ჩან-ძო-ლინთან და მეორეს მხრით ფინ-იუი-სიანი ცდილობს გააბას მოლაპარაკება და მოარიგოს ნანკინი უხანთან.

ასეთ გაურკვევლობას და არევ-დარევას, რასაკვირველია დიდი გავლენა აქვს სამხედრო მოქმედებაზე.

ჩან-კაი-ში ჯარებს გზავნის უხანის წინააღმდეგ და დეპეშების ცნობით უხანის და ჩან-კაი-შის ჯარები ლამის არის ერთმანეთს შეეჯახონ, მაგრამ ორივე მხარე მაინც რაღაცას აყოვნებს. მოლაპარაკება სწარმოებს ჩან-კაი-შისა და ჩან-ძო-ლინს შორის, მაგრამ უხანისაკენ ჯარების გაგზავნის გამო შესუსტებულ ჩან-კაი-შის მუკდენელები მაინც უტევენ და აწევინებენ უკან. ფინ-იუი-სიანი თითქოს აწარმოებს შეტევას პეკინისაკენ, მაგრამ მიდის კუს ნაბიჯით და დიდი ხნის განმავლობაში რაიმე თვალსაჩინო შედეგისათვის ვერ მიუღწევია.

უხანის მთავრობა „გაიწმინდა" კომუნისტებისაგან, მაგრამ ამით მისი მდგომარეობა რა თქმა უნდა ოდნავადაც არ გაუმჯობესდა. მაინც უხანში ქვეყნიერობა სამხედრო პირთა ხელშია, ე. ი. იმ ჯურის ხალხის ხელში, რომელიც უფრო ჩან-კაი-შის მომხრენი არიან, ვიდრე მემარცხენე გომინდანისა და ბოლოს და ბოლოს უხანის მთავრობა მემარცხენე გომინდანთან ერთად იძულებული იქნება მივიდეს ჩან-კაი-შისთან და შემდეგ მასთან ერთად ჩან-ძო-ლინთან. მაშინ ჩინეთში ერთი მეორეს დაუპირისპირდება ორი ძალა ჩინეთის რეაქპირისპირდება ორი ძალა—ჩინეთის რეაქცია და ჩინეთის რევოლიუცია.

თუ მოხდა ბრძოლა უხანის მთავრობის და ჩან-კაი-შის ჯარების შორის, რაიც ძნელი მოსალოდნელია, ეს ბრძოლა დაამთავრებს იმ დიდ პროცესს, რომელიც ხდება ამჟამად ჩინეთის რევოლიუციაში. ეს პროცესი მიიღებს ნორმალურ და ბუნებრივ მსვლელობას. ჩინეთის მთელი ბურჟუაზია და გომინდანი თავს მოიყრიან ჩინეთის რეაქციის საერთო ფრონტში, საბოლოოდ ჩამოშორდებიან როგორც რევოლიუციას, ისე ეროვნულ განთავისუფლების და რევოლიუციის, განმანთავისუფლებელ მოძრაობას და ჩინეთის ეროვნულ განთავისუფლების და რევოლიუციის ამ ორი განუყოფელ პროცესის საქმე მთლად გადავა ჩინეთის მუშების, გლეხების და წვრილ-ბურჟუაზიის ხელში. ჩინეთის ბურჟუაზიის და გომინდანის ასეთი ბედი სრულიად ჩამოაცლის მათ მთლად იმ პოპულიარობას და მორალურ პრესტიჟს, რომელსაც აქამდე ატარებდნენ. ეხლა მთავარი იმაშია, რომ ჩინეთის მშრომელ, რევოლიუციონურად განწყობილ მასებს შესაფერისი ხელმძღვანელობა გაუჩნდეს, რომელიც მაგრად ხელში აიღებს ჩინეთის რევოლიუციონურ და ეროვნულ დროშას, რომელიც სავსებით შეათანხმებს და შეაგუებს ამ ორ პროცესს.

ი. გედევანიშვილი.

ბრძოლა ნავთისათვის

(ჩვენი ლონდონელი კორესპონდენტისაგან)

დიდი ბრძოლა ნავთისთვის, რომელიც რამოდენიმე წლის განმავლობაში ორ ძლიერ კაპიტალისტურ ჯგუფს (ამერიკელ, სტანდარტ ოილსა" და ინგლისურ „როიალ დეტჩ"-ს) შორის სწარმოებდა, კიდევ უფრო გამწვავდა მას შემდეგ, რაც ბოლდუინის მთავრობამ ურთიერთობა შესწყვიტა საბჭოთა კავშირთან. ამერიკაში ნავთის წყაროების მარაგი თანდათან მცირდება. ყველა ექსპერტი ადასტურებს, რომ თუ შეერთებული შტატები ნავთის ახალ წყაროებს არ გამოძებნის, ათი წლის შემდეგ „სტანდარტ ოილი" დაჰკარგავს თავის უპირატესობას მსოფლიო ბაზარზე და ამერიკა იძულებული იქნება ნავთი შემოზიდოს თვით საკუთარი საჭიროების დასაკმაყოფილებლად.

ნავთის უდიდესი მარაგი დედამიწის ზურგზე კი საბჭოთა კავშირს აქვს. მისი წყაროების მარაგი სჭარბობს შეერთებული შტატების და მექსიკის მარაგს ერთად აღებულს. ამიტომ აღიზიანებს საბჭოთა კავშირი ნავთის მაძიებელთა მადას. „ბრიტანეთის ინდუსტრიათა ფედერაცია" აღნიშნავს, რომ „რუსეთი უძვირფასესი ჯილდოა, რომელიც შეიძლება კომერსანტების ქვეყანამ მიიღოს ამერიკის აღმოჩენის შემდეგ".

თითქოს მიწის ქვეშ ომი სწარმოებს „სტანდარტ ოილი"-ს და „როიალ დეტჩ"-ის ჯგუფებს შორის. ყოველთვის, როცა ერთ მათგანს ეჭვი შეეპარება, რომ მეორე მხარე საბჭოთა კავშირს უახლოვდება კონცესიების მისაღებათ, თავის დიპლომატიურ წარმომადგენლებს ამოძრავებს, რომ ჩაშალოს მოწინააღმდეგეს მიერ დაწყებული მოლაპარაკება. ერთა ლიგის კონფერენციაზე ნავთის საკითხი ყოველთვის პირველ ადგილზე იდგა და მის ირგვლივ დიდი ბრძოლა სწარმოებდა.

ამ შუღლმა არაფერი მისცა არც ერთს, არც მეორე ჯგუფს. უკანასკნელი ხნის განმავლობაში საბჭოთა მთავრობამ განავითარა თავისი ნავთის ექსპლოატაცია და სერიოზული კონკურენტის სახით გამოვიდა მსოფლიო ბაზარზე.

იმპერიალისტები ფიქრობენ, რომ ეს წინსვლა შეჩერებულ უნდა იქნეს ყოველი ძალღონით. სხვათა შორის ამით აიხსნება ის ციებ-ცხელება, რომელიც ეტყობა ევროპის ნავთის მრეწველთა, ფინანსისტთა და დიპლომატთა წრეებს. ამითვე აიხსნება იერიშების გაძლიერება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ

საქართველო, რომელიც ბაქოს ნავთის წყაროების გასაღებს წარმოადგენს, დღესაც პირდაპირი მუქარა მოელის, 1918 წლის მსგავსად. როცა ჟორდანიას დახმარებით გენერალ დენსტერვილმა ბაქოს და საქართველოს ოკუპაცია მოახდინა. ჩვენი რეფორმისტები—მუშათა პარტიის ბელადები მხარს უჭერენ ამ იმპერიალისტურ პოლიტიკას ნავთის დარგში, საქართველოში მოგზაურობის შემდეგ 1919 წელს მაკდონალდი სწერდა: „ინგლისის პოლიტიკა ახლობელ აღმოსავლეთში გეოგრაფიული პირობებით უნდა განისაზღვრებოდეს. ჩვენს ფორინ ოფის (საგარეო საქმეთა სამინისტროს), რომ ჭკუა ჰქონებოდა, უფრო აქტიურ როლს ითამაშებდა საქართველოში"-ო. მაკდონალდი ალბათ ფიქრობდა, რომ ასი მილიონი გირვანქა სტერლინგი, რომელიც ჩერჩილმა კონტრ-რევოლიუციონერებს მისცა იმ ხანებში საკმაო არ იყო აქტიური როლის შესასრულებლად.

ევროპიელი სოციალ-დემოკრატების პოლიტიკა უცვლელი დარჩა იმ მომენტიდან, როცა ისინი ტაშის ცემით მიესალმენ საქართველოს დაჭერას იმპერიალისტური ჯარების მიერ, რომელსაც თავიანთი მხრივ ქართველი მენშევიკები ხელგაშლილი შეხვდენ. უცხოეთში გადახვეწის შემდეგაც ეს უკანასკნელნი მე-2 ინტერნაციონალის დასტურით განუწყვეტლივ საიდუმლო მოლაპარაკებას აწარმოებენ ნავთის პატრონებთან. პარიზსა, ლონდონსა და ნიუ-იორკში ნავთის მესაკუთრეები მათ ფულს აძლევენ შეთქმულების მოსაწყობათ საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ.

„როიალ დეტჩ"-ის ჯგუფი ხედავდა, რომ მას არ ძალუძს მოატყუოს საბჭოთა მთავრობა და თავისი მოქიშპე—„სტანდარტ ოილის" დასამარცხებლად უკიდურესი ზომის მიღებაზე ოცნებობს: სახელდობრ ომზე, რომელმაც მას საბჭოთა კავშირის ნავთის წყაროების ბატონ-პატრონობა უნდა მისცეს. ამ იმპერიალისტურმა ჯგუფმა დაუჭირა მხარი ბოლდუინის მთავრობას, როცა მან ურთიერთობის გათიშვა გადასწყვიტა საბჭოთა კავშირთან. ის იძლევა ფინანსებს კამპანიის საწარმოებლად, ის ამზადებს სამხედრო თავდასხმას და ამ მიზნით იყენებს „ფორეინ ოფისის" დიპლომატიურ გავლენას.

კ. დავიდ.

ლონდონი, ივლისი.

საბჭოთა პრესა

სანიმუშო კოოპერატიული მუშაობა

„ბედნოტა" ამჟამად აწარმოებს სოფლის კოოპერაციის დათვალიერებას. მისი მიზანია კოოპერატიული მუშაობის საუკეთესო ნიმუშების, დადებითი მხარეების გამოაშკარავება. ამასთან დაკავშირებით ხსენებული გაზეთი სვამს საკითხს: რა თვისებით უნდა ხასიათდებოდეს კარგი კოოპერატივი და ამაზე შემდეგნაირად უპასუხებს:

„არა ის სამომხმარებლო კოოპერატივია სანიმუშო, რომელიც ატარებს კანონიერ დარიცხვას, ან კანონით მოთხოვნილ შეღავათებს, არამედ ის, რომელიც დამოუკიდებელ გზებს ეძებს ამ დარიცხვის შესამცირებლად და პოულობს ამ გზებს, მიუხედავად სიძნელეებისა.

არა ის სას.-სამ. ამხანაგობაა სანიმუშო, რომელიც თესლეულს და მანქანებს დაწესებული ფასით და დაწესებული ვადაში აწვდის სოფელს და ამით თავისი მოვალეობა მოხდილად მიაჩნია, — არამედ ის, რომელიც, გარდა ამისა, ფიქრობს იმაზე, თუ როგორ იქნას საუკეთესოდ გამოყენებული ეს თესლეული და მანქანები ამა თუ იმ მდგომარეობაში, ფიქრობს ისეთ პირობების შექმნაზე, როცა ეს მანქანები რაც შეიძლება მეტ სარგებლობას მოგვცემენ და მეურნეობათა რაც შეიძლება მეტ რიცხვს შეაკავშირებენ. არა ის სას.-სამ. კოოპერატივია სანიმუშო, რომელიც პროდუქტებს ყიდულობს და შემდეგ ასაღებს კანონიერ ფასებში და მწარმოებლებისათვის კანონიერ დამატების მიცემით, არამედ ის, რომელიც ცდილობს ამ პროდუქტების შემოსავლიანობის გადიდებას, გავლენის მოხდენას წარმოებაზე, მის კულტურულ გაუმჯობესებაზე და სხ. არა ის კოოპერატივია სანიმუშო, რომელმაც ფორმალურად გამოყო ღარიბთა ფონდი და ამით დაკმაყოფილდა, არამედ ის, რომელმაც შესძლო თავის რიგებში ღარიბ გლეხების გაერთიანება ნამდვილ სამეურნეო საფუძველზე.

შეიძლებოდა ასეთი მაგალითების გაგრძელება. რაზე მეტყველებენ ისინი? ისეთ მუშაობაზე, რომელიც ხასიათდება არა მოჩვენებითი, არამედ ნამდვილი დაახლოვებით მასებთან, ნამდვილი კოოპერატიული საზოგადოებრიობით, ისეთ მუშაობაზე, რომელშიც განუწყვეტლივ სცემს ცოცხალი შემოქმედებითი ნაკადი".

ამგვარად, კოოპერატივის არსებობის აზრი მარტო ის კი არ არის, რომ მან ფორმალურად შეასრულოს ესა თუ ის დავალება, არამედ მას უნდა ახასიათებდეს მასებთან უშუალო კავშირი. ფართე კოოპერატიული საზოგადოებრიობა და შემოქმედებითი ინიციატივა. მხოლოდ ასეთ პირობებში ითამაშებს ის სოფლის სოციალისტური გარდამქმნელის როლს. ამ მიმართულებით თვალსაჩინო მიღწევები უეჭველად გვაქვს. ჩვენი საქმიანობა უნდა მივმართოთ მათი განმტკიცება - გაღრმავებისაკენ.

უხანის მთავრობა უარს ამბობს ჩან-კაი-შისთან შეთანხმებაზე

პროფკავშირების შენობების დარბევა უჩანში და ხანკოუში

ჩინეთის კომკავშირის ცეკას მოწოდება

უ-პეი-ფუს ჯარების საბოლოო განადგურება

ლატვიის გარეშე საქმეთა მინისტრი ლატვია-საბჭოთა ურთიერთობის შესახებ

ჩინეთის ხალხის ბრძოლა

ჩინეთის კომკავშირის ცეკას მოწოდება

ხანკოუ, 27 ივლისი. ჩინეთის კომკავშირის ცეკამ გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიაც ნათქვამია:

„უხანის მთავრობა გახდა კონტრ-რევოლიუციონური. პროფკავშირთა და სხვა ორგანიზაციების ბინები დაკავებულია ჯარების მიერ. რევოლიუციონური ორგანიზაციები, და პირველ რიგში კომპარტია, ჩადენილია ჰერ-ქვეშ. გომინდანის ცეკა და უხანის მთავრობა მორჩილად ასრულებენ გენერლების ბრძანებებს და გულმოდგინედ ეხმარებიან მათ. უხანი და ნანკინი ერთიანდებიან მთლიან კონტრ-რევოლიუციონურ ფრონტში. საჭიროა მილიტარისტების მთლიან ფრონტს დაუპირდაპირდეს ქალაქის და სოფლის ყველა მშრომელთა მთლიანი რევოლიუციონური ფრონტი კომპარტიის მეთაურობით, რომელიც ერთად-ერთი დარჩა რევოლიუციისა და გომინდანის რევოლიუციონურ დროშის ერთგული. ამ ბრძოლაში ახალგაზრდობა პირველ რიგებში უნდა იყოს". (ადს).

სუნ-იატ-სენის ქვრივის განცხადება

შანხაი, 27 ივლისი. სუნ-იატ-სენის ქვრივის სუნ-ცზინ-ლინის ჩასვლის გამო შანხაიში, უცხო გაზეთები აჰაღებენ კამპანიას და სცდილობენ გამტკიცებას, რომ სუნ-ცზინ-ლინი გამოეთიშა უხანს, უკანასკნელის რევოლიუციონური მიმართულებისა და საბჭოთა მრჩევლების პოლიტიკის გამო.

თავის პოზიციის შესახებ სუნ-ცზინ-ლინმა გამოაქვეყნა ყველა გაზეთებში განცხადება, რომელშიც სწერს:

„უხანიდან გამომგზავრების წინ ჩემს მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაში აღნიშნულია, რომ ჩემი გამოსვლა პარტიიდან გამოწვეულია სუნ-იატ-სენის პრინციპების დარღვევით. სუნ-იატ-სენის პრინციპებს გვერდს უხვევს და ამახინჯებს არა მთავრობის ეგრედ, წოდებული „წითელი ფრთა", არამედ ზოგიერთი მილიტარისტები, რომლებიც დროებით ბატონობენ უხანში. უხანში ბრძოლა სწარმოებდა არა „წითელ ფრთასა" და ზომიერებს შორის, არამედ სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფლებს შორის. სამხედრო ელემენტების ტრიუმფის გამო, მე ჩამოვშორდი უხანს".

შემდეგ სუნ-ცზინ-ლინი სრულ სოლიდარობას უცხადებს უხანის მთავრობის „წითელ ფრთას" და აცხადებს, რომ მხოლოდ მთავრობის ეს ნაწილი იცავდა და ატარებდა სუნ-იატ-სენის ძირითად პრინციპებს. (ადს).

ფინ-იუი-სიანის ბრძანება

შანხაი, 27 ივლისი. გოვენის სააგენტო ლოიანიდან იუწყება, რომ ფინ-იუი-სიანმა თავისი არმიის ჯარისკაცებს უბრძანა დაეხმარონ გლეხებს სასოფლო-სამეურნეო მუშაობაში და მეგობრულად მოეპყრან წითელ რაზმელებს.

ფინ-იუი-სიანის ორმაგი თამაში

პეკინი, 27 ივლისი. ტოხოს სააგენტოს ცნობით ფინ-იუი-სიანის პოზიცია ისევ გამოურკვეველი რჩება. ერთის მხრივ ფინ-იუი-სიანი ღებულობს ჩან-კაი-შისგან 50.000 დოლარს სამხედრო ხარჯებისათვის, მეორეს მხრივ კი, არ სწყვეტს კავშირს უხანის მთავრობასთანაც სიუჩენის საშუალებით.

სააგენტოს ცნობით, ფინ-იუი-სიანი უცდის ნანკინის და უხანის დაჯგუფებათა ძალების განვითარებას. ფინ-იუი-სიანის მთავარი ძალები დაბანაკებული არიან ლოიანის რაიონში. (ადს).

ამერიკელები პროტესტს აცხადებენ ბაჟების გადიდების წინააღმდეგ

შანხაი, 27 ივლისი. ამერიკის სავაჭრო კამპანიების წარმომადგენლებმა მიმართეს ამერიკის კონსულს პროტესტით იმის გამო, რომ ნანკინის მთავრობამ გაადიდა ბაჟები შემოზიდულ საქონელზე 50 პროცენტით. პროტესტში ნათქვამია, რომ ბაჟების გადიდება „უკანონოა" და არღვევს ჩინეთსა და ჩრდ.-ამერიკის შეერთ. შტატებს შორის არსებულ ხელშეკრულებას.

როგორც იტყობინებიან, ამერიკის კონსულის და ამერიკის სავაჭრო საზოგადოებათა წარმომადგენლების თათბირზე მიღებული იქნება რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს ჩრდ.-ამერიკის შეერთ. შტატების მთავრობის ჩარევას. რეზოლიუცია გადაეგზავნება ჩრ.-ამ. შეერთ. შტ. გარეშე საქმეთა სამინისტროს. დღემდე ამერიკის მხოლოდ ერთმა გემმა გადაიხადა გადიდებული ბაჟები.

საუბარი ტან-შენ-ჩისა და სუნ-ფოსთან

ხანკოუ, 27 ივლისი. „ხანკოუ ჰერალდი"-ს თანამშრომელთან საუბარში ტან-შენ-ჩიმ და სუნ-ფომ აღნიშნეს, რომ უხანი ვერ წავა დათმობაზე ჩან-კაი-შისთან. ამასთან ერთად, მათ განაცხადეს, რომ უხანმა საბოლოოდ გასწყვიტა კავშირი კომუნისტებთან.

სუნ-ფომ განაცხადა, რომ ნაციონალურმა (უხანის) მთავრობამ უკვე გასცა პასუხი ფინ-იუი-სიანს მის წინადადებაზე უხანისა და ნანკინის წარმომადგენლების შეხვედრის შესახებ კაიფინში. ნაციონალურმა (უხანის) მთავრობამ განაცხადა, რომ არ სურს მონაწილეობა მიიღოს რაიმე კონფერენციაში ნანკინთან იმ დრომდე, სანამ ნანკინის პოლიტიკას ჩან-კაი-ში ხელმძღვანელობს. იგივე აღნიშნა ტან-შენ-ჩიმაც.

„ჩან-კაი-ში, — განაცხადა მან — გადაიქცა ახალ მილიტარისტად, აწარმოებს სპეკულიაციას ნაციონალისტურ ლოზუნგებით და აცხადებს, რომ ის იბრძვის კომუნიზმის წინააღმდეგ. აუცილებელია მისი დამხობა, ხოლო კავშირი ფინ-იუი-სიანთან არ არის დღეგრძელი. სიუჩჟოუს კონფერენცია იყო სამწუხარო ფაქტი. ფინ-იუი-სიანი გომინდანის აღმასკომის უნებართვოდ გაემგზავრა ჩან-კაი-შისთან შესახვედრად".

დასასრულ ტან-შენ-ჩიმ მაინც განაცხადა, რომ მას საეჭვოდ მიაჩნია ფინ-იუი-სიანის საბოლოო ჩამოშორება ნაციონალური მთავრობისაგან და ჩან-კაი-შის მხარეზე გადასვლა. ამასთან ერთად ტან-შენ-ჩიმ გამოსთქვა აზრი, რომ ფინი დარჩება რევოლიუციის საქმის ერთგულად. (ადს).

ხანკოუ, 27 ივლისი. ტან-შენ-ჩიმ საუბარში განაცხადა, რომ „კომუნიზმი ვერ ითამაშებს მნიშვნელოვან როლს ჩინეთის რევოლიუციაში. კომუნისტები, თავისი კანონის გარდა, სხვა კანონებს არ სცნობენ. ამ მიზეზით ისინი მოკლებული იყვენ ძალაუფლებას, ხოლო გამოჩენილი კომუნისტი ლიდერები, მათ შორის ბოროდინიც, გაძევებულ იქნენ".

ტან-შენ-ჩიმ განაცხადა, რომ უხანი არ ფიქრობს ნანკინთან შეთანხმებას და ამიტომ ფინ-იუი-სიანის წინადადება მოლაპარაკების საწარმოებლად კაიფინში შეხვედრის შესახებ, უყურადღებოდ იქნება დატოვებული.

ტან-შენ-ჩიმ განაცხადა, რომ ის მზად არის გავიდეს ნანკინის წინააღმდეგ, რაწამსაც ბრძანებას მიიღებს უხანის მთავრობისაგან.

თავის განცხადებების მიხედვით ტან-შენ-ჩი პირდაპირ გასაოცარია, იმით, რომ მას ხუნანში სთვლიან კომუნისტების მომხრედ. სამხედრო ხელმძღვანელები ხუნანში აცხადებენ, რომ ტან-შენ ჩიმ დაკარგა ყოველგვარი ძალა და გავლენა. ჩანშაში ამტკიცებენ, რომ ხუნანის ჯარები ზურგიდან თავს დაესხმიან ჩან-ნან-ჩუის, თუ უკანასკნელი გაილაშქრებს ნანკინის წინააღმდეგ.

სუნ-ფოც, თავისი ინტერვიუში ატარებს რა იმავე ხაზს, აცხადებს, რომ უხანი არავითარი კონფერენციაზე არ წავა ნანკინთან იმ დრომდე, სანამ ნანკინის ჯარების სათავეში იქნება ჩან-კაი-ში, ამას აქ ხსნიან იმ აზრით, რომ სუნ-ფო დათანხმდება კონფერენციის მოწვევაზე ნანკინის მთავრობასთან, თუ, რასაკვირველია, ჩან-კაი-ში იქნება გაძევებული. (ადს).

უ-პეი-ფუს ბოლო

პეკინი, 27 ივლისი. გოვენის სააგენტოს ცნობით, სწარმოებს სამხედრო მასალების და მოწყობილობის გადაგზავნა პეკინიდან ბაოტინფუში. პეკინში ჩამოსულმა უ-პეი-ფუს ყოფილმა უახლოესმა თანაშემწემ განაცხადა, რომ უ-პეი-ფუს ჯარი საბოლოოდ დამარცხებულია. (ადს).

ვის ხელშია სიუჩჟოუ

შანხაი, 27 ივლისი. შანხაის ინგლისური პრესა დაჟინებით ამტკიცებს, რომ შანდუნის ჯარებმა აიღეს სიუჩჟოუ-ფუ, ცზიანსუს პროვინციის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში.

შემდეგ გაზეთები აქვეყნებენ თითქოს ხანკინიდან მიღებულ დეპეშას, რომ სიუჩჟოუ ჩრდილოელებმა აიღეს შაბათს, მაგრამ ნანკინის ჯარებმა შანდუნის ფრონტზე მოსულ ფინ-იუი-სიანის დახმარებით ისევ შესძლეს სიუ-ჩჟოუს დაბრუნება. ზოგიერთ წრეებში მაინც დარწმუნებული არიან, რომ სიუჩჟოუ აღებულია შანდუნის ჯარების მიერ.

ჩინელი ვაჭრების პროტესტი

შანხაი, 27 ივლისი. შანხაის უცხოეთის ბანკების გადაწყვეტილების გამო არ მიიღონ საქონლის ფასში ჩინური ბანკების თამასუქები, ჩინურმა სავაჭრო პალატამ მიმართა შანხაის უცხოეთის სავაჭრო პალატას განცხადებით. რომელშიაც აღნიშნულია, რომ ჩინელმა ვაჭრებმა გადასწყვიტეს არ მიიღონ 1 აგვისტოდან დაკვეთილი უცხოეთის საქონელი და არ გადაიხადონ ამ საქონლის შესანახი ფასი (ადს).

ინგლის - ამერიკის მეთამბაქოეთა კომპანიის ფაბრიკების დახურვა

შანხაი, 27 ივლისი. ინგლის-ამერიკის მეთამბაქოეთა კომპანიამ შანხაიში ორი თვით დახურა ყველა ფაბრიკები, სადაც 8.000 კაცი მუშაობდა. ფაბრიკების დახურვას ადმინისტრაცია ასაბუთებს მათ ზარალიანობით. ზოგიერთ წრეებში კი ფიქრობენ, რომ ფაბრიკები დახურულია პროტესტის ნიშნად ახალ გადასახადების წინააღმდეგ. (ადს).

ფინთან მოსალაპარაკებლად

შანხაი, 27 ივლისი. ჩინურ გაზეთების ცნობით, საფრანგეთის და ბელგიის კონსულები ხანკოუში გაემგზავრენ ლოიანში, სადაც მოელაპარაკებიან ფინ-იუი-სიანს. (ადს).

დეკლარაციები დავიწყებულია

შანხაი, 27 ივლისი. უჩანში და ხანკოუში ჯარებმა დაიკავეს 26 პროფკავშირის შენობები. ხელთ იგდეს დოკუმენტები და მთელი ის ქონება, რომელიც შენობაში აღმოჩნდა. ხუბეის პროვინციის პროფკავშირთა საბჭომ გომინდანის ცეკას და უხანის მთავრობას გაუგზავნა პროტესტი და მოითხოვდა იმ დეკლარაციის შესრულებას, რომლითაც მუშურ და გლეხურ ორგანიზაციებს შეპირებული ქონდათ დაცვა. უხანის უნივერსიტეტიც ჯარებს აქვთ დაჭერილი, რაც მოხდა სრულიად ჩინეთის სტუდენტთა ფედერაციის ყრილობის დროს (ადს).

ახალი მინისტრები

შანხაი, 27 ივლისი. გომინდანის ცეკას დადგენილებით შრომის მინისტრად დაინიშნა ვან ფა-ჩინი, უ-პეი-ფუს ერთ-ერთი ყოფილი თანამშრომელი, რომელიც თითქმის სრულებით არ არის გაცნობილი მუშათა საკითხთან. მიწათმოქმედების მინისტრად დაინიშნა ჩენ კეი-ვენი. (ადს).

„შერიგება შეუძლებელია"

შანხაი, 27 ივლისი. „ნორტ ჩაინა დეილი ნიუზ"-ის ხანკოუელი კორესპონდენტის ცნობით, უხანის მთავრობამ უარყო ფინ-იუი-სიანის წინადადება კაიფინში უხანსა და ნანკინს შორის კონფერენციის მოწვევის შესახებ.

უხანის მთავრობის წარმომადგენლებმა, გაზეთის სიტყვით, განაცხადეს, რომ „შერიგება შეუძლებელია, სანამ ნანკინის მთავრობის სათავეში სდგას ჩან-კაი-ში".

გაზეთის ცნობით, დუ-სიუნი ახლო მომავალში მიემგზავრება ნანკინში და შანხაიში ნანკინისა და უხანის მთავრობებს შორის შუამავლობის გასაწევად.

ერთ წერტილში სცემენ

შანხაი, 27 ივლისი. გოვენის სააგენტო ნანკინიდან იუწყება, რომ გენერალმა ხე ში-ენმა, რომელმაც მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტები დაიკავა ხანკოუში, თავისი წარმომადგენელი გაგზავნა ნანკინში ჩან-კაი-შისთან მუდმივი კავშირის დასაჭერად. (ადს).

„თვითმკვლელობას უდრის"

ტოკიო, 27 ივლისი. გაზეთი „ხოჩი" მოწინავე წერილში ურჩევს ჩან-კაი-შის დასდოს კომპრომისული შეთანხმება უხანის მთავრობასთან. თუ ჩან-კაი-შიმ გაუმართა ბრძოლა უხანს და დაუკავშირდა ჩან-ძო-ლინს, მას, გაზეთის აზრით, ხალხი აღარ დაუჭერს მხარს.

„ჩან-ძო-ლინთან კავშირი — სწერს გაზეთი ჩან-კაი-შისთვის უდრის თვითმკვლელობას. უხანის მთავრობასთან კომპრომისის მიღწევა არ არის საძნელო. კომპრომისი უხანთან წარმოადგენს ერთად-ერთ გამოსავალს ჩან-კაი-შისთვის". (ადს.

ინგლისელთა „თავაზიანობა"

შანხაი, 27 ივლისი. ინგლისური გაზეთები გაძლიერებულ კამპანიას აწარმოებენ და მოითხოვენ, რომ საბჭოთა მოქალაქეებს წაერთვათ შესაძლებლობა იმგზავრონ მდ. იან-ცზიზე ინგლისის გემებით. მდ. იან-ცზიზე მოსიარულე ინგლისურ გემებზე გამოკიდებულია განცხადება, რომელიც აფრთხილებს ჩინელ მგზავრებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ჩინური ხელისუფლება მოითხოვს ჩინელების გადაცემას, გემების ადმინისტრაცია შეასრულებს ამ მოთხოვნას. (ადს).

ბრძოლა მოხარკეებთან

შანხაი, 27 ივლისი. შანხაის უცხოელთა კვარტალის მუნიციპალური საბჭო განაგრძობს ბრძოლას ჩინელ მოხარკეებთან, რადგანაც არა აქვს საშუალება დააყენოს პოლიციელთა რაზმები თითოეულ ჩინელის დუქანთან, მუნიციპალურმა საბჭომ გადასწყვიტა მოუსპოს ელექტრონის ენერგიის მიცემა ჩინურ წარმოებებს და დაწესებულებებს.

სხვათა შორის მემარჯვენე გომინდანის ორგანომ და ნანკინის მთავრობას ნახევრად ოფიციოზმა „ჩაინა კურიერ" მაც მიიღო გაფრთხილება, რომ თუ 24 საათში არ იქნა შეტანილი ხარკი, მას მოესპობა ელექტრონის ენერგიის მიცემა.

გაზეთი აცხადებს, რომ, მიუხედავად გაფრთხილებისა, ის არ შეიტანს ხარკს და არწმუნებს მკითხველთ, რომ გაზეთის გამოშვება არ იქნება შეჩერებული.

მოხარკეთა ასოციაციამ მიმართა ჩან-კაი-შის თხოვნით, რათა იგი ჩაერიოს მუნიციპალურ საბჭოს უკანონო მოქმედებაში. (ადს).

ლიცზინის გაუქმება

შანხაი, 27 ივლისი. ნანკინის მთავრობის გარეშე საქმეთა მინისტრმა უ-ჩაო-ჩუმ აცნობა უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლებს, რომ ნანკინის მთავრობამ გააუქმა ლიცზინი (საშინაო სატრანზიტო ბაჟი) და მიიღო მთელი რიგი სხვა ფინანსიური ღონისძიებები.

უ-ჩაო-ჩუმ განუცხადა უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლებს, რომ ჩინეთისათვის დათმობილი უცხოეთის სესხი საზღვაო საბაჟოს შემოსავლიანობის უზრუნველსაყოფად, გადახდილი იქნება.

შანხაი, 27 ივლისი. ნანკინის მთავრობის გარეშე საქმეთა მინისტრმა გამოაქვეყნა კანონი ლიცზინის გაუქმების შესახებ, აგრეთვე დროებითი კანონი ბაჟის დადების შესახებ იმპორტზე და სააქციზო კანონი.

ამასთან დაკავშირებით ნანკინის მთავრობამ მოსახლეობას მიმართა პროკლამაციით, რომელშიც, სხვათა შორის, ნათქვამია:

„ნაციონალური (ნანკინის) მთავრობა დარწმუნებულია, რომ სანამ არსებობს ლიცზინი და მისი მსგავსი საშინაო ბაჟი, მანამდე შეუძლებელია შეუფერხებელი წინსვლა ქვეყნის ეკონომიური განვითარების გზაზე. უთანასწორო ხელშეკრულებებით დაწესებული საზღვაო ბაჟი ვერ ეგუება ხალხის სუვერენიტეტს. რამდენიმე ხნის შემდეგ ლიცზინი გაუქმებული იქნება აგრეთვე დანარჩენ პროვინციებშიც. ლიცზინის გაუქმებასთან ერთად გაუქმებული იქნება აგრეთვე ბაჟი კაბოტაჟურ ვაჭრობაზე და ლიცზინის მაგვარი ყველა ადგილობრივი ბაჟები. ნაციონალურ (ნანკინის) მთავრობას გადაწყვეტილი აქვს ახლო ხანში გამოაცხადოს ჩინეთის საბაჟო ავტონომია.

ნაციონალური (ნანკინის) მთავრობა დარწმუნებულია, რომ ამ ღონისძიებებით ის იწყებს ახალ ხანას ჩინეთის ისტორიაში".

საბაჟო კანონის მიხედვით, უცხოეთის ყველა საქონელი, შემოზიდული ჩინეთის თავისუფალ ნავთსადგურებში, არსებულ ხუთპროცენტიანი ნორმის გარდა, დამატებით უნდა დაიბეგროს ასე: ჩვეულებრივი საქონელი იბეგრება ბაჟით 7 ნახევარი პროცენტის რაოდენობით; ფუფუნების საგნები სამ კატეგორიადაა დაყოფილი,— ეს სამი კატეგორია დაბეგრილია 15, 25 და 57 პროცენტით. ჩინეთისა და უცხო ფაბრიკების მიერ ჩინეთის ტერიტორიაზე დამზადებული სამრეწველო ნაწარმოები იბეგრება აქციზით.

ნანკინის მთავრობის ამ დეკრეტებს უცხოელთა წრეებში გაცხოველებით უკეთებენ კომენტარიებს. ყველასათვის ცხადია, რომ დეკრეტი ნიშნავს ვაშინგტონის კონფერენციაზე ჩინეთისათვის მოხვეულ უთანასწორო ხელშეკრულებათა უარყოფას. პოლიტიკური თვალსაზრისით დეკრეტი აღნიშნავს ახალ პერიოდის დაწყებას ნანკინის მთავრობის დამოკიდებულებაში უცხო სახელმწიფოებთან.

ზოგიერთ წრეებში მოუთმენლად ელიან იმას, თუ რა ზომებს მიიღებენ უცხო სახელმწიფოები. ამ წრეებში ფიქრობენ, რომ უცხო სახელმწიფოთა პოლიტიკა წარიმართება ალბად სამ გზით: უცხო სახელმწიფოები ან დაიწყებენ მოლაპარაკებას ნანკინის მთავრობასთან, ან განაგრძობენ მისთვის გვერდის ახვევას ან და დაიწყებენ ინტერვენციას. (ადს).

ჰოლანდიის გემის დაკავება

შანხაი, 27 ივლისი. შანხაის ჩინურმა ხელისუფლებამ დააკავა ჰოლანდიის გემი და მოახდინა მასზე გაჩხრეკა. სამი საათის შემდეგ გემი გაანთავისუფლეს. მგზავრებიდან არავინ არ დაუპატიმრებიათ.

ინგლისურ გაზეთების აზრით, ჩინური ხელისუფლება გემზე ეძებდა კომუნისტებს. უცხოელთა წრეები, რომლებიც წინად ალტაცებას ეძლეოდენ „სოვტორგფლოტის" მიერ დაქირავებულ გემის დაკავების გამო, ეხლა აღშფოთებული არიან სამხედრო ხელისუფლების მოქმედებით. (ადს).

ლი-ტი - სინი ჩრდილოელების წინააღმდეგ

შანხაი, 27 ივლისი. იაპონიის ტოხოს სააგენტო იუწყება, რომ კანტონის დიქტატორმა ლი-ტი-სინმა დეპეშა გაუგზავნა ტან-შენ-ჩის და უხანის მთავრობის სხვა ლიდერებს და აძლევს მათ წინადადებას — შეურიგდენ ნანკინს. შესწყვიტონ შინაგანი უთანხმოება და შეუერთდენ კამპანიას ჩრდილოელების წინააღმდეგ. (ადს)

ცელენსი ლატვია-საბჭოთა ურთიერთობის შესახებ

ჰელსინგფორსი, 27 ივლისი. გაზეთი „ჰელსინგინ სანომატ"-ი აქვეყნებს ინტერვიუს, რომელიც ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ცელენსმა მისცა გაზეთის რიგელ კორესპონდენტს.

ცელენსი ადასტურებს ლიტვისა და ლატვიის მიერ ურთიერთშორის მოლაპარაკების გარეშე საბჭოთა კავშირის მიმართ საერთო პოლიტიკური ხაზის გატარების ფაქტს. სახელდობრ—მტკიცე ნეიტრალიტეტის დაცვას ყოველ მხრივ და აღმოსავლეთთან და დასავლეთთან დაუკავშირებლობის პრინციპის დაცვას.

შემდეგ ცელენსმა აღნიშნა, რომ პოლონეთმა, მიუხედავათ დიდი ცდისა, ვერ მოახერხა ბალტიის სახელმწიფოების გადაბირება და ჩრდილოეთის ორიენტაციის სამხრეთით ორიენტაციით შეცვლა.

ცელენსმა განაცხადა, რომ მას შეუძლებლად მიაჩნია ერთიანი ფრონტის შექმნა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ვინაიდან, მისი აზრით, არა მარტო ბალტიის სახელმწიფოები, არამედ ფინეთი და პოლონეთიც წინააღმდეგი არიან ასეთი პოლიტიკის.

„ლატვია—განაგრძობს შემდეგ ცელენსი—არ დასდებს ისეთ შეთანხმებებს, რომლებიც ერთი მხრით მეგობრობის მომასწავებელი იქნებოდენ და მეორე მხრით—მტრობის. ეხლანდელ რუსეთთან ლატვია ცხოვრობდა მშვიდობიანად 7 წელიწადი. რომ აღდგენილიყო მეფის რუსეთი, მაშინ მასთან შეუძლებელი იქნებოდა 7 თვე მშვიდობიანად ცხოვრებაც. კიდეც რომ იფეთქოს ომმა რუსეთსა და ინგლისს შორის, ლატვია, ყოველ შემთხვევაში დაიცავდა მტკიცე ნეიტრალიტეტს ორთავე მხარეს მიმართ". (ადს).

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძოლა საბჭოთა ნავთისათვის



ვენის ამბების შემდეგ

სოციალ-დემოკრატების კანონპროექტი ამნისტიის შესახებ

ვენა, 27 ივლისი. ავსტრიის პარლამენტის სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ დამატებით შეიტანა ორი კანონპროექტი: ერთი ვენის ამბებთან დაკავშირებით დაპატიმრებულთა ამნისტიის შესახებ და მეორე — ინვალიდების შესახებ არსებულ კანონის გავრცელება ამბების დროს დაზარალებულებზე და მათ ოჯახებზე. (ადს)

ბუდაპესტის პოლიციის „აღმოჩენა“

ვენა, 27 ივლისი. გაზეთების ცნობით ბუდაპესტის პოლიციამ. თითქოს ახალი კომუნისტური ორგანიზაცია აღმოაჩინა. პოლიცია ამტკიცებს, რომ ის დიდი ხანია თვალყურს ადევნებდა საიდუმლო კრებების ბინას. ამ ბინის გაჩხრეკის დროს თითქმის, აღმოჩენილ იქნა სააგიტაციო ფურცლების დიდი რაოდენობა ჯერ-ჯერობით დაპატიმრებულია მხოლოდ ერთი პირი. მოელიან ახალ დაპატიმრებებს. (ადს)

პორტუგალიაში

გენ. კარმონის „მტკიცე პოლიტიკა“

პარიზი, 27 ივლისი. ჰავასის სააგენტოს ცნობით, პორტუგალიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გენერალ **კარმონამ** განაცხადა: „მთავრობამდი მოაღწია ცნობამ, რომ მეამბოხე ელემენტები ცდილობენ არეულობის გამოწვევას ქვეყანაში. მთავრობა არ დაუშვებს, რომ ამ პირების ხელში აღმოჩნდეს საშუალებები თავიანთი მიზნების განსახორციელებლად“. (ადს).

შრომის საყოველთაო კონფედერაციის ყრილობა

პარიზი, 27 ივლისი. შრომის საყოველთაო კონფედერაციის სხდომაზე გამართულ კამათის დროს, ხელმძღვანელთა ხება-სურვილების წინააღმდეგ პირველ ადგილზე წამოიჭრა საკითხი მთლიანობის შესახებ. საკმაოდ მრავალრიცხოვანმა ჯგუფმა გაილაშქრა რეფორმისტული პოლიტიკის წინააღმდეგ სინდიკალიზმის თვალსაზრისით. ყრილობის დაწყებისას ოპოზიცია მოითხოვდა, რომ საკითხი მთლიანობის შესახებ განხილულიყო კონფედერაციის საბჭოს საერთო ანგარიშამდე. ამ წინადადების სასარგებლოდ გამოვიდა მრავალი ორატორი, რომლებიც მიუთითებდნენ, რომ ყრილობის წინაშე მდგარი ყველა საკითხები ექვემდებარება ძირითად საკითხს მთლიანობის შესახებ.

ჟუოს გამოსვლის შემდეგ ყრილობამ გამოსთქვა აზრი საერთო ანგარიშისა და მთლიანობის საკითხის ცალ-ცალკე განხილვის წინააღმდეგ.

საერთო ანგარიშის გარშემო გამართულ კამათში თამბაქოს მრეწველობის მუშაკთა წარმომადგენელი მოცა გამოვიდა კონფედერაციის ხელმძღვანელთა რეაქციონური პოლიტიკის კრიტიკით. აცხადებს რა, რომ ის არ ეთანხმება კომინტერნს, ორატორი იმავე დროს უკიჟინებს კონფედერაციის ხელმძღვანელებს იმაზე, რომ ისინი ცილს სწამებენ საბჭოთა კავშირს და გვერდს უხვევენ იმ უდიდ მიღწევებს, რომლებიც აქვს საბჭოთა კავშირს სოციალური გარდაქმნის გზაზე. ორატორი გმობს კონფედერაციის ხელმძღვანელთა წინააღმდეგობას, რომელსაც ისინი იჩენენ საბჭოთა კავშირში დელეგაციის გაგზავნის საქმეში, პროტესტს აცხადებს ომის საფრთხის მიფუჩეჩებისა და იმ გადაჭარბებული იმედების წინააღმდეგ, რომელთაც ამჟღავნებენ ერთა ლიგაზე და მოითხოვს თანაბარ პირობებს სოციალისტურ და კომუნისტურ პარტიებისადმი. შემდეგ ორატორი აცხადებს, რომ ამსტერდამის ინტერნაციონალი სავსებით დამოკიდებულია მე-2 ინტერნაციონალისაგან, ასეთმა განცხადებამ დელეგატებში გამოიწვია პროტესტი.

ლითონის მრეწველობის მუშათა წარმომადგენელი ბეზენსონი ანვითარებდა ასეთივე თვალსაზრისს და მოითხოვდა პროფმოძრაობის მთლიანობას, გამოსთქვამდა რა იმედს, რომ უნიტარულ პროფკავშირებთან გაერთიანება დაიცავს კონფედერაციას მარჯვენით გადახრისაგან.

„გაერთიანებულ შრომის კონფედერაციის შიგნით ბრძოლა—განაცხადა ორატორმა—უფრო ნაკლებად დამღუპველი იქნება, ვიდრე არსებული განხეთქილება“. (ადს).

უკანასკნელი ცნობები

ჩინეთის კომპარტიის ცეკას დეკლარაცია

შანხაი, 28 ივლისი. დიდი დაგვიანებით მიღებულია ჩინეთის კომპარტიის ცეკას 15 ივლისის დეკლარაცია. „გომინდანის მარტის პლენუმი — ნათქვამია დეკლარაციაში — მოწმობდა, რომ გომინდანის ცეკას ლიდერები მზად იყვენ მოეწყოთ ბრძოლა რეაქციის შემოტევასთან და განევითარებიათ მუშური და გლეხური მოძრაობა. ამიტომ კომპარტიამ მაშინ გადასწყვიტა სრული დახმარება აღმოეჩინა გომინდანის უხანის ცენტრისათვის. ხალხის მასებს და მათთან ერთად კომპარტიას მტკიცედ სწამდათ, რომ გომინდანის ხელმძღვანელობა და ნაციონალური მთავრობა პატიოსნად შეასრულებდნენ მარტის პლენუმზე მათ მიერ თავის თავზე აღებულ ვალდებულებებს. მაგრამ შემდგომმა თვეებმა ჩინეთის ხალხის ყველა რევოლიუციონურ წრეებს იმედის სასტიკი გაცრუება მოუტანეს. გომინდანის ლიდერების კავშირი ფეოდალურ ბურჟუაზიულ წრეებთან უფრო მძლავრი აღმოჩნდა, და ამან გამოიწვია გომინდანის ცეკას მერყეობა და პასიობა, რის შედეგად მდგომარეობის ბატონ-პატრონი რეაქციონური გენერლები აღმოჩნდნენ. დაიღვარა მუშების და გლეხების ზღვა სისხლი. მასიური ორგანიზაციები განადგურებულ იქნენ. რეაქცია ზეიმობდა. გომინდანის ლიდერებმა ამ მომენტში ვერ გაბედეს რევოლიუციასთან ერთად სვლა. მთავრობამ დაუსჯელად დასტოვა კონტრრევოლიუციონური გამოსვლები. ამის შემდეგ კონტრრევოლიუციამ მკვიდრი ბუნაგი გაიჩინა თვით რევოლიუციის დედაქალაქ უხანში. გომინდანის ცეკას უმრავლესობას და ნაციონალურ მთავრობის პოლიტიკა დამღუპველია რევოლიუციისათვის. ის უხანის მთავრობას ახალ მილიტარისტულ ჯგუფად აქცევს. კომუნისტურ პარტიას არ შეუძლია ასეთი პოლიტიკისათვის პასუხისმგებლობა იკისროს. ამიტომ ჩინეთის კომპარტიის ცეკამ გადასწყვიტა უხანის მთავრობიდან თავისი წარმომადგენლები გამოიწვიოს. კომპარტია გააგრძელებს უკომპრომისო გადაჭრილ ბრძოლას იმპერიალიზმის, მილიტარიზმის და ფეოდალიზმის წინააღმდეგ, რევოლიუციის სრული გამარჯვებისათვის, მთელი მსოფლიოს მუშების და დაჩაგრულ ხალხებთან კავშირისათვის, საბჭოთა რესპუბლიკებთან კავშირისათვის. კომპარტია ამ ბრძოლას აწარმოებს გომინდანის ნამდვილად რევოლიუციონურ ცენტრებსა და გომინდანის მასებთან ერთად. ამიტომ, კომუნისტებს არა აქვთ საფუძველი გომინდანიდან გასვლისათვის და მასთან თანამშრომლობაზე უარის თქმისათვის. კომპარტია ნებას არ მისცემს რევოლიუციის მოღალატე გენერლებს და მერყევ პოლიტიკოსებს, რომ მათ თავი შეაფარონ გომინდანის და სუნ-იატ-სენის დროშას. (ადს)

ნანკინის ჯარების უკან დახევა

პეკინი, 28 ივლისი, ნანკინის არმიები იხევენ სუჩჟოუს რაიონის მიმართულებით (ანხოის პროვინციის ჩრდილოეთით). აქ მათ უნდებათ სერიოზული ბრძოლის გადატანა შანდუნელებთან.

უკან დახევის მიზეზია საზარბაზნო ყუმბარების ნაკლებობა, რის გამოც სამმა არმიამ სავსებით დაკარგა ბრძოლის უნარიანობა, ორივე მხარეზე მოკლულთა რიცხვი აღემატება 10.000 კაცს.

ჩან-კაი-ში სასწრაფოდ გაემგზავრა ფრონტზე. (ადს)

ნანკინში იწვევენ სუნ-იატ-სენის ქვრივს

შანხაი, 27 ივლისი. ჩინეთის გაზეთები იტყობინებიან, რომ ნანკინის მთავრობამ დელეგატათ გაგზავნა შანხაიში იუსტიციის მინისტრი ვან-ნუნ-ვეი სუნ-იატ-სენის ქვრივის — სუნ-ცზინ-ლინის მოსაწვევათ ნანკინში. (ადს)

დამატებითი გადასახადის წინააღმდეგ ბრძოლა

შანხაი, 27 ივლისი. შანხაის სეტლმენტის მუნიციპალური საბჭოს ბრძოლა ჩინელ გადასახადის გადამხდელებთან გრძელდება. ჩინელების მრავალი დუქანი დაკეტილია. ყველა ჩინური გაზეთები გააფრთხილეს, რომ იმ შემთხვევაში თუ გადასახადი არ იქნა შემოტანილი 24 საათის განმავლობაში, მათ შეუწყვეტენ ელექტრო-ენერგიის მიწოდებას.

26 ივლისს შეუწყვიტეს ელექტრო-ენერგიის მიწოდება მემარჯვენე გომინდანელების გაზეთს „ჩაინა კურიერს“, რომელმაც მიიღო აგრეთვე ასეთი გაფრთხილება. გაზეთი 27 ივლისს გამოვიდა შემცირებულ ფორმატით და სხვადასხვა შრიფტით აწყობილი. რედაქცია მუშაობდა უბრალო სანთლების სინათლეზე. ჩინეთის ბანკებმაც მიიღეს გაფრთხილება, რომ თუ 1 აგვისტოსთვის არ შეიტანეს გადასახადი, დაკეტილი იქნებიან. (ადს)

ინგლის-რუსეთის კომიტეტის საკითხი გენერალურ საბჭოში

ლონდონი, 28 ივლისი. გუშინდელ სხდომაზე გენერალურმა საბჭომ დაადგინა, რომ ინგლის-რუსეთის კომიტეტის საკითხი გადატანილ იქნეს გასარჩევად 5 სექტემბრისათვის ქ. ედინბურგში მოწვეულ ყრილობაზე. როგორც გადმოგვცემენ, სხდომაზე მსჯელობა გაიმართა გენსაბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს შორის წარმოებულ მიმოწერის და ამხ. ტომსკის განცხადებების გარშემო.

„დეილი ტელეგრაფის“ მუშათა საკითხების მცოდნე კორესპონდენტმა ინახულა თათბირზე მონაწილე გენსაბჭოს ზოგიერთი წევრები. გენსაბჭოს ერთმა წევრმა, პარლამენტის დეპუტატმა (პარლამენტის დეპუტატებიდან გენსაბჭოში შედიან: მარგარიტი, ბენდფილდი, ბრომლეი, ხიქსი, პერსელი, სმაილი, ტომასი და ტოხნი) განაცხადა: „მათი უმრავლესობა, ვინც დაკავშირებულია პროფმოძრაობასთან, უფრო გადამჭრელ პოზიციებზე სდგას რუსეთის საკითხში, ვიდრე შარშან. ზოგიერთი მათგანი თავს იკავებს, რომ ეხლავე განაცხადონ საბჭოთა კავშირთან განხეთქილების აუცილებლობა, მაგრამ საბოლოო განხეთქილება უკეთესია, ვიდრე თვალმაქცობა. თქვენ შეგიძლიანთ დარწმუნებული იყოთ, რომ განხეთქილება სულ ახლო ხნის საქმეა“.

შემდეგ მოსაუბრემ დაუმატა: „მე ვხედავ, რომ ჩვენი შუამავლობა საკავშირო პროფსაბჭოსთან, მათი ინტერნაციონალში მიღების შესახებ სრულიად არაა ის, რაც მათ (ბოლშევიკებს) სურთ და ამიტომ დარწმუნებული ვარ, რომ რაც უფრო ჩქარა შესწყვეტს თავის არსებობას ინგლის-რუსეთის კომიტეტი მით უკეთესი იქნება. (ადს).

ინგლისის მემაღაროეთა კონფერენცია

ლონდონი, 28 ივლისი. ბურჟუაზიული პრესა ზეიმობს საუტპორტში მოწვეულ სრულიად ინგლისის მემაღაროეთა ფედერაციის კონფერენციაზე მემარცხენე ფრთის დამარცხების გამო. სმიტმა თავიდანვე დაიკავა საბჭოთა კავშირის მიმართ მტრული პოზიცია. ასე, მაგალითად, მან ერთი სიტყვაც არ მოიხსენია თავის მისასალმებელ სიტყვაში ის დახმარება, რომელიც გაუწია საბჭოთა კავშირის მუშათა კლასმა ინგლისელ მემაღაროებს დიდი გაფიცვის და ლოკაუტის გამოცხადების დროს.

გრახამმა მიმართა ხორნერს (სამხრეთ-უელსის დელეგატი, კომუნისტი) კითხვით, თუ ვისი სახელით უფრო გამოდის იგი — სამხრეთ-უელსის მემაღარო მუშების, თუ საბჭოთა კავშირის სახელით.. „მანჩესტერ გარდიენ“-ი სწერს, რომ მემაღაროეთა რაიონულ ორგანიზაციების თანამდებობის პირებმა ისარგებლეს პარლამენტში წარმომადგენლობით, რომ სახელი გაეტეხათ მეუმცირესობათათვის.

ყველა ორატორები ილაშქრებდენ კომუნისტების წინააღმდეგ და ბრალს სდებდენ მათ, რომ ისინი სცდილობენ გააბათილონ პოლიტიკური ლიდერების ლოიალობა, ღებულობენ ინსტრუქციებს საბჭოთა კავშირიდან და სხ. (ადს).

ავსტრიის მთავრობის შურისძიება

ვენა, 28 ივლისი. „როტე ფანე“ იტყობინება, რომ მრავალ დაპატიმრებულთა საქმეებს ვენაში მომხდარი უკანასკნელი ამბების გამო გადაჰგზავნიან პროვინციებში. უფრო სერიოზული საქმეები, რომელთა გარჩევაც ვენაშია საჭირო, გადადებულია შემოდგომისათვის.

მოელიან 100 პროცენტზე მეტს. მთელ რიგ დაპატიმრებულებს ბრალსა სდებენ აჯანყებისათვის წაქეზებაში და სხვა მძიმე დანაშაულში. დაპატიმრებები გრძელდება. მუშებში დაძვრებიან ჯაშუშები. (ადს)

გაზეთების კონფისკაცია ვენაში

ვენა, 28 ივლისი. უკანასკნელი დღეების განმავლობაში ვენაში კონფისკაცია უყვეს 12 გაზეთს. პირველ ყოვლისა მოახდინეს „როტე ფანეს“ და „აბენდ“-ის კონფისკაცია.

კონფისკაციის მიზეზათ გამოცხადებულია „წაქეზება აჯანყებისადმი“ და ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეთა წინააღმდეგ გალაშქრება. (ადს)

ბელგიის კონსული და „ტაიმსის“ კორესპონდენტი გაქრენ

შანხაი, 27 ივლისი. შანხაის უცხოელების პრესა გადმოსცემს ხანკოუდან მიღებულ რადიო-ცნობას, რომ ბელგიის კონსული და ლონდონის „ტაიმსის“ კორესპონდენტი საიდუმლოდ გაქრენ. (ადს)

დეტერდინგი ჩაფლავდა

მოსკოვი, 28 ივლისი. საკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს საქმის მცოდნე წრეებში ნავთის ტრესტის „როიალ დეტჩ შელლ“-ის სათავეში მდგომ დეტერდინგის მიერ საბჭოთა ნავთის წინააღმდეგ დაწყებულ კამპანიის შესახებ განუცხადეს შემდეგი:

„დეტერდინგის კამპანია საბჭოთა ნავთის წინააღმდეგ დამარცხდა. იქამდე ინგლისშიაც, მიუხედავად საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ურთიერთობის გაწყვეტისა, საბჭოთა ნავთის მყიდველები ისევე თავის დროზე ასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს ხელშეკრულების თანახმად, როგორც ასრულებს თავის ვალდებულებებს ნავთის სინდიკატი. ნავთის პროდუქტების ჩაბარება და მიღება სავსებით ნორმალურად სწარმოებს. დეტერდინგის აგიტაციას ცივად შეხვდენ აგრეთვე საფრანგეთშიაც“ (ადს).

საკავშირო კ. პ. (ბ) ც. საკონტროლო კომისიის პლენუმი

ამხ. იაროსლავსკის მოხსენება

მოსკოვი, 28 ივლისი. სკპ (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პლენუმის საღამოს სხდომაზე ამხ. იაროსლავსკიმ გააკეთა თანამოხსენება უკრაინის ს. ს. რ. უკ. პ. (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიისა და მუშათა გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის მუშაობის შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ უკრაინის ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამ და მუშათა გლეხთა ინსპექციამ შეასრულეს ამჟამად პარტიის წინაშე მდგარი სერიოზული ამოცანები.

შეჩერდა რა შემდეგ პარტიიდან გასვლის საკითხზე, ამხ. იაროსლავსკიმ აღნიშნა, რომ უკრაინაში არის რაიონები, სადაც პარტიიდან გასულთა რიცხვი საგრძნობ პროცენტს შეადგენს. ამხ. იაროსლავსკი ფიქრობს, რომ ოპოზიციის გალაშქრება პარტიის წინააღმდეგ (და ოპოზიციის მიერ პარტიის სახელის გატეხა ახალგაზრდა გამოუცდელ პარტიულების თვალში ხელს უწყობს ასეთი წევრების პარტიიდან გასვლას. აუცილებელია, რომ პარტიიდან გასულ დაზგის მუშებს, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებენ საზოგადოებრივ მუშაობაში, მიეცეთ პარტიაში კვლავ დაბრუნების შესაძლებლობა და ამასთანავე მათ თავისი ნებით პარტიიდან გასვლა არ უნდა ჩაეთვალოს მათ დანაშაულად.

შემდეგ ამხ. იაროსლავსკიმ აღნიშნა მთელი რიგი ამოცანები, რომლებიც სდგანან უკრაინის კომპარტიის წინაშე ნაციონალურ საკითხის დარგში და მოითხოვენ დაუყოვნებლივ გადაჭრას. (ადს).

მოსკოვი, 28 ივლისი. დასრულდა საკავშირო კოპარტიის (ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისიის პლენუმი.

უკანასკნელ სხდომაზე მოსმენილ იქნა საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის საკონტროლო კომისიის და მოსკ. მუშ. და გლ. ინსპექციის თავმჯდომარის ამხ. **კოროსტელევის** მოხსენება. მომხსენებელმა შეაფასა პარტკოლეგიის მუშაობა და შემდეგ შეეხო ოპოზიციის მოღვაწეობას, რომელთანაც მოსკოვის პარტიული ორგანიზაცია აწარმოებს განუწყვეტელ ბრძოლას. უკანასკნელ დროს საკ. კ. პ. (ბ) ცეკას აპრილის პლენუმის შემდეგ ოპოზიციამ ისევ დაიწყო ფრაქციული მუშაობის გაფართოება. წარსული წლის მაგალითის მიხედვით უჯრედებში ვრცელდება საიდუმლო პარტიული დოკუმენტები, ეწყობა არალეგალური კრებები და სხვა. ამ კონსპირატიულ მუშაობასთან ერთად ოპოზიციის მომხრეთა გამოსვლები უჯრედებში ატარებენ პარტიის წევრთათვის არაშესაფერის ხასიათს, ოპოზიციონერები ცილსა სწამებენ ცენტრალურ და მოსკოვის კომიტეტებს და პარტიის ზოგიერთ ბელადებს.

პარტკოლეგიის ამოცანად — განაცხადა ამხ. კოროსტელევმა—ისე, როგორც წარსულში, რჩება — არ დაუშვას დეზორგანიზაციის შეტანა მოსკოვის პარტიულ ორგანიზაციის რიგებში“.

კამათის და ამხ. კოროსტელევის საბოლოო სიტყვის შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლიუციები პლენუმზე მოსმენილ მოხსენებების შესახებ. (ადს)

საბჭოთა კავშირში

ამხ. კრილენკო ყალბ საბუთების შესახებ

მოსკოვი, 28 ივლისი. უცხოელ კორესპონდენტებთან საუბარში რესპუბლიკის პროკურორის უფროსი ამხანაგი **კრილენკო** შეეხო ყალბ საბუთების დამამზადებელ და ჯაშუშ დრუჟელოვსკის პროცესს, რომელიც ჩატარდა მოსკოვში.

„დრუჟელოვსკის საქმეს — განაცხადა ამხ. კრილენკომ — აქვს უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა, ვინაიდან მან სრულიად ურყევად დაამტკიცა სამი ძირითადი ისტორიული ფაქტი. პირველი — საერთაშორისო ჯაშუშების და ფალსიფიკატორების ორგანიზაციების არსებობა, რომლებიც დაკავშირებული არიან თითქმის ყველა ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა შტაბებს და დიპლომატიურ წარმომადგენლებების საზვერავ განყოფილებებთან; მეორე — ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა ოფიციალური წარმომადგენლები, რომელთაც უკავიათ საპასუხისმგებლო თანამდებობანი, არა თუ არ თაკილობენ ბატონ დრუჟელოვსკებთან საქმის დაჭერას, არამედ ხელმძღვანელობასაც კი უწევენ მათ საქმიანობას, აძლევენ მათ განსაზღვრულ დავალებებს და უკარნახებენ გარკვეულ დირექტივებს საბუთების ფალსიფიკაციის შესახებ და შემდეგ ამ ყალბ საბუთებს იყენებენ განსაზღვრულ პოლიტიკურ და კლასიურ მიზნების მისაღწევად; მესამე — იმ პირთა ძირითად კადრს, რომელთაგან იკრიბება ეს საერთაშორისო ფალსიფიკატორები და ავანტიურისტები, წარმოადგენენ რუსეთის კონტრ-რევოლიუციონურ ემიგრაციის კლასიურად საბოლოოდ გადაგვარებული წრეები; მთავარ ობიექტს კი, რომლის წინააღმდეგ მიმართულია ბურჟუაზიულ წარმომადგენლობების და შტაბების თითქმის ყველა მუშაკთა მოღვაწეობა, წარმოადგენს საბჭოთა კავშირი.

დასასრულ პროცესმა გამოარკვია, რომ დრუჟელოვსკის უშუალო-კავშირი ჰქონდა ცნობილ „ზინოვიევის წერილის“ დამზადებასთან, საერთაშორისო შპიონების ხელმძღვანელ ბელგარდტს ჰყავდა ნათესავი ყუმრუენკოვი, რომელმაც აცნობა დრუჟელოვსკის, რომ „ზინოვიევის წერილი“ დასწერეს ყუმრუენკოვის ბინაზე ბელგარდტმა და გუმანსკიმ, რომელიც აგრეთვე რუსი ემიგრანტია. სხვათა შორის გუმანსკის, რომელმაც უშუალო მონაწილეობა მიიღო „ზინოვიევის წერილის“ დამზადებაში, დრუჟელოვსკის სიტყვით, ცოლად ჰყავდა პრუსიის შინაგან საქმეთა ცნობილ მინისტრ ზევერინგის მახლობელი ნათესავი.

„იზვესტია“-ში გამოქვეყნებული ახალი ყალბი საბუთები ადასტურებენ, რომ კამპანია გრძელდება. საჭიროა დაისვას კითხვა — სისულელის გამო კეთდება ეს, თუ იმიტომ, რომ ყალბი საბუთები ამჟამად ესაჭიროება მათ შემკვეთლებს?“.

შემდეგ უცხო კორესპონდენტები დამატებით ეკითხებიან ამხ. კრილენკოს:

„მართალია თუ არა. თითქოს საბჭოთა ხელისუფლება, კვლავ დაუბრუნდა, როგორც ამას აღნიშნავს უცხოეთის პრესა, ტერორს?“.

ამხ. კრილენკომ უპასუხა, რომ საბჭოთა ხელისუფლების 20 შეურიგებელ მტრის დახვრეტის დროს, გაერთიანებულმა სახელმწიფო პოლიტიკურმა სამმართველომ, გამოიყენა ის უფლება, რომელიც მას მიენიჭა საბჭოთა კავშირის ცეკას 1922 წლის კანონით. „ეს საქმე არ შეიძლება დაუკავშიროთ მხოლოდ ვოიკოვის და ოპანსკის მკვლელობას — სთქვა ამხ. კრილენკომ — სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო იყენებდა ამ თავის უფლებას, წინეთაც, განსაკუთრებულ შემთხვევებში, მაგალითად, სისხლის სამართლის დამნაშავეების წინააღმდეგ, ჩუბაროვების საქმის გარჩევის დროს“.

კითხვაზე, თუ რა განსხვავება არსებობს გაერთიანებულ სახელმწიფო სამმართველოს დღევანდელი მდგომარეობის და საგანგებო კომისიის 1922 წლამდე არსებულ მდგომარეობის შორის, კრილენკომ უპასუხა, რომ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველ წლებში, საგანგებო კომისიას უფლება ქონდა დამოუკიდებლად დაეწესებინა სასჯელი, დაწყებული მცირე სასჯელიდან და გათავებული დახვრეტით, გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს კი, დღეს ევალება ბოროტმოქმედების გამოძიება, რის შემდეგაც საქმე უნდა გადაეცეს სასამართლოს სათანადო ინსტანციას. დაპატიმრებულების გაჩერება გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს ციხეებში განსაზღვრულია დაწესებული ვადით“.

შემდეგ ამხ. კრილენკომ უარყო საზღვარგარეთ გავრცელებული ხმები იმის შესახებ, თითქოს საბჭოთა კავშირში აწარმოებდნენ მასიურ დაპატიმრებებს.

საბჭოთა რუსეთის მთავრობა საქართველოს გლეხებს

ა.-კ. სახკომსაბჭომ მიიღო დეპეშა, რომ რუსეთის სოც. ფედ. საბ. რესპუბლიკის ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა დაუთმოს საქართველოს მცირემიწიან რაიონების გლეხებს დასასახლებლად სოჭის ოლქში 40.000 ჰექტარი მიწა, ხოლო თერგის ოლქში 89 ოჯახისათვის სამყოფი ადგილი. მიწის ეს ნაჭრები ცნობილია საკავშირო მნიშვნელობის რაიონებად. ა.-კ. სახკომსაბჭო საქართველოს სახკომსაბჭოს მონაწილეობით სასწრაფოდ ამუშავებს გადასახლების გეგმას.

პარტიული ცხოვრება

პარტმუშაკების შერჩევა და განაწილება

მოსკოვი, 28 ივლისი. საკ. კომ. პარტიის (ბ) ცეკამ მიიღო დადგენილება ადგილობრივ პარტორგანიზაციების განმანაწილებელ მუშაობის შესახებ.

„ადგილობრივ პარტორგანიზაციების განმანაწილებელ მუშაობის გადასინჯვის დროს, ნათქვამია დადგენილებაში, გამოირკვა, რომ უკანასკნელ წლების განმავლობაში, პარტძალების შერჩევის და განაწილების საქმეში ადგილებზე მიღწეულია თვალსაჩინო შედეგები აღმშენებლობის თითქმის ყველა დარგებში. მაგრამ პასუხისმგებელ მუშაკების შემადგენლობის შემდეგი გაუმჯობესება, მათი კვალიფიკაციის აწევის და მათი დაწინაურების მხრივ, გაძნელებულია პარტიულ მუშაკების განაწილების შემდეგი—მთავარი ნაკლულოვანებით: განაწილების ძლიერ ფართე ხასიათი, მუშაკების საგრძნობი ცვალებადობა, გამოკვლეული ორგანიზაციების ხელმძღვანელების მიერ ნაკლები ყურადღების მიქცევა მუშაკების შერჩევაზე, პასუხისმგებელ მუშაკების მუშაობისათვის სისტემატიური კონტროლის გაუწევლობა, მთელ რიგ ორგანიზაციების მხრივ გეგმის უქონლობა და არა სწორი მიდგომა მუშების და გლეხების საპასუხისმგებლო მუშაობაში დაწინაურების საქმისადმი და პარტკომების მხრივ სუსტი ყურადღების მიქცევა განმანაწილებელ მუშაობაზე.

პარტიული ძალების განაწილების საქმეში ადგილობრივ აღმოჩენილ ნაკლის თავიდან ასაცილებლად ცეკამ დაადგინა: წინადადება მისცეს ადგილობრივ პარტორგანიზაციებს დააჩქარონ მუშაკების შერჩევა. თვითეულ პარტკომისათვის [illegible] მიხედვით. წინადადება მიეცეს ყველა პარტკომებს გააძლიერონ იმ მუშაკების [illegible], რომელნიც განაგებენ განაწილების საქმეს, შეუფარდონ სამეურნეო ფრონტზე, მომუშავეთა სხვა დარგში გადაყვანა სამეურნეო ან ოპერატიული წლის დასრულებას, არ გადიყვანონ მუშაკი სხვადასხვა ადგილებზე, თუ ამისათვის განსაკუთრებული სერიოზული მოსაზრება არ არსებობს, ვინაიდან განმანაწილებელ მუშაობის ძირითადი ამოცანა უახლოეს პერიოდისთვის მდგომარეობს საშუალო ორგანიზაციების, განსაკუთრებით სამეურნეო და სავაჭრო აპარატის განმტკიცებაში კვალიფიციურ პარტმუშაკებით.

ამის გამო პარტიულ კომიტეტებს ევალებათ გააძლიერონ ხელმძღვანელობა პარტმუშაკების საუწყებო განაწილებაზე ცალკე სამეურნეო და სავაჭრო ორგანოებში მომუშავეთა შემადგენლობის ხშირი გადასინჯვით, აუცილებელია საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოებმა ფართო მონაწილეობა მიიღონ მუშაკთა შემადგენლობის შესწავლა-გადასინჯვის საქმეში; წინადადება მიეცეს პარტიულ კომიტეტებს მუშათა და გლეხთა დაწინაურების საკითხი დაუკავშირონ მიმდინარე პერიოდის უფრო საყურადღებო დარგების განმტკიცების ამოცანებს, ამორჩეულ მუშაკთა გადაყვან-გადმოყვანა უნდა ხდებოდეს შერჩეულ სამუშაო და დასრულების ვადებთან მკაცრი შეფარდებით. (ადს)

დელეგატ-ქალის კავშირი პარტიასთან და მასებთან

სადელეგატო კრებების მუშაობის სუსტ მხარეს წარმოადგენს დელეგატ-ქალების არასაკმაოდ დაკავშირება პარტიასთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და, რაც უმთავრესია, ამომრჩეველთა მასასთან. დელეგატი ქალები რეგულიარულად არ აბარებენ ანგარიშს გლეხ-ქალებს, და ყრილობებს.

უნდა მივაღწიოთ იმ მდგომარეობას, რომ თითოეული დელეგატ-ქალი მჭიდროდ იყოს დაკავშირებული თავის ამომრჩევლებთან, ის უნდა იწვევდეს გლეხ-ქალებს ყრილობებზე, კოოპ-სამკითხველოებში. აბამდეს მათ სხვადასხვა კამპანიებში. დელეგატ-ქალი ანგარიშს უნდა აბარებდეს არა მარტო სადელეგატო კრებებზე, არამედ გლეხების საერთო ყრილობებზეც. დელეგატი ქალი მონაწილეობას უნდა ღებულობდეს პრაქტიკულ მუშაობაში; მხოლოდ მაშინ გამომუშავდება მისგან სამეურნეო-საზოგადოებრივ და საბჭოთა მუშაობისთვის სასარგებლო საზოგადოებრივი მუშაკი.

სადელეგატო კრებების მიზანს შეადგენს არა მარტო დელეგატ-ქალების უშუალო განათლება, არამედ მათი რიცხვიდან საზოგადოებრივ და პრაქტიკულ მუშაკების აქტივის გამოყოფაც. სადელეგატო კრებებზე გლეხი-ქალი მხოლოდ პირველ ნაბიჯებს სდგამს, როგორც საზოგადოებრივი მუშაკი. პრაქტიკანტობა შემდგომი ნაბიჯია ქალთა აქტივის გზაზე სოფლად. პრაქტიკანტობის ძირითადი ამოცანაა შეაჩვიოს გლეხი-ქალი პრაქტიკულ მუშაობას სოფლის საზოგადოებრიობის ყველა დარგებში.

ადგილებზე ჩვენ ვაწინაურებთ პრაქტიკანტ-ქალებს, ვატარებთ ორგანიზაციებზე მიმაგრებას, მაგრამ ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელნი არ იწვევენ პრაქტიკანტ-ქალებს სხდომებზე, არ ტვირთავენ მათ, ან იმდენად ტვირთავენ, რომ ერთბაშად ჰქანცავენ პრაქტიკანტ-ქალს.

სუსტი ხელმძღვანელობის მიზეზი არის იმის შეუგნებლობა, რომ გლეხ-ქალებთან მუშაობა არის საბჭოთა და პარტიულ მუშაობის ნაწილი. ეს შეუგნებლობა განსაკუთრებით იჩენს თავს იქ, სადაც საერთოდ სუსტია ორგანიზაცია. საჭიროა იმ ორგანიზაციამ, რომელთანაც მიმაგრებულია პრაქტიკანტი-ქალი, შეიგნოს, რომ მის მოვალეობას შეადგენს შეასწავლოს გლეხ-ქალს პრაქტიკული მუშაობა. ამის მიღწევა კი შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პარტორგანიზაციას მთლიანად და განსაკუთრებით მისი ხელმძღვანელ ნაწილს სავსებით აქვს შეგნებული პრაქტიკანტობის მნიშვნელობა მცოდნე და საზოგადოებრივ მუშაობის უნარის მქონე გლეხ-ქალთა აქტივის შესაქმნელად.

აქტივთან მუშაობა და ამ მუშაობის წარმატება ხელს შეუწყობს საბჭოების გამოცოცხლებას და საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებას სოფლად.

კ. კარტოზია.

ჩვენი თემკომის საქმიანობა

(ონტოფო, სენაკის მ.)

პარტმუშაობას ონტოფოს თემში გამოცოცხლება დაეტყო. კრებები, როგორც უჯრედის, ისე თემის გაერთიანებულის, სისტემატიურად და დანიშნულ დროზე იმართება. პარტ-ამხანაგები ყველა საკითხის გარჩევაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ. კრებებზე უმთავრესად იხმება სააღმშენებლო და საორგანიზაციო ხასიათის საკითხები. ორგანიზაცია საკმაო ხელმძღვანელობას უწევს თემში არსებულ ყველა საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, როგორიცაა: კოოპერატივის, გლეხკომის, სკოლის, სამკითხველოს, საექიმო პუნქტის და სხვების მუშაობას.

შემუშავებულია საკალენდრო გეგმა, რის მიხედვით თითოეულ დაწესებულების პასუხისმგებელ პირებს ევალებათ ორგანიზაციის ღია კრებებზე, სადაც ესწრებიან უპარტიონიც, გააკეთონ მოხსენება დაწესებულების მდგომარეობის შესახებ. საკითხის განხილვის შემდეგ მათ ეძლევათ საჭირო მითითება. ამ ჟამად თემში დაწყებულია დიდი სააღმშენებლო მუშაობა, შენდება საავადმყოფოს ბინა, რომელიც ჯდება 3 ათასი მანეთი. პარტია ამ საქმეში აქტიურ მუშაობას ეწევა. გლეხობა კმაყოფილია ორგანიზაციის მუშაობით. განცხადებები პარტიაში მიღების შესახებ, უმთავრესად ღარიბ გლეხობიდან, სისტემატიურად შემოდის, მაგრამ საქმეს აბრკოლებს ერთი რამ: გასულ წელს ორგანიზაციის მიერ დამტკიცებული პირები, რომელთა საქმე გადაგზავნილი იქნა სამკომში, ჯერ კიდევ არ არის დამტკიცებული, რაც გულს უცრუებს ბევრ ახალ ამხანაგებს. ამას უნდა მიექცეს მეტი ყურადღება. სამკომი საკმაო ხელმძღვანელობას უწევს ადგილებს. ამ ჟამად გადაწყდა ფასიანი მდივნების ინსტიტუტის შემოღება, რასაც, ჩვენი ღრმა რწმენით შეუძლია უფრო ჩქარი ტემპით წასწიოს პარტმუშაობა ჩვენს თემში. ჩვენი უჯრედი საკმაოდ ძლიერია წევრთა შემადგენლობით. კომკავშირზე ხელმძღვანელობა საკმაოა.

და-ია.

კომკავშირში

როგორ მუშაობს კომკავშირის უჯრედი

ს. ხორგაში ა. ლ. კ. კავშირის უჯრედი დაარსდა 1924 წელს. დაარსების დროს ამ უჯრედში ითვლებოდა 20-მდე წევრი. პირველ წელს უჯრედის მუშაობა კარგად მიმდინარეობდა: დახმარებას უწევდნენ გლეხებს გზების შეკეთებაში, ღებულობდნენ მონაწილეობას სკოლების აღმშენებლობაში. 1925-26 წლებში უჯრედის მუშაობა შესუსტდა: კომკავშირის წევრები კრებაზე არ დადიოდნენ არ ესწრებოდნენ პოლიტმეცადინეობას, საწევრო გადასახადს თავის დროზე არ იხდიდნენ, რომლის შედეგი იყო ზოგიერთი ამხანაგების გამორიცხვა უჯრედიდან.

1927 წლიდან უჯრედს გამოცოცხლება დაეტყო, თუ 1926 წლის მიწურულს უჯრედში 15 წევრი იყო, ეხლა ჩვენ უჯრედში [illegible] 43 წევრს და კანდიდატს პოლიტკითხვებს კურსებს ესწრებიან, პოლიტმეცადინეობა 85 პროც.-მა კარგად ჩააბარა. მაგრამ ნაკლი მაინც აქვს ჩვენ კომკავშირის უჯრედს: ს. ხორგაში 600-მდე კომლი მცხოვრებია, რომლისათვის აუცილებელი საჭიროა სამკითხველო, ეს საქმე ვერ მოუგვარებია უჯრედს.

მეორე ნაკლი ის არის რომ არ აქვს საკუთარი კედლის გაზეთი. ამ ორი ნაკლის გამოსწორება ს. ხორგის ა. ლ. კ. კავშირის უჯრედს შეუძლია თუ შეეცდება.

ბ. მირცხულავა.

საბინაო მშენებლობა

ყველასათვის ცნობილია, რომ ადამიანის ნორმალური ცხოვრებისათვის აუცილებელია საღი, ნათელი და საკმარისი სივრცის ბინა. ცნობილია აგრეთვე, თუ რა დიდი გავლენა აქვს ბინას ადამიანის ჯანმრთელობაზე და სულიერ განწყობილებაზე. **ამიტომ მოქალაქის საბინაო მოთხოვნილების ნორმალურ ფარგლებში დაკმაყოფილება შეადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის.** წარსულის მემკვიდრეობიდან სხვა მრავალ მოუწყობლობასთან ერთად საბჭოთა ხელისუფლებამ მიიღო სრულიად მოშლილი საბინაო მეურნეობა. განსაკუთრებულ ცუდ პირობებში ამ მხრივ იყო ქალაქის მშრომელი მოსახლეობა, რომლისათვის არც ერთი წინანდელი რეჟიმი თავს არ იწუხებდა. ბნელი, ნესტიანი სარდაფში მოთავსებული ბინა ჩვეულებრივი მდგომარეობა იყო მუშებისათვის და ასეთი დაუშვებელი საბინაო პირობები ჩვენი მოსახლეობის მშრომელი ნაწილისათვის თითქმის ნორმალურ მოვლენად იყო მიჩნეული. დღეს ცხოვრების პირობები კარდინალურათ შეცვლილია; კარდინალურათ შეცვლილია მუშის ბინით დაკმაყოფილების საკითხიც.

საცხოვრებელი სივრცე ბინის ნორმალურია თუ სულზე 10—13 კვ. მეტრი მაინც მოდის. ჩვენი საბინაო სინამდვილე ქ. თბილისში ძალიან შორს არის ამ ნორმიდან: ნორმალური ბინა მხოლოდ რჩეულთა ხვედრია, უმრავლესობა კი ხმადენივ მუშა-მოსამსახურენი სცხოვრობენ სანიტარულ ნორმის (8 კვ. მეტრი) გაცილებით უფრო ნაკლებ სულობრივ ხვედრის პირობებში. საბინაო ფართობი ქ. თბილისში ამ ჟამად არ არის სამყოფი ყველა მცხოვრებთათვის. თბილისი განიცდის აშკარა საბინაო კრიზისს.

ბინის კრიზისი არ არის მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს გამომჟღავნებული მოვლენა. იგი ჯერ კიდევ ეგრედ წოდებული „მშვიდობიანობის“ დროს ჩაისახა როგორც ჩვენში, ისე თვით „მდიდარ და კულტურულ“ ევროპის ქვეყნებში. თითქმის მთელი საუკუნის დასაწყისიდან ევროპის ქალაქები ცდილობენ ბინის სივიწროვის აცილებას, მაგრამ ამათ: იგი მხოლოდ აქა-იქ შეძლეს, სავსებით კი არ გამქრალა, რადგან ბინათმშენებლობა ვერ ეწეოდა ქალაქის მოსახლეობის ზრდას. სწრაფი ნაბიჯით მომავალი ევროპის ინდუსტრიალიზაცია თან სდევდა მისი (ევროპის) მეურნეობის გაქალაქება (ურბანიზაცია).

გაშმაგებული იმპერიალიზმის მიერ ახალ-ახალი კოლონიების დაპყრობა და მასთან დაკავშირებით უსაზღვრო სპეკულაციის განვითარება უფრო ხელსაყრელს ხდიდა თავისუფალ კაპიტალის იქ ბრუნვა-მრეწველობაში ჩაბმას, ვიდრე სახლის აღმშენებლობაში დაბანდებას. ბინის კრიზისის შექმნას განსაკუთრებით უკანასკნელმა იმპერიალისტურმა ომმა შეუწყო ხელი. ომის დროს სახლები თითქმის არ შენდებოდა, პირიქით აშენებული ან ინგრეოდა, ან ნელ-ნელა უვარგისი ხდებოდა კაპიტალური შეკეთების უქონლობის გამო. ამ მიზეზით საცხოვრებელი არე თანდათან მცირდებოდა და ბოლოს ბინის საკითხი თითქმის ყველგან უმწვავეს პრობლემად გადაიქცა. მდგომარეობის გამოსასწორებლად ზოგიერთ ქვეყნის მთავრობა იძულებული გახდა ყოველწლიურად ბიუჯეტში განსაზღვრული თანხა შეეტანა იაფი ბინების ასაშენებლად. ბურჟუაზია და მისი მთავრობა ცდილობდნენ მინიმალურად მაინც დაეკმაყოფილებიათ ბინით მუშები, რომ თავი აეცილებინათ რევოლიუციონური გამოსვლებისათვის. საბჭოთა ქვეყნებში ეს საკითხი განსაკუთრებულ სიმწვავით წამოიჭრა. ჯერ იმპერიალისტურმა, მერე სამოქალაქო ომებმა თითქმის მთლად გაანადგურეს არსებული საცხოვრებელი მოედანი. საბჭოთა ხელისუფლების ხელში დარჩა სრულიად გაცვეთილი საბინაო ფონდი. საბჭოების მიერ ძალაუფლების ხელში აღებისთანავე უპირველეს ამოცანად დაისვა მუშების კარგ და მოწყობილ ბინებზე განაწილება. ეს ამოცანა მხოლოდ ნაწილობრივ იქნა შესრულებული, რადგან არ იყო საკმაო საცხოვრებელი არე. იმისათვის აუცილებელი იყო განადგურებული საბინაო ფონდის აღდგენა და გაფართოებული კრიტიკული მდგომარეობის თავიდან აცილება. მთელ საკავშირო ტერიტორიაზე ქალაქის საბჭოები მტკიცე ზომებს იღებენ მუშათა ბინების აღმშენებლობის განსავითარებლად. ამ მხრივ თბილისის ქალაქის საბჭოც ცდილობს შესაძლებლობის ფარგლებში შეანელოს აქ არსებული საბინაო კრიზისი; მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი მუშაობა და დიდი ფინანსიური სახსრების გაღებაა საჭირო რომ არსებული საბინაო ფონდი, ეს საუკუნოებით დაგროვილი სახალხო კაპიტალი, განადგურებიდან დავიცვათ და ამასთან მოსახლეობის ზრდაც ბინებით უზრუნველვყოთ. ბურჟუაზიულ ქვეყნებში ბინის საკითხი გახდა მუშათა კლასისათვის ბრძოლის თითქმის უმთავრეს საგნად გაბატონებულ კლასთა წინააღმდეგ. ჩვენში კი საბინაო ფონდის უმეტესი წილი თვით მშრომელთა კლასს ეკუთვნის, მაშასადამე მანვე უნდა მიიღოს საჭირო ზომები მის დასაცავათ და გასადიდებლად. ამისათვის პირველყოვლისა საჭიროა გავარკვიოთ, თუ როგორია ჩვენი საბინაო ფონდის მდგომარეობა და რა ზომებია სახელდობრ საჭირო მის აღდგენა-დაცვისათვის.

1926 წლის აღწერით თბილისში არის 283.000 მცხოვრები; მისი საცხოვრებელი ფართობის სივრცე უდრის 3.847.000 კვ. არშინს, ანუ თითქმის 2.000.000 კვ. მეტრს. ამრიგად თითო სულზე საშუალოდ მოდის 7.07 კვ. მეტრი. თუ თითოეულ მცხოვრებზე ავიღებთ იმ 8 კვ. მეტრიან მინიმალურ „სანიტარულ“ ნორმას, მაშინ დღევანდელ თბილისს უნდა ჰქონდეს 2.350.000 კვ. მეტრი. ბინის მოედნის დეფიციტი, სანიტარულ ნორმის ანგარიშით უდრის ერთ მცხოვრებზე 1,25 კვ. მეტრს, ხოლო მთელი ქალაქისათვის 350.000 კვ. მეტრს. ეს დანაკლისი დაკმაყოფილდება ბინით დაახლოვებით 42.000 მცხოვრებლის.

ომის წინა დროს ნაშენის კუბატურა მოდიოდა 1 კვ. მეტრზე 7,5 კბ. მეტრი საშუალოდ. ეხლა კი ბინის კრიზისის დროს, ყველა ცდილობს კუბატურა რაც შეიძლება ეკონომიურად გამოიყენოს, ამიტომ ახალი ნაშენების აგების დროს ეს კუბატურა რა თქმა უნდა დაიწევს. აღნიშნული ნორმის მიხედვით არსებული საბინაო დეფიციტის დასაფარავათ საჭიროა ქ. თბილისში აიგოს დამატებით დაახლოვებით 2.662.000 კბ. მეტრი ნაშენი. ამას უნდა მოუმატოთ კუბატურა ბინების იმ რაოდენობისა, რომელიც საჭიროა მოსახლეობის ბუნებრივი და მექანიკური ზრდის დასაკმაყოფილებლათ. ბუნებრივი ზრდის კოეფიციენტი დაახლოვებით უდრის 2 პროცენტს. მექანიკური ზრდა კი ცვალებადობს ყოველი ქალაქის ინდივიდუალური პირობების მიხედვით. თბილისისათვის ამ ბოლო წლების ანგარიშით შეიძლება მივიღოთ 5-6 პროცენტი. შეცვლილმა პოლიტიკურმა პირობებმა შესცვალა თბილისის მნიშვნელობა. იგი ამ ჟამად არამც თუ საქართველოს რესპუბლიკის დიდი ქალაქია, არამედ ცენტრაა მთელი ამიერ-კავკასიის ფედერატიულ რესპუბლიკისა, რის გამო მას ყოველ მხრიდან ბევრი ხალხი ეტანება. საერთოდ ყველა ქალაქების მოსახლეობის მექანიკური ზრდა ამ ბოლო წლებში დიდია, რაც აიხსნება უმთავრესად ცხოვრების ნორმალურ კალაპოტში ჩაყენებით და საბჭოთა ხელისუფლების ეკონომიური პოლიტიკის ძირიან-ფესვიანად შეცვლით. ყოველ შემთხვევაში მომავალ წლებში მექანიკური ზრდის ნორმა დაუახლოვდება და 5-6 პროცენტიდან დაიწევს. სიფრთხილისათვის ქ. თბილისში 1927 წელში მოსახლეობის მექანიკური ზრდა ვიანგარიშოთ მინიმალური 1,5 პროც., ხოლო შემდეგ წლებისათვის 1 პროცენტი. ამნაირად მოსახლეობის საერთო ზრდა თბილისში 1927 წელში იქნება 4 პროც. და 3 პროც. შემდეგ წლებში; ესე იგი, საშუალოთ თბილისს ყოველწლიურად მოემატება **ათი ათასი მცხოვრები.** ამ ახალი მოსახლეობის ბინით დასაკმაყოფილებლად უნდა ყოველწლიურად აშენდეს თითქმის 600.000 კბ. მეტრი ნაშენი (7,5 კბ. მ.×8×10.000).

ამ აუცილებლად საჭირო ბინების აშენების გარდა, საზრუნავია არსებული საბინაო მოედნების გაცვეთის შევსებაც (ამორტიზაცია). საზოგადოდ, წლიური ამორტიზაციისთვის იღებენ 0,6—1 პროც.. თბილისში ომის შემდეგ ბინები კაპიტალურათ თითქმის არ შეკეთებულა, რის გამო პროცენტი გაცვეთისა გაცილებით მეტია. ამის მიუხედავათ ამორტიზაციისთვის ავიღოთ მხოლოდ **ერთი პროცენტი.** არსებული საბინაო ფონდის მოედანი თბილისში უდრის ორ მილიონ კვადრატ. მეტრს. აქედან ყოველწლიურად იცვითება (1 პროც.) —20.000 კვ. მეტრი, ანუ 150.000 კბ. მეტრი ნაშენი. ამრიგად თბილისის მთელი მოსახლეობის დასაკმაყოფილებლათ ეგრედწოდებული „სანიტარული“ ნორმის (სულზე 8 კვ. მეტრი) მიხედვით, საჭიროა 1927 წელში აიგოს ბინის არსებული დეფიციტის დასაფარავად 2.620.000 კბ. მეტრი. მოსახლეობის ბუნებრივი და მექანიკური ზრდის დასაკმაყოფილებლათ 660.000 კბ. მეტრი და არსებული საბინაო ფონდის გაცვეთის ასანაზღაურებლად 150.000 მეტრი, სულ კი—3.412.000 კბ. მეტრი. ამ რაოდენობის კუბატურის აგება ერთი წლის განმავლობაში ქალაქისათვის ყოვლად შეუძლებელია. უკანასკნელი 3-4 წლის განმავლობაში ქალაქის ტერიტორიაზე სულ აშენდა 554 ოთახი. თუ ვიანგარიშებთ თითო ოთახისთვის საშუალოთ 15 კვ. მეტრს, მაშინ აშენებულა 8.310 კვ. მეტრი ბინები, ე. ი. 62325 კბ. მეტრი ნაშენი იმ ანგარიშით, რომ თითო კვ. მეტრზე აშენდა 7,5 კბ. მეტრი. მაშასადამე, მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად წლიურად უნდა აშენდეს თითქმის სამ მილიონ ნახევარი კბ. მეტრი, ჩვენ კი სამ-ოთხი წლის განმავლობაში სულ აგვიშენებია 62000 კბ. მეტრი. აქედან აშკარაა, თუ რამდენად ცოტაა ჯერ-ჯერობით გაკეთებული კრიზისის დასაძლევად, რა თქმა უნდა, მხოლოდ და მხოლოდ ჩვენგან დამოუკიდებელი ობიექტიური პირობების გამო, რომელთა შორის უმთავრესია—**სათანადო ფინანსიური სახსრების უქონლობა.** მდგომარეობა თანდათან უმჯობესდება, მაგრამ ჯერ კიდევ შორს არის ის მომენტი, რომ შევძლოთ მთელი მოთხოვნილების ფინანსიურად უზრუნველყოფა. ამის მიუხედავათ ჩვენ მაინც უნდა ვიცოდეთ, თუ რამდენად გაიზრდება მოთხოვნილება ბინებზე მომავალი ხუთი წლის განმავლობაში და რა ტემპით არის საჭირო აღმშენებლობის წარმოება, რომ დაბოლოს ქალაქის მთელმა მოსახლეობამ მიიღოს ეგრედწოდებული „სანიტარული“ საბინაო ნორმა მაინც (სულზე 8 კვ. მეტ.). ქვემოთ მოგვყავს საბინაო აღმშენებლობის 5 წლიანი პერსპექტიული გეგმა:

წელიწადი.	მოსახლეობის რაოდენობა.	მოსახლეობის აბსოლუტური ზრდა (მექ. და ბუნებრივი).	პროც.-ლი ზრდა.	მოსახლეობის ზრდის დასაკმაყოფ. უნდა აშენდეს კვ. მეტრი (სულზე—8 კვ. მეტ.)	ბინის არსებული ფონდის გაცვეთის დასაფარავად უნდა აშენდეს კვ. მ. (1 პროც.)	სულ წლიურად უნდა აშენდეს.	მინიმ. ნორმის (სულზე—8 კვ. მ.) დასაკმაყოფ. უნდა აშენდეს.	უნდა გვქონდეს საბინაო მოედანი (სულზე—8).
1	2	3	4	5	6	7	8	9
1926	283.000	—	—	—	—	—	—	2.000 000
1927	295.905	9.905	3,5	79.840	20.000	450.000	350.000	2.450.000
1928	301.692	8.787	3	70.296	24.000	94.000	—	2.544.000
1929	310.742	9.050	3	72.400	25.000	98.000	—	2.642.000
1930	320.064	9.322	3	74.576	25.500	99.500	—	2.741.500
1931	329.665	9.602	3	76.816	26.000	103.000	—	2.844.500
სულ 5 წ. შემდ.	322.666	46.666	3	375.992	120.500	844.500	—	2.844.500

ამრიგად, მომავალი ხუთი წლის განმავლობაში ქ. თბილისში უნდა აშენდეს 844.500 კვ. მეტრი საბინაო მოედანი, ე. ი. წლიურად საშუალოდ 169.000 კვ. მეტრი. ამ რაოდენობის აღმშენებლობის განხორციელება მარტო ქალაქის რესურსების საშუალებით შეუძლებელია. როგორც ზევით იყო აღნიშნული, უკანასკნელი 3-4 წლის განმავლობაში ქალაქში აშენდა მხოლოდ 8310 კვ. მეტრი საცხოვრებელი მოედანი; ეს რაოდენობა მხოლოდ „წვეთია“ მოთხოვნილებასთან შედარებით, ვინაიდან იგი ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის წლიური ზრდის ერთი მეცხრედ საჭიროებასაც კი. აქამდის საშუალოდ ყოველწლიურად აშენებულა 2000 კვ. მ., ე. ი. 1,2 პროცენტი წლიური საჭიროებისა. აქედან აშკარაა, რომ „სანიტარული“ ნორმის (სულზე 8, კვ. მ.) მიღწევაც კი ქალაქისათვის შორეულ მომავლის საქმეთ უნდა ჩაითვალოს. ამიტომ უახლოესი წლების სააღმშენებლო გეგმა უფრო ვიწროთ უნდა შემოვფარგლოთ რითაც ჩვენს საბინაო აღმშენებლობას უფრო რეალურ ბაზას მივცემთ.

დღევანდელი პირობების მიხედვით თბილისში თითოეულ სულზე **შვიდი კვ. მეტრი მოდის** და ესეც მხოლოდ „თეორიულად“. სინამდვილეში კი არსებულ ორ მილიონიან ფონდს უნდა გამოვაკლოთ საკმაო დიდი სივრცე, რომელიც საცხოვრებლათ სრულიად გამოუსადეგარია. ამ კორექტივის შეტანის შემდეგ, შეიძლება საშუალოთ ვიანგარიშოთ სულზე სულ ბევრი-ბევრი 5-6 კვ. მეტრი. რუსეთის უმეტესი წილი დიდი ქალაქების საბინაო პოლიტიკის უახლოეს მიზანს შეადგენს საცხოვრებელი სივრცე სულზე 6 მეტრამდე აყვანა, ვინაიდან მათ დღეს მხოლოდ 4,5 კვ. მეტრი მოსდით. ამ მხრივ ჩვენი ქალაქი თითქმის უკეთეს პირობებშია, რადგან აქ სულზე 0,5—1,5 კვ. მეტრით მეტი მოდის, ვიდრე რუსეთის ქალაქებში. მაშასადამე პირველ რიგში ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ უახლოეს წლებში პრაქტიკულათ მივაღწიოთ საცხოვრებლათ გამოსადეგი 7 კვ. მეტრიანი თეორიული საშუალო სულობრივი ხვედრი მაინც. თუ ამ მინიმუმის მინიმუმს დავადებთ საფუძვლათ ჩვენს საბინაო აღმშენებლობის პროგრამას, მაშინ საჭირო იქნება აშენდეს მხოლოდ ახალი მოსახლეობის ბუნებრივი ზრდის (2 პროც. წლიურად) დასაკმაყოფილებლათ: 1927 წელში—39.620 კვ. მეტრი საცხოვრებელი არე, 1928 წ. 41.006 კვ. მეტ., 1929 წ. 42.238 კვ. მეტ., 1930 წ. 43,505 კვ. მ. და 1931 წ. 44,807 კვ. მ., სულ კი ხუთი წლის განმავლობაში უნდა აშენდეს, 30,165 სულით ბუნებრივათ გაზრდილი მოსახლეობის ბინით დასაკმაყოფილებლათ, 211.176 კვ. მეტრი საცხოვრებელი არე. ამ ანგარიშში მოსახლეობის მექანიკური ზრდა არ არის მიღებული მხედველობაში; ჩვენი ზრუნვის უმთავრეს საგანს დღეს-დღეობით შეადგენს მოსახლეობის ბუნებრივი ზრდის ბინებით უზრუნველყოფა და არსებული საბინაო ფონდის შენახვა—სტაბილიზაცია. ბინების გაცვეთისთვის წლიურად რომ 1 პროც. ავიღოთ და ამასთან ერთად პირველ ხუთ წლედში (1927 წ. 31 წ. წ.) ბინების ამორტიზაციაზე სრულიად ხელი ავიღოთ; მაშინ ყოველწლიურად ახალ ბინა მხოლოდ ძველი გაცვეთის შესავსებათ 20.000 კვ. მეტრი საცხოვრებელი მოედანი. რადგან არსებული საბინაო ფონდის განახლება (გაცვეთის ანაზღაურება) აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, ამიტომ ზემოაღნიშნულ ყოველწლიურ აღმშენებლობას უნდა დაემატოს ოც-ოცი ათასი კვ. მეტრი. ამის მიხედვით მომავალ ხუთ წლეულში აუცილებლად უნდა აშენდეს: 1927 წ. 59.620 კვ. მ., 1928 წ. 62.006 კვ მ., 1929 წ. 62,238 კვ. მ., 1930—63.505 კვ. მ. და 1931 წ. 64,807 კვ. მ., სულ კი 311.176 **კვ. მეტრი საცხოვრებელი მოედანი.** ეს არის მინიმალური საბინაო აღმშენებლობის პროგრამა მცხოვრებთა სიმჭიდროვეს არსებულ დონეზე შესარჩევათ. უამისოთ საბინაო კრიზისი ქ. თბილისში სულ ახლო ხანში კატასტროფიულ ხასიათს მიიღებს.

აუცილებელია გავითვალისწინოთ, თუ რა ფინანსიური რესურსები იქნება საჭირო ამ მინიმალური სააღმშენებლო გეგმის შესასრულებლათ. ერთი კუბიკური მეტრის ნაშენის ღირებულება დამოკიდებულია ბაზრის კონიუნქტურაზე; დღეს-დღეობით ქ. თბილისში სააღმშენებლო მასალის ინდექსი ფრიად მაღალია. ერთი კუბიკური მეტრის ქვიტკირის სახლის აგება („სამშენის“ ცნობით) ჯდება 8,5—10 მანეთამდე. საშუალოზე ანგარიშობენ კუბ. მეტრზე 9 მანეთს; ომამდე კი იგივე ღირდა დაახლოვებით 3-4 მანეთი. ზემოაღნიშნული 311.000 კვ. მეტრი საცხოვრებელი მოედნის მისაღებათ საჭიროა აშენდეს 7,5 კბ. მ.×311.000—2.332.500 კბ. მეტრი ნაშენი, რაც დაჯდება ეხლანდელი სააღმშენებლო კალკულაციის მიხედვით 9 მან.×4.509.500—20.992.500 მანეთი. აქედან აშკარაა, რომ ამ სააღმშენებლო პროგრამა-მინიმუმის განხორციელებაც საძნელოა.

უკანასკნელი 3-4 წლის განმავლობაში ქ. თბილისში აშენდა სულ 1.881.000 მანეთის ღირებული ახალი ბინები; აქედან თბილისის აღმასკომმა დახარჯა 1.143.000 მან., კოოპერაციამ—298.000 მან., მრეწველობა—ტრანსპორტმა—130.000 მან. და კერძოთ—250.000 მან.. მაშასადამე, 3-4 წლიწადში საბინაო აღმშენებლობაზე ქ. თბილისში დახარჯულა მხოლოდ 22-23 პროცენტი იმისა, **რაც ერთ წელიწადში** უნდა დახარჯულიყო ბინის კრიზისის შესანელებლათ. ცხადია, რომ ამნაირი სააღმშენებლო ტემპით ბინის საკითხის მოგვარება შეუძლებელია.

ჯერ-ჯერობით ახალი ბინების აგებას უმთავრესად თვით საბჭოთა ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოები აწარმოებენ (70,1 პროც.), მეორე ადგილი უკავია კოოპერატიულ ამხანაგობებს (16.3 პროც.) და უკანასკნელი კერძო მშენებლობის (13,6 პროც.). იმპერიალისტური ომის წინ ბინების აგება თითქმის მთლათ კერძო კაპიტალის ხელში იყო. დღეს კერძო კაპიტალი აშკარად გაურბის საბინაო აღმშენებლობას, როგორც მცირე მომგებიან საქმეს. ამიტომ ქალაქის საბჭო, როგორც მშრომელთა ორგანო, იძულებულია მთელი სიმძიმე საბინაო აღმშენებლობისა თავის თავზე მიიღოს.

აქვე უნდა აღინიშნოს თბილისს ქალაქის ბანკის სარემონტო-სააღმშენებლო კრედიტის როლი მთელი ქალაქის საბინაო აღმშენებლობაში. ბანკმა დაიწყო საკრედიტო ოპერაციები 1924 წლის დასაწყისს. 1927 წლამდე ბანკს გაუცია კრედიტი 1330 სახლის შესაკეთებლათ დაახლოვებით 1.110.000 მანეთი. სესხი ეძლევა კერძო მოქალაქეს 12-18 თვის ვადით წლიურად 12 პროცენტის ანგარიშით, ხოლო საბინაო-სამშენებლო კოოპერაციას—10 პროც. ანგარიშით. მუშათა ბინების ასაშენებლათ დაწესებულია გრძელვადიანი კრედიტი 50 წლით 1 პროცენტის ანგარიშით წლიურად. პირველ იანვრამდე 1927 წლ. ამ სახის კრედიტით გაცემულია 572.000 მან., რომლითაც აგებულია 154 ოთახი. ამ რიგათ, ბანკის მიერ გაცემულია სულ ქ. თბილისში სარემონტო-სააღმშენებლო მიზნით 1.682.000 მანეთი. კრედიტის პირობები, დღევანდელი საერთო ფინანსიური მდგომარეობის მიხედვით, ძალიან ხელსაყრელია; ამით აიხსნება დიდი მოთხოვნილება ამ კრედიტზე, რომელსაც სამწუხაროთ ბანკი მეტად შეზღუდული თანხების გამო ვერ აკმაყოფილებს. თბილისში 13.000-დე საცხოვრებელი სახლია; კრედიტით კი უსარგებლნია მხოლოდ 1329 სახლს. ეს უმნიშვნელო დახმარებაა, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ეხლა თბილისში ძვირად მოიპოვება ისეთი სახლი, რომელსაც კაპიტალური რემონტი არ სჭირდებოდეს. თუ დროზე არ იქნა სათანადო ღონისძიებანი გამოძახული, შესაძლებელია ქალაქმა არსებული საბინაო მოედანიც თანდათანობით დაჰკარგოს. მარტო საბიუჯეტო სახსრებით საქმის მოგვარება შეუძლებელია, თუ ამ დიდ ამოცანის გადაჭრაში კერძო მფლობელობამაც არ ჩავაბით.

საბინაო აღმშენებლობის ნორმალური ტემპით განვითარებისათვის, სააღმშენებლო მასალის გაიაფების გარდა უმთავრესად საჭიროა: 1) სახელმწიფო და ადგილობრივი ორგანოების განუწყვეტელი მონაწილეობა ბინების აღმშენებლობაში, 2) კერძო ინიციატივის აწევა და 3) საკმაო ფინანსიური რესურსების გამონახვა.

მარტო სახელმწიფოს ადგილობრივი ორგანოების მიერ ყოველწლიურად სპეციალურად გამოყოფილი თანხებით საბინაო კრიზისის დაძლევა შეუძლებელია. ჩვენს ხელისუფლებას მრავალგვარი და ფრიად რთული საქმეები აწევს კისერზე; პირველ რიგში ინდუსტრიალიზაცია, სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია, განათლების და საქვეყნო სანიტარული დაწესებულებათა ქსელის გაფართოება და სხვა მრავალი. ამის გამო მას არ შეუძლია საკმაო თანხების გაღება ბინების აღმშენებლობაზე. საბინაო სააღმშენებლო ფონდის განსაკუთრებლად 1925 წლის პირველ აპრილიდან ქ. თბილისში შემოღებულია სხვათა შორის მიზნობრივი საბინაო გადასახადი, რომლითაც იბეგრებიან მხოლოდ არამშრომელი ელემენტები. 1925-26 საბიუჯეტო წელში ამ გადასახადით გაიწერა 222.922 მან. ფაქტიურათ კი შემოვიდა 198.192 მანეთი, 26-27 საბ. წელში გაწერილია უკვე 500.000 მან.. როგორც ზევით აღნიშნა ამ თანხებით ბინის კრიზისს ვერ შევანელებთ. აუცილებელია კიდევ სხვა ზომების მიღება. პირველ ყოვლისა მნიშვნელოვან საშუალებით მომავალი აღმშენებლობის გასაფართოებლათ უნდა ჩაითვალოს კერძო ინიციატივის აწევა. მეორე, საჭიროება აგრეთვე მშრომელთა ზედაფენების გარდა ბინის კრიზისთან ბრძოლაში ჩაბმა აგრეთვე ფართო მასები და მესამე, ამ თვითმოქმედების და ინიციატივის განვითარებისთვის საჭიროა მთელი რიგი ფაქტორების პრაქტიკულათ წამოყენება და მათი განმტკიცება. აი, ეს ფაქტორებიც.

1) მოქალაქეს უნდა მიეცეს რამე უფლებრივი გარანტია თავისი ბინით სარგებლობის საქმეში: ა) პირველ ყოვლისა ის უნდა აღიჭურვოს **ერთნაირი** თავისუფლებით ბინის ქირის დაწესების საქმეში და ბ) მის სახლში შემჭიდროვება, ან გადაჯგუფება ადმინისტრატიული წესით საბოლოოთ უნდა აღიკვეთოს, თუ ამას რაიმე უკიდურესი მდგომარეობა არ მოითხოვს.

2) ერთხელ და საბოლოოთ უნდა გამოიყოს სახელმწიფოს, აღმასკომის, კოოპერაციის და კერძოთა მფლობელობა ერთმანეთისაგან.

3) ახალი სახლის მშენებლობა ნაწილობრივ დამოკიდებულია იმ პირობებზე, რომლითაც აღმშენებელი მიიღებს აღმასკომის უძრავ ქონებათა სამმართველოდან. მიწა ეკუთვნის ქალაქს, რომელსაც უფლება აქვს თავისუფალი ნაკვეთი ქალაქის ფარგლებში გასცეს იჯარით დასახლების მიზნით. კანონით იჯარის ქირის რაოდენობა განისაზღვრება ხუთ წელიწადში ერთხელ. იმ მიზნით, რომ აღმშენებელი ასე თუ ისე ხანგრძლივათ უზრუნველყოფილ იქნეს იჯარის ცვალებადობისაგან გადიდების მხრივ. ამის გარდა, სახლის აღმშენებელი იხდის სახელმწიფოს სასარგებლოთ მიწის რენტას, რომელიც არსებითად იგივე საიჯარო ქირაა, მხოლოდ მინიმალურად განსაზღვრული. რენტა არსებითად საიჯარო ქირას სდის და მაშასადამე, ამცირებს სახლის შემოსავალს. ასეთი მდგომარეობა ისედაც სუსტ კერძო ინიციატივას სრულიათ ანელებს.

4) საიჯარო ხელშეკრულებაში საჭიროა გარკვევით აღინიშნოს თუ რა პრივილეგიები, ეძლევა აღმშენებელს და შემდეგ იმ მოვალეობაზე მეტი, რაც ხელშეკრულებით გათვალისწინებულია, არ უნდა დაეკისროს მას.

5) მიზანშეწონილია აღმშენებელის განთავისუფლება ადგილობრივი უძრავ ქონებაზე დაწესებულ გადასახადიდან რამდენიმე წლის განმავლობაში.

ყველა ზემოაღნიშნული საკითხების დადებითად გადაწყვეტა იქნებოდა მძლავრი სტიმული საბინაო აღმშენებლობის გასავითარებლათ.

უფლებრივ ფაქტორების ზოგად აღნიშვნის შემდეგ, საჭიროა შევეხოთ ბინათ მშენებლობის ფინანსიურ მხარესაც. ზემოთ იყო აღნიშნული, თუ რამდენად მცირეა დღემდე გაწეული ხარჯები ამ საქმეზე: ეს თანხა მხოლოდ წვეთია ბინის კრიზისთან საბრძოლველათ საჭირო თანხებთან შედარებით. ქალაქში ამ ბოლო დროს ფეხს იმაგრებს ეგრედ წოდებული სააღმშენებლო კოოპერაცია, რომლის სააღმშენებლო ფონდში შედის: 1) 5 პროცენტიანი ანარიცხი აღმასკომის ექსპლოატაციაში მყოფ სავაჭრო-სამრეწველო სადგურების საიჯარო ქირიდან, 2) საბინაო გადასახადიდან შემოსული თანხები და „ცეკომბანკის“ კრედიტების 5 პროცენტიანი ანარიცხებიდან და 3) ანარიცხები მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდებიდან.

ყველა ამ წყაროებიდან პირველ იანვრამდე 1927 წლ. შემოსულია დაახლოვებით 800.000 მანეთი. ეს მნიშვნელოვანი თანხა, მაგრამ საბინაო აღმშენებლობას ამით ფართო გზაზე მაინც ვერ გამოვიყვანთ მას ყოველწლიურად, როგორც დავინახეთ, მილიონები სჭირია.

ნორმალურ პირობებში ახალი აღმშენებლობა სწარმოებს სახლის მეურნეობის დაგროვილი თავისუფალი კაპიტალის მიხედვით. საქართველოში ამჟამად დაგროვილი კაპიტალის რაოდენობის შესახებ სწორად დამუშავებული მასალა არ მოიპოვება. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ის (კაპიტალი) ჯერ-ჯერობით აუცილებლათ მცირეა, რადგან იმპერიალისტური და სამოქალაქო ომებით დაცემული სახლების მეურნეობა ჯერაც მაგარ ფეხზე ვერ დამდგარა. ცხადია, აგრეთვე, რომ აქედან შესამჩნევი თანხებს ახალი აღმშენებლობა ვერ მიიღებს, ამიტომ უაზრო იქნებოდა, როგორც ზოგიერთები გვირჩევენ, „საბინაო სესხის“ გამოშვება. იგი ბაზარს ვერ იშოვნის. გადასახადების გზით საჭირო თანხების გამონახვა თითქმის შეუძლებელია, ვინაიდან გადასახადთა სიმძიმის გადიდება შეიძლება სახიფათო შეიქნეს თვით მეურნეობის არსებობისათვის. მაშასადამე, დარჩა ერთი და უმთავრესი გზა საბინაო ქირის პრობლემის რაციონალურად გადაჭრა. ბინის ქირა ეხლა ცენტრალური საკითხია ჩვენი საბინაო ლიტერატურისათვის. კერძო კაპიტალის ჩაბმა საბინაო აღმშენებლობაში დამოკიდებულია გარდა წმინდა უფლებრივი გარანტიებისა, **სარგებლის რაოდენობიდანაც.** 1914 წლამდე (ომამდე) თბილისში სახლის წმინდა შემოსავალი უდრიდა სახლის ღირებულების 6 პროცენტს, მოქალაქე, რომელიც, ვსთქვათ, სახლის აგებაში დახარჯავდა 20.000 მანეთს, ყოველწლიურად უზრუნველყოფილი იყო 1.200 მანეთის შემოსავლით, რითაც მას შეეძლო ოჯახი შეენახა. იმის შემდეგ, როდესაც ყველაფერი გაძვირდა, თითქო ბინებიც სათანადოთ უნდა გაძვირებულიყო, მაგრამ სივიწროვის და ხალხის სიღარიბის გამო ბინის ქირა კანონით შეიზღუდა. კაპიტალის დაბანდება სახლთმშენებლობაში რენტაბლიური აღარ შეიქნა, რადგან სახლის შემოსავალი ხელოვნურად შემცირდა. ამავე დროს კაპიტალი სპეკულიაციის საშუალებით გაცილებით მეტს იგებდა, კაპიტალის პატრონს სახლი აღარას ვერ მისცემდა. ამავე მიზეზით სახლების კაპიტალური რემონტიც შეჩერდა, რის გამო დაიწყო არსებული საბინაო მოედნის განადგურების პროცესი. მცხოვრებთა რიცხვი იზრდებოდა, მასთან დაკავშირებით ბინის საკითხიც გამწვავდა. საბჭოთა ხელისუფლებამ მემკვიდრეობით მიიღო უკვე მოშლილი საბინაო მეურნეობა; ის ენერგიულად შეუდგა საბინაო ფონდის აღდგენა-გაფართოებას, მაგრამ, მიუხედავათ დიდი მიღწევებისა ამ მხრივ შეუძლებელი შეიქნა არსებული კრიზისის დაძლევა მარტო საკუთარი საბიუჯეტო სახსრებით. დღეს-დღეობით აუცილებელი შეიქნა ბინის ქირის საკითხი რამოდენიმედ გადაისინჯოს, რომ ამ მხრივ შეიქმნას საჭირო სტიმული ბინების კერძო მშენებლობისათვის. ბინის ქირა ამჟამად შეადგენს მუშის საშუალო ხელფასის დაახლოვებით 3 პროცენტს; ომის წინ კი იგი უდრიდა 20—25 პროცენტს. თუ შედარებისათვის ამ პროცენტს გამოვაკლებთ სახლის პატრონის წმინდა მოგებას, რომელიც მაშინ შედის, მაინც ბინის ქირა წინეთ გაცილებით მეტი იყო, ვინემ ეხლა. დღეს უეჭველ შემთხვევაში სახლის შემოსავალი მის ხარჯებსაც ვერ ფარავს. საშუალოდ ქალაქებში ერთ კვ. მეტრზე ქირა მოდის დაახლოვებით 0,32—0,50 მანეთი, ხოლო ხარჯები კი (ახლის მოვლა, რემონტი, იჯარა და ამორტიზაცია)—0,45—0,55 მანეთამდე. ამრიგად, თუ გვინდა, რომ ბინა იქნეს ნორმალურ პირობებში, შემოსავლის გარდა საჭიროა დამატებით დაიხარჯოს თვითეულ კვ. მეტრზე 0,06—0,13 მანეთი. ამდენ თანხას, ცხადია, ვერც სახლის პატრონი და ვერც დამქირავებელი ვერ გაიღებს.

ბინის ქირა, როგორც ვიცით, საბჭოთა ხელისუფლებამ კლასობრივ ნიადაგზე დაამყარა. შეძლებული და არა მშრომელი ელემენტები ამ მხრივ საკმაოდ დაბეგრილია, მაგრამ ჩვენს რესპუბლიკაში ესენი მცხოვრებთა უმნიშვნელო პროცენტს შეადგენს. ქალაქის სახლების მობინადრეთა უმთავრეს კონტიგენტს მუშა-მოსამსახურენი შეადგენენ; არსებითად მათ ხელშია მთელი საბინაო ფონდი. უპირველეს ყოვლისა მათვე უნდა იზრუნონ „საკუთარი“ ფონდის შენახვაზე.

საბჭოთა ხელისუფლებამ, რასაკვირველია, თავის დროზე მიაქცია ყურადღება ბინის ქირის საკითხის მოგვარებას. პირველათ 1921 წლ. ნოემბრიდან დაწესდა ბინის ქირა არა მშრომელი მოსახლეობისათვის, ხოლო მშრომელი ნაწილისათვის 1922 წლის აპრილიდან. 1923 წელში შემოღებულ იქნა ბინის ქირა საქონლის მანეთებში. ამის შემდეგ ტარიფი გადატანილ იქნა ჩერვონეცის მანეთებში და იგი გადიდდა ჯერ 1925 წელში, მეორეთ 1926 წლის ნოემბერში, მიუხედავად ამ გადიდებისა, ტარიფი მაინც დამაკმაყოფილებელი არ არის. ახლების მდგომარეობა დღეს მთლათ დამოკიდებულია მობინადრეთა შემთხვევით შემადგენლობაზე: თუ სახლში სცხოვრობენ ცოტათ თუ ბევრათ

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

სავალდებულო საგადასახადო დაზღვევა

ქუთაისი, 27 ივლისი. სახელმწიფო დაზღვევის ქუთაისის განყოფილებას განზრახული აქვს შემოიღოს სასოფლო-სამეურნეო კულტურების სეტყვისა და საქონლის ჭირისაგან სავარიში 52:5; მეორე მატჩში 40:17. (ადს). მოსამზადებელი მუშაობა. (ადს).

შეჯიბრი ბასკეტბოლში

ქუთაისი, 27 ივლისი. გაიმართა შეჯიბრი ბასკეტბოლში „ქუთაისის ნაკრებ" და „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი"-ს გუნ-

ფილოქსერასთან ბრძოლა

სიღნაღი, 27 ივლისი. სიღნაღის მაზრაში ჩამოვიდა სამეცნიერო ექსპედიცია აგრონომ ბატიაშვილის მეთაურობით კახეთის ფილოქსერიან რაიონების გამოსაკვლევად. ექსპედიციამ მაზრის აგრონომთან ერთად შეადგინა მუშაობის გეგმა, გარკვეულია დასაყრდნობი პუნქტები და ფილოქსერის გავრცელების ხაზი გურჯაანიდან წნორისაკენ და კაქრეთისაკენ. გამოკვლევა დასრულდება 10 აგვისტოსათვის. (ადს).

მალარიის საწინააღმდეგო ექსპედიცია

სიღნაღი, 27 ივლისი. ჩამოვიდა მალარიის საწინააღმდეგო ექსპედიცია პროფ. ვირსალაძის მეთაურობით. ექსპედიცია გამოიკვლევს მაზრის იმ რაიონებს, სადაც გავრცელებულია მალარია და აგრეთვე აღმოუჩენს მოსახლეობას საექიმო დახმარებას. ექსპედიციის შემადგენლობაში იმყოფებიან ჰიდრავლიკი და ტოპოგრაფი. ამჟამად ექსპედიცია მუშაობს წნორის რაიონში და შემდეგ გადავა ალაზანს გაღმა რაიონში.

საქართველოს წითელი ჯვრის ბაისუბნის სამალარიო ამბულატორია გადაკეთდა სამალარიო სადგურად, სადაც უახლოეს დროში მუშაობას დაიწყებს 2 ექიმი. (ადს). დეს შორის. გაიმარჯვეს თბილისელებმა ანგარიშით—52:5; მეორე მატჩში 40:17 (ადს).

სასკოლო მშენებლობა

სიღნაღი, 27 ივლისი. მთელს მაზრაში სწარმოებს ახალი სკოლების აგება და ძველის შეკეთება. სახალხო განათლების სამაზრო განყოფილების ხარჯზე აგებულია 3 სკოლა. მთელ რიგ სოფლებში სკოლები შენდება გლეხების ხარჯზე. (ადს).

წერილები

უყურადღებო სოფელი

(გორის მაზრის აღმასკომის საყურადღებოდ).

სოფ. ძევერა, ქალ. გორიდან დაშორებულია დაახლოვებით 15 ვერსით და მოსახლეობის რაოდენობა აღემატება 250 კომლს. სახნავ-სათესი მიწების უნაყოფობის და მათ მოუსავლიანობის გამო, ხშირია შემთხვევა შუა ზამთარში შემოჰკლებია მცხოვრებ გლეხებს საკვები და ცოლშვილით ვარდება აუტანელ მდგომარეობაში. ამასთან ერთად ავადმყოფობა, არსად ექიმი, არსად წამალი და შველა დახმარების მისაღებად. აქ საექიმო პუნქტი არ არის. ან ექიმთან უნდა მიმართო, ან შორს უნდა წაიყვანო ავადმყოფი, რაც ძლიერ საძნელოა გლეხისათვის.

არც კულტურულადაა კარგად დაყენებული საქმე ამ სოფელში. იმ დროს, როდესაც სხვადასხვა კუთხეებში, გლეხებმა აღმასკომების დახმარებით მრავლად ააგეს კლუბები, სამკითხველოები, სკოლა და სხვ., სოფ. ძევერის მოსახლეობას არ მოეპოვება უბრალო ფარდულიც კი წარმოდგენის ჩასატარებლად. ამას უნდა მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება სოფლის ყოველმა შეგნებულმა პირმა; თემის ან მაზრის აღმასკომის დახმარებით უნდა შეიქმნას ის, რასაც მოკლებულია გლეხობა. ხშირია გლეხის ჩივილიც: „სოფელში პატარა კოოპერატივის გახსნასაც ვერ ვეღირსეთ. მთელი კვირის ნამუშევარს, დაქანცულ ხალხს, საოჯახო, უბრალო საგნებისათვის, როგორიცაა: ნავთი წუმწუმა და სხვა, კვირა დღეს, გვიხდება გორში ჩასვლა.

ხშირად შეხვდებით სოფლის ქუჩებში ცხენზე, ხურჯინ და ბოხჩა გადაკიდებულ ჩარჩებს, რომელნიც დაძრწიან უბნიდან-უბანში, ატყუებენ ხალხს და უბრალო საგნებში მამასისხლის ფასს ახდევინებენ.

რატომ გორის მაზრის აღმასკომი არ მიაქცევს ყურადღებას სოფ. ძევერას?

სტუმარი.

ამ გზით შევძლებთ პოლიტგანმანათლებელ მუშაობის გამოცოცხლებას

პოლიტგანმანათლებელ მუშაობას ძლიერ აფერხებს ის მდგომარეობა, რომ სოფლებსა და თემებში ცოტა მოგვეპოვება შესაფერისად მომზადებული პოლიტგანათლების მუშაკები; გარდა ამისა თემის პოლიტგანათლების ცენტრო—ქოხ-სამკითხველოს გამგეები უმნიშვნელო ხელფასს ღებულობენ; შემდეგ, ქოხ-სამკითხველოები, წითელი კუთხეები და სხ. არ არიან უზრუნველყოფილი ჟურნალ-გაზეთებით და თანამედროვე ლიტერატურით. ჩვენი გლეხკორები ქოხ-სამკითხველოების სუსტ მუშაობას უმთავრესად გამგეების მცირე ხელფასით ხსნიან—გამგე მცირე ხელფასს იღებს და ამიტომ შესაფერი მომუშავე ვერ ვიშოვეთ. ქოხ-სამკითხველოს არ აქვს ცოტაოდენი თანხა, რომ თავის ნებაზე გამოიწეროს ჟურნალ-გაზეთები და ლიტერატურა.

ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია ჩვენი პარტიის ცეკამ. თავის ცირკულიარში ადგილობრივ ორგანიზაციებისადმი ცეკა ავალებს მათ, რომ მომავალი წლის ბიუჯეტის შედგენის დროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მაზრის პოლიტგანათლების ბიუჯეტს. ქოხ-სამკითხველოს გამგის ჯამაგირი ვათანასწორებული უნდა იქნეს 4 წლედის მასწავლებლის ჯამაგირთან. ქოხ-სამკითხველოს მუშაობის გამოსაცოცხლებლად ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩვენ შეძლება გვექნება ქოხ-სამკითხველოს შესაფერისათ გამოცდილი და მცოდნე გამგე ავიყვანოთ. როდესაც გამგეს კარგი ხელფასი ექნება, ჩვენ მას თამამად მოვთხოვთ კარგად იმუშაოს. გარდა ამისა „გათვალისწინებული უნდა იქნეს ქოხ-სამკითხველოების და წითელი კუთხეების გაზეთებით და ლიტერატურით უზრუნველყოფა". შემდეგ, ბიუჯეტში შეტანილ უნდა იქნეს პოლიტგანათლების მუშაკთა გადასამზადებელ კურსებისათვის საჭირო თანხები.

ყველა ეს ღონისძიებები, თუ ამის გატარება უნაკლოდ შევძელით, საშუალებას მოგვცემს თემებს მივსცეთ მომზადებული პოლიტგანმანათლებელი მუშაკები, ქოხ-სამკითხველოები უზრუნველვყოთ ჟურნალ-გაზეთებით და ლიტერატურით და დავუნიშნოთ შესაფერი გამგეები, რაც ხელს შეუწყობს პოლიტგანმანათლებელ მუშაობის გამოცოცხლებას.

ი—აძე.

უნდა მოგვარდეს

(თერჯოლის თემი, შორაპნის მაზრა)

ყველასათვის ნათელია, რომ დღეს თემებში თემაღმასკომებს არ ყავს შეიარაღებული ძალა და საჭიროების დროს რა ძალას მიმართოს აღმასკომმა არ იცის, რაიონებს, სადაც მილიცია დაშორებულია თემებს კარგა გვარიანი მანძილით, და კერძოთ თერჯოლის თემაღმასკომზე ჩხარის რაიმილიცია დაშორებულია 8 ვერსით. ადვილად დავრწმუნდებით, რომ ამ სიშორეზე სარგებლობა საჭიროთ მილიციით ძნელი და მოუხერხებელია. მართალია, აღმასკომებს ყავს დარაჯები, მაგრამ ეს ხომ აღმასკომის დარაჯია და არა შეიარაღებული ძალა.

ჩემის აზრით, რომ რევოლიუციონური კანონიერება და სათანადო წესრიგი იქნეს დაცული თემში, საჭიროა თემაღმასკომს ყავდეს ერთი სპეციალურად ამ საქმისათვის მილიციონერი.

საჭიროა სამაღმასკომის მიერ მიექცეს ამ გარემოებას ყურადღება და ეს საკითხი მოგვარებულ იქნას.

ვალ—ია.

წერილებიდან

— **წითელი მოედნები.** (სოფ. პატარძეული, თბილისის მაზრა) სხვათა შორის ყურადღების ღირსია ერთი რამ. ამ სოფელში არის ეგრეთ წოდებული წითელი მოედნები, სადაც ჯგუფდებიან გლეხები, ერთი ვინმე წერა-კითხვის მცოდნე მის გარშემო შემოკრებილ გლეხებს უკითხავს სხვადასხვა ჟურნალ - გაზეთებს. ასეთი მოედნები მოთავსებულია 4 ადგილას. თვით სამკითხველოშიაც სწარმოებს ასეთი ხმა-მაღალი კითხვა გაზეთების.

შ. მ—ლი.

— **რადიო — სოფლად** (ს. წითელქალაქი, გორის მაზრა) 16 ივნისს სოფელ წითელ ქალაქში მთაპოლიტგანის სამმართველოს მიერ მოწყობილ და დადგმულ იქნა ხმა-მაღლა მოლაპარაკე რადიო - მიმღები სადგური.

პირველ ღამესვე მოსმენილ იქნა: თბილისი, მოსკოვი და ბაქოს გადმოცემები. მიმღები სადგური მოწყობილია ქოხ - სამკითხველოსთან. საღამოობით კლუბის დარბაზი ვერ იტევს დამსწრე საზოგადოებას.

ი. მეზურნოვი.

— **ნიგოით - ამაღლების გზა** (ოზურგეთის მაზრა). ნიგოით - ამაღლების საურმე გზა ძლიერ გაფუჭებულია მისვლა - მოსვლა გაძნელებულია. ეს გზა გადის მთა-გორიან ადგილებში და ამისათვის მას ხშირად აფუჭებს ნიაღვარი. ეს გზა დაახლოვებით იქნება 9 ვერსი. საჭიროა მისი შეკეთება. მაზრაღმასკომმა და გზათა სამმართველომ უნდა დაიწყონ მუშაობა. გლეხებმა კი, რომელნიც ამ გზით სარგებლობენ, ყოველივე დახმარებას აღმოუჩენენ. ეს არის მთავარი სათემო და საზოგადო გზა.

ბ. შაფათავა.

— **გვალვამ დალუპა მთელი მოსავალი.** (კაკაბეთი, სიღნაღის მაზრა). ხანგრძლივმა გვალვამ გადაწვა მთელი მოსავალი. სარწყავები ძალიან ნაკლები გვაქვს, და რაცა გვაქვს სარწყავი ადგილები, იქაც დაშრა წყლები. ისეა გახურებული მიწა, რომ საშიშია საქონელს ფეხი არ ჩაუვარდეს. გადაიწვა როგორც შემოდგომის, ისე გაზაფხულის ნათესები.

სოფელ ჩაილურს სასმელი წყალიც არ მოეპოვება.

ქიზიყურაშვილი.

მუშათა ცხოვრება

მუშათა ჯანმრთელობის შესახებ

(წერილი ივანოვო-ვოზნესენსკიდან)

მუშათა ჯანმრთელობის დაცვის საკითხი ივანოვო-ვოზნესენსკის საფაბრიკო-საქარხნო ადმინისტრაციის წინაშე წამოჭრილია დღეს მთელი თავისი სიგრძე-სიგანით წარმოების რაციონალიზაციის პირობებში მუშათა ჯანმრთელობის დაცვა, საკითხი მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას სწორედ ამ მიზანს ემსახურება ივანოვ-ვოზნესენსკის ზოგიერთ სამრეწველო დარგების მუშათა ჯანმრთელობის გამორკვევა, რომელიც რამდენჯერმე ჩატარდა. ინტერესს მოკლებული არ იქნება თუ მოვიყვანთ ცნობებს იმ გამორკვევის შედეგებიდან, რომელიც ჩატარდა სამღებრო-საპრეპარატო წარმოების ზოგიერთ განყოფილებაში 1926 წ. ნოემბერში და 1927 წ. მარტში. გამორკვევა ეხებოდა სულ 733 მუშას, რომელთაგან 535 მამაკაცი იყო და 198 დედაკაცი. ამ გამორკვევიდან ვტყობილობთ, რომ 535 მამაკაციდან ჯანმრთელი აღმოჩნდა სულ 150 კაცი, დედაკაცებიდან 45. ვტყობილობთ აგრეთვე იმასაც, თუ რომელ ასაკში რამდენია დაავადებული: 50-დან 59 წლამდე მეტია ავადმყოფთა რიცხვი, ვიდრე დანარჩენი წლებში. ქალაქებში 20—29 წ. წ. ჯანმრთელი აღმოჩნდა 32,5 პროც. ყველაზე უფრო გავრცელებულია ავადმყოფობა ე. წ. ემფიზემა. ამ ავადმყოფობით მამაკაცები მეტი შეპყრობილი არიან, ვიდრე დედაკაცები. ტუბერკულიოზის სხვადასხვა ფორმით შეპყრობილია სულ 9,5 პროც. მამაკაცი, 14,1 პროცენტი დედაკაცი. ნერვების ავადმყოფობა გავრცელებულია დედაკაცებში 30—39 წ. წ. განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სისხლ ნაკლულოვანებათა ავადმყოფობას. 198 ქალებისაგან უმეტესი ნაწილი (56.1 პროც.) შეპყრობილია სისხლ-ნაკლულოვანებით.

ადგილობრივ ხელისუფლების მიერ გავრცელებულ ავადმყოფობათა შესამცირებლად მიღებულია ყოველგვარი ზომები. უახლოეს მომავლისათვის შემუშავებულია გეგმა გამორკვევის უფრო ფართოდ ჩასატარებლად. ეს მით უფრო აუცილებელი ხდება, რომ როგორც გაზ. „რაბოჩი კრაი" ერთ-ერთი კორესპონდენტი შენიშნავს ამბულატორიებიდან მიღებული ცნობები ავადმყოფობათა შესახებ, თითქმის სულაც არ ეფარდება ცნობებს აღწერით მიღებულ ერთი და იმავე სააღწერო ობიექტის შესახებ. ეს იმას ლაპარაკობს, რომ ამბულატორიები ჯერ კიდევ არ არიან დაყენებული თავის სიმაღლეზე. ნორმაზე მეტ ავადმყოფთა რიცხვის მიღებისაგან საჭიროა ამბულატორიების განტვირთვა.

აპ. ნუცუბიძე.

—

ამხ. ორჯონიკიძის სახელობის კლუბი

15 ივლისს ამხ. ორჯონიკიძის სახელობის კლუბში გაიმართა დიდი საღამო - სეირნობა ამიერ - კავკასიის და საქართველოს ავიაქიმის საზოგადოების ფონდის გასაძლიერებლად.

კლუბის ბაღში თითქმის არ ეტეოდა ხალხი. სანამდე კონცერტს დაიწყებდნენ, მაყურებლებს უჩვენეს შუშხუნების ქარიშხალი და სხვ. აგრეთვე შიგვე ბაღში გაისროლეს რამდენიმე ზარბაზნები და ტყვიის მფრქვეველები. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა გაწვრთნილ ძაღლების საომრად მომზადებულ მუშაობამ.

შემდეგ გაიმართა კონცერტი **სანდრო ინაშვილის** მონაწილეობით. სცენაზე გამოვიდნენ ოპერის მომღერალი მსახიობი ვეზაძე, განთქმული მომღერალი ჩანგური სიმღერებისა **ანა ორლოვისა**. საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ საღამო სეირნობა მართლაც კარგად ჩატარდა და მაყურებლები დიდი ნასიამოვნები დაიშალენ.

მუშკორი ძია—ლევანი.

—:—

ნაწარმოების ხარისხი გაუმჯობესდა

(პირველი თამბაქოს ქარხანა)

პირველი თამბაქოს ქარხნის როზა ლიუქსემბურგის სახელობის მუშებს პირველ აგვისტოდან უშვებენ კოლექტიურ შვებულებაში ერთი თვით. ამ ხნის განმავლობაში ქარხანაში მუშაობა შესწყდება. ნაწარმოების დამზადება კი დაეკისრება მესამე თამბაქოს ქარხანას, ვინაიდან პირველი ქარხნის მარკებს, „საბჭოთა" პაპიროსს, „მოდერნს" და „ც. რ. კ." ამ უკანასკნელ დროს დიდი მოთხოვნილება აქვს როგორც საქართველოში, აგრეთვე ამიერ-კავკასიის ბაზარზედაც. უკანასკნელი კი მოწმობს ნაწარმოების ხარისხის საგრძნობ გაუმჯობესებას.

მუშკორი ვანო.

ხანძრის საწინააღმდეგო ზომები

ამხ. ლენინის სახელობის მე-3 თამბაქოს ფაბრიკაში მიღებულია ზომები ცეცხლის გაჩენის წინააღმდეგ. შეხვალთ თუ არა ეზოში, მაშინვე დაინახავთ ცეცხლის საწინააღმდეგო (ავცეცხლი) კუთხეს, წითლად არის შეღებილი ყველა ინვენტარები (ვედრები, ცულები, კირკები, კაბე, აუზი და სხვა). მთელი შენობის გარშემო და ელსადგურამდი დაახლოვებით 170 მეტრის სიგრძით, ამ მთელ მანძილზე გაყვანილია წყლის მილები და აუზები. ყველა ამ ცეცხლის საწინააღმდეგო წყლის მილების გაყვანას და მოწყობილობას ხელმძღვანელობდენ პრაქტიკანტი-სტუდენტები. ნახევარი საათით წინ მუშაობის დაწყებამდი პაპიროსის მოწევა აკრძალულია სასტიკად. გუშაგ მილიციონერსაც აქვს თავისთვის მოწყობილი ტელეფონი, ცეცხლის გაჩენის დროს საჭიროებისთვის.

მუშკორი შალი.

კულტურული მუშაობის ნაკლი

(ტყიბულის მაღარო)

განსაკუთრებული ყურადღება უნდა ექცეოდეს კულტურულ მუშაობის საკითხს ისეთ ადგილებში, როგორიც არის ტყიბულის მაღაროები. ეს მრეწველობის მთავარი დარგია საქართველოში, სადაც კულტ-მუშაობა ძლიერ მოისუსტებს, არ სწარმოებს მუშებში აღმზრდელობითი მუშაობა, რომლის შედეგია ლოთობა, კარტის თამაში და სხვა.

არის პროფწრე, მაგრამ აქაც მუშაობა მოისუსტებს, ვინაიდან ადგილი აქვს მუშების დაუსწრებლობას მეცადინეობაზე.

საკლუბო მუშაობა ძალზე მოსუსტებს, სხვა ადგილებიდან რომ არ მოდიოდენ საღამოების და კონცერტების გასამართავად საკლუბო მუშაობა მიიძინებდა.

ლიტერატურული წრე თუ არსებობს არ ვიცით.

დრამწრის მდგომარეობა უნუგეშოა, ვინაიდან იგი დაშლის პროცესშია და კლუბის გამგეობა ამას ვერ ხედავს. კლუბს სცენის მოყვარე ქალები შემოეცალენ.

კინო სრულიად არ არის.

კლუბს წევრები მცირე რიცხვი ყავს. საჭიროა ენერგიული მუშაობა ჩვენი მუშების კლუბის წევრებათ ჩაბმის საქმეში. ყველა ამას კი უნდა ხელმძღვანელობდეს კავშირი.

„მოყვარული".

—:—

საყურადღებო წვრილმანი

საღამო მუშათა კლუბში. (მარანი, სენაკის მაზრა) მარნის ხე-ტყის ქარხნის მუშათა საზაფხულო კლუბის სეზონი უკვე გაიხსნა. რეგულარად მოწვეულია მსახიობი ქალი ნინო კაპანაძე. კლუბში უკვე მეორე წარმოდგენა გაიმართა 24 ივლისს, წარმოდგენილი იქნა 5 მოქ. დრამა „დამარცხებულნი". აღსანიშნავია ის დიდი შთაბეჭდილება, რომელიც მუშა-სცენის მოყვარეებმა საზოგადოებაში დასტოვეს. საღამო უფასო იყო, რამაც საზოგადოება მრავლად მიიზიდა. სასურველია ასეთი საღამოები ხშირად გაიმართებოდეს ჩვენს მუშათა კლუბში.

ბრაგუნა.

—

გადაგვარჩინეთ მოსალოდნელ ხიფათს. პუშკინის ქუჩა № 29 მეორე სართულის შენობა, შეიცავს 25 ოთახს, სადაც ჩასახლებული არიან მუშები. აღნიშნული სახლი შეუკეთებლობის გამონგრევის გზას ადგია; წყლის კრანის გაფუჭების გამო. მოდის წყალი. ასველებს ცემენტით გალესილ კედელს. საიდანაც ცვივა ცემენტი და აგური. მოსალოდნელია შენობის ნაწილის მოულოდნელი დანგრევა, თუ დროზე არ მიექცევა ყურადღება.

შალიკო.

—

ამ საქმეს მოგვარება უნდა. პლეხანოვის გამზირზედ არსებობს „ზაკტპის" საკანდიტერო, სადაც ადმინისტრაციის მიერ არ არის მოგვარებული არც ჯამაგირის და არც სამუშაოს განაწილების საკითხი. ერთი და იგივე კვალიფიკაციის მუშა ერთი იღებს 150 მანეთამდის ხოლო მეორე კი 100 მანეთამდე და სხ. შრომის ინსპექტორმა ამ გარემოებას დროზე უნდა მიაქციოს ყურადღება.

—:—

მუშათა ქრონიკა

— **სასწრაფო დახმარება.** ბათომის საუბნო პროფკავშირმა დაადგინა ყველა წარმოება-დაწესებულებაში მოწყობილ იქნეს სასწრაფო დახმარების ყუთები საჭირო წამლებით.

— **სამტრედიის** საწარმო კომისიამ მიმართა ელექტრო-ტეხნიკურ სამსახურს დაჩქარებით დამზადოს და გადაგზავნოს სამტრედიაში ქურა და ამძრავის გაფუჭებული ძრავი.

— **კულტმუშაობა.** ბათომის უბნის ხაზზე ამჟამად იმართება ლექციები, მოხსენებები და კითხვა-პასუხის საღამოები.

— **ნაჭრობითი სისტემა.** ბათომის საუბნო პროფკავშირის დადგენილებით უბანში ჩატარებულ იქნება კამპანია ნაჭრობითი სისტემის პოპულარიზაციის მიზნით.

— **დაწინაურებულთა აღრიცხვა.** ბათომის უბნის პროფკავშირმა დაადგინა აყვანილ იქმნან აღრიცხვაზე დაწინაურებული წევრები.

— **უმუშევართა სექცია.** ბათომის უბნის კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა აჭარის პრ. კავ. საბჭოს წინაშე საშუამავლო ბიუროდან რკინის გზელ უმუშევართა სექციის გამოყოფის შესახებ.

— **ახალი ქარხნების აგება.** საქ. სახ. საგეგმო კომისიამ მოიწონა ს. მ. უ. ს. მიერ წარმოდგენილი ხონის, ოზურგეთის და სამტრედიის აბრეშუმის ძაფის ამოსახვევ ქარხნის აშენების გეგმა.

— **პროფაქტივი.** მედსანშრომის კავშირის ც. გ. პროფაქტივიდან თბილისის საბჭოში მისამაგრებლად გამოჰყო 15 კაცი.

— **თვითმფრინავის ასაშენებლად.** ბორჯომის პროფბიურო ამჟამად გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებს თვითმფრინავი „საქართველოს პროფკავშირები"-ს ასაშენებელ ფონდის შექმნისათვის.

— **მოწაფეების მიმაგრება ხელოსნებზე.** სალიანდაგო სამსახურის 1 უბნის უფროსს მიეცა წინადადება მიამაგროს მოწაფეები და თანაშემწეები ხელოსნებზე.

— **სამტრედიის საწარმოო კომისიამ** დაადგინა შეიძინოს შპალების საჭირო რაოდენობა.

— **კლუბი ბორჯომში.** გაიხსნა ამხ. პ. საბაშვილის სახ. რკ. გზელთა მუშათა კლუბი.

სახკომსაბჭოში

ზემო-ავჭალის მცირეწლოვანთა კოლონია

სახკომსაბჭომ დაავალა კომისიას ამხ. ი. ვარძიელის (თავმჯდომარე), მამულაიშვილის და ყამარაულის შემადგენლობით გაეცნოს კანონის დამრღვევ მცირეწლოვანთა ზემო-ავჭალის კოლონიის მდგომარეობას და გამოარკვიოს საკითხი აღნიშნული კოლონიის შინსახკომის გამგებლობაში გადაცემის შესაძლებლობისა და მიზანშეწონილობის შესახებ.

აბჰესის საამშენებლო კომიტეტში

აბაშის ჰიდრო-ელსადგურის საამშენებლო კომიტეტის წევრის ამხ. გიორგაძის მაგიერ აბჰესის საამშენებლო კომიტეტის წევრად დაინიშნა ამხ. დ. ქურულორია.

„სოფლის კავშირი"-ს შუამდგომლობა

სახკომსაბჭომ დააკმაყოფილა „სოფლის კავშირი"-ს შუამდგომლობა „სოფლის კავშირი"-ს ძირითადი თანხის გასაძლიერებლათ 29.563 მან. გაღების შესახებ.

1927-28 სამ. წლის სას.-სამეურნეო გადასახადი

იჯარით გაცემულ მიწის შემოსავალზე გადასახდელი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი უნდა გადაიხდეს მოიჯარადრეს. ასეთი მიწების შემოსავლის გამონაგარიშების დროს სათანადო საშემოსავლო ნორმა უნდა იქნეს შემცირებული 20 პროცენტით.

კოოპერატიულ კავშირში გაერთიანებულ შინამრეწველთა მათი შემოსავლის გამონაგარიშების დროს უნდა მიეცეთ შეღავათი 30 პროცენტით.

ჩაისა და მანდარინის პლანტაციები, უკეთუ მათი წლოვანება 5 წელს არ აღემატება უნდა იქნენ განთავისუფლებული სას.-სამეურნეო გადასახადისაგან.

გაფანტული ხეხილისა და მაღლარის დესეტინებზე გადარიცხვა მათი სას.-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრის მიზნით შემდეგი ნორმების მიხედვით უნდა სწარმოებდეს:

ა) ერთი ძირი კურკოვანი ხეხილისათვის—5 კვადრ. საჟ., ბ) ერთი ძირი თესლოვანი ხეხილისათვის 10 კვადრ. საჟ. და გ) ერთი ძირი მაღლარისათვის 2 კვადრ. საჟ..

შურიის ნავთი

ს. მ. უ. ს. სამთო სამმართველოში მიღებულია ახალი ცნობები სოფ. ომფარეთში ნავთის საცდელი ჭაბურღილის ამოსაღებ სამუშაოთა მიმდინარეობის შესახებ.

18 ივლისისათვის გავლილი იყო სულ 150,8 მეტრი სიღრმე. ჭაბურღილში კვლავ გამოჩნდა ნავთით გაჟღენთილი რამოდენიმე თხელი ფენა. ადგილობრივ მომუშავეთა დაკვირვებით, რაც უფრო მატულობს ჭაბურღილის სიღრმე, მით უფრო ხშირდება ნავთით გაჟღენთილი ფენების რაოდენობა.

ჭაბურღილზე მუშაობისათვის ამინდი ხელისშემწყობია და მუშაობაც წარმატებით მიმდინარეობს. ჭაბურღილის ამოღებაზე მუშაობა შეუწყვეტლივ სწარმოებს.

ჩვენი განცხადება

(მენშევიკების არალეგალური აქტიური მუშაკებისაგან)

ერთხელ და სამუდამოდ ვსწყვეტთ ყოველგვარ კავშირს კომუნისტური ხელისუფლების მტრებთან.—მენშევიკები და მათი ლიდერები: ნ. ჟორდანია, ნ. რამიშვილი და სხვები აკეთებენ ფაშისტური ბურჟუაზიის საქმეს.—მათი სიტყვა და მათი ლაღადი ჩვენთვის მტრის ბანაკიდან მოწოდებული სიტყვაა.—თუ კომუნისტური ხელისუფლების მტრებმა გაბედეს და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გამოილაშქრეს, ჩვენ გვერდში ამოუდგებით წითელი დროშის ქვეშ მებრძოლთ.—ჩვენ იმედი გვაქვს, რომ კომუნისტური ხელისუფლება მოგვცემს საშუალებას დავამტკიცოთ ჩვენი მუშაობით, რომ ჩვენ მიერ ზემონათქვამი ნაკარნახევია წარსული შეცდომების გულწრფელი მონანიებით.

ჩვენ ქვემორე ამის ხელის მომწერნი: **ჟორჟიკა ლომინაძე, ვანო მსხალაძე და პარმენ გეგიაძე** დღემდე ვმუშაობდით მენშევიკებთან არალეგალურად. დღეს კი სრული ჩვენი ნებით მოვდივართ კომუნისტურ ხელისუფლებასთან და ვაცხადებთ შემდეგს:

ჩვენ ვსცდებოდით.

ჩვენ ვფიქრობდით, რომ ჩვენი მუშაობით ვაკეთებდით მუშისა და გლეხის საქმეს. ფაქტიურად კი ჩვენი მუშაობა მიმართული იყო ამ კლასების საწინააღმდეგოთ. **მენშევიკური პარტიის ბრძოლა კომუნისტურ ხელისუფლების წინააღმდეგ ეს არის ბრძოლა ბურჟუაზიული კონტრრევოლიუციისა რევოლიუციის წინააღმდეგ.** ჩვენ ამაში დავრწმუნდით კიდევ არალეგალობის დროს, მაგრამ, რადგან გადამალული ვიყავით, ვერ ვახერხებდით ჩვენი გულის ნადების თქმას. დღეს ამის საშუალება მოგვეცა და კიდევაც ელაპარაკობთ ჩვენ სიტყვას.

1) ერთხელ და სამუდამოთ ვსწყვეტთ ყოველგვარ კავშირს კომუნისტურ ხელისუფლების მტრებთან და გულწრფელად მოვდივართ ამ ხელისუფლებასთან, რომ მისი თქმით ვაკეთოთ ის, რაც ხელისუფლებას გაამტკიცებს და გაამაგრებს;

2) მენშევიკები და მათი ლიდერები, ნოე ჟორდანია, ნოე რამიშვილი და სხვები არ არიან არც მუშათა კლასის, არც გლეხობის ინტერესების დამცველი, ისინი ცდილობენ აკეთონ ბურჟუაზიის, ამ ბურჟუაზიის ყველაზე უფრო რეაქციონური ნაწილის, ფაშისტური ნაწილის საქმე, ამიტომ მათი სიტყვა და მათი ლაღადი ჩვენთვის მტრის ბანაკიდან მოწოდებული სიტყვაა;

3) დღეიდან გვერდში ამოუდგებით ახალგზრდებს და მათთან ერთად ვიმუშავებთ ჩვენი ხალხის მშრომელი ნაწილის საკეთილდღეოთ და საბედნიეროდ. თუ კომუნისტურ ხელისუფლების მტრებმა გაბედეს და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გამოილაშქრეს, ჩვენ გვერდში ამოვუდგებით წითელი დროშის ქვეშ მებრძოლთ და მათთან ერთად შევეცდებით მტრისათვის პასუხის გაცემას.

აი ამ განცხადების შემდეგ ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მუშური ხელისუფლება, კომუნისტური ხელისუფლება ჩვენ, გლეხებს, გვაპატიებს ყველა იმ შეცდომებს, რომელიც ჩვენ გვაქვს აქ ხელისუფლებისა და ხალხის წინაშე ჩადენილი და მოგვცემს საშუალებას დავამტკიცოთ ჩვენი მუშაობით, რომ ჩვენ მიერ ზემონათქვამი ნაკარნახევია წარსული შეცდომების გულწრფელი მონანიებით.

ყოფილი მენშევიკები არალეგალურად მომუშავენი (საკუთარ ხელს ვაწერთ):

ვანო მსხალაძე.
ჟორჟიკა ლომინაძე.
პარმენ გეგიაძე.

ახალი საავადმყოფოები

ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს და ა.-კ. უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ 300.000 მანეთი, რომელიც მიღებულია საბჭოთა კავშირის შრომის სახალხო კომისარიატის სოცდაზღვევის ცენტრალურ სამმართველოდან ამიერ-კავკასიის სამრეწველო რაიონებში საავადმყოფოების მშენებლობისათვის, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს შორის განაწილა შემდეგნაირად:

აზერბეიჯანს მისცა 156.000 მანეთი, საქართველოს—111.000 და სომხეთს—33.000 მანეთი.

განაწილებას საფუძვლად დაედვა დაზღვეულთა რიცხვი ცალკე რესპუბლიკებში.

ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს გამწესრიგებელ სხდომის წინანდელი დადგენილება ამავე საკითხზე ა. წ. 23 ივლისის თარიღით გაუქმებულია.

შეკვეთები რიონის ჰიდრო-ელსადგურისათვის

გუშინ თბილისში ჩამოვიდა ლენინგრადის მანქანების საამშენებლო ტრესტის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. პუდალოვი, რომელმაც რიონის ჰიდრო - ელსადგურისათვის მიცემულ შეკვეთების შესახებ ჩვენს თანამშრომელთან განაცხადა შემდეგი:

— რიონის ჰიდრო - ელსადგურის ასაგებათ საჭირო მანქანების შეკვეთა განზრახულია მიეცეს ლენინგრადის მანქანების საამშენებლო ქარხნებს. ამჟამად სწარმოებს მოლაპარაკება ამ შეკვეთათა მიღების შესახებ და თუ მოლაპარაკება დადებითად დაბოლოვდა რიონჰესის ყველა მანქანებს დაამზადებს ჩვენი ტრესტი.

ჩვენს ქარხნებში დამზადებულია სხვათა შორის ზაჰესის ტურბინები, შეკვეთები გვაქვს მიღებული აბგესიდან, აჭარის წყალის ჰიდრო-ელსადგურის საამშენებლო კომიტეტიდან. წუხის ჰიდრო-ელსადგურიდან და სხვ.

რიონჰესისათვის განზრახულია დამზადებული იქნეს ე. წ. პროპელერისებური ტიპის ტურბინები, თითო 15.000 ცხ. ძალის. ზაჰესისათვის კი დავამზადეთ ფრენსისის ტიპის ტურბინები. რიონჰესის ტურბინებს ზაჰესის ტურბინებთან მრავალი უპირატესობა ექნება.

რიონჰესისათვის, გარდა ტურბინებისა, დამზადებული იქნება სხვა მოწყობილობაც, როგორიცაა, — მთავარი კაშხალის ფარები, შანდორები და სხვ.

გამოგონებათა კონკურსი

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში მიღებული ცნობით, სექტემბრის პირველ რიცხვებში მოსკოვში გაიმართება მაღაროებში უბედურ შემთხვევების თავიდან ასაცდენ გამოგონებათა კონკურსი.

გამოგონებები უნდა ეხებოდეს მაღაროების ჩანგრევის შემდეგ მიწაში მოყოლილი მუშების გადარჩენის საქმეს. ასეთ გამოგონებათ შეიძლება იყოს, განსაკუთრებული ხასიათის ნიღაბი ან ქიმიური შემადგენლობა, რომლითაც შეიძლება გვირაბში სუნთქვა.

გამომგონებლებმა თან უნდა წარმოადგინონ თავიანთ გამოგონებათა ნახაზები, ფოტოგრაფიული სურათები და ვრცელი აღწერილობა, თუ რა უპირატესობები აქვს ამა თუ იმ ახალ გამოგონებას; ან რა მხრივ იქნება იგი გამოსადეგი კატასტროფის დროს.

კონკურსზე დაინიშნება ექვსი პრემია: ორ საუკეთესო გამომგონებლებს მიეცემა პრემიათ ხუთას-ხუთასი მანეთი; ორ ახალ გამოგონების პატრონს—სამას-სამასი მანეთი და ორ გამომგონებელს—ორას-ორასი მანეთი თითოს.

კონკურსს აწყობს საკავშირო შრომის კომისარიატის შრომის დაცვის განყოფილება და სამთომრეწველობის სამმართველო.

ეკონომიურ საბჭოში

აბაშის ჰიდრო ელსადგურის დატვირთვა

ეკონომიურმა საბჭომ დაამტკიცა საგეგმო კომისიის მიერ წარმოდგენილი აბაშის ჰიდრო ელსადგურის დატვირთვის წინასწარი გეგმა. ხსენებულ სადგურის მომხმარებლები არიან ქ. ფოთი, ახალ-სენაკი, ბანძა, მარტვილი, ხონი, კულაში, სამტრედია, ზუგდიდი; ბარიტის ქარხანა, რიონჰესი და ქაღალდის ფაბრიკა. განათებისათვის ყველა ზემოხსენებულ ადგილებს დასჭირდება წლიურად 869.000 კლვ. მოტორებისათვის საჭირო იქნება 1675 კლვ. წლიურად გამოყენებულ იქნა 6.718.000 კლვ. ენერგია.

თბილისის ქალაქის ბანკის განყოფილება ქ. ზესტაფონში

ეკონომიურმა საბჭომ დააკმაყოფილა შორაპნის სამაზრო აღმასკომის შუამდგომლობა ქ. ზესტაფონში თბილისის ქალაქის ბანკის განყოფილების გახსნის შესახებ.

თბილისის ქალაქის ბანკის გამგეობას წინადადება მიეცა გაატაროს ცხოვრებაში ხსენებული დადგენილება.

ღარიბ მეურნეობის აღდგენა

ეკონომიურმა საბჭომ დაამტკიცა სასოფლო სამეურნეო ბანკის მიერ წარმოდგენილი ინსტრუქციის პროექტი ღარიბ მეურნეობათათვის გრძელვადიანი კრედიტის მიცემის შესახებ.

კურორტი შოვი

კურორტი შოვი გადაეცა საქართველოს კურორტთა სამმართველოს.

დაევალა კომისიას ამხ. გ. მამალაძის (თავმჯდომარე), შ. ლეჟავას და ფინსახკომის წარმომადგენლის შემადგენლობით შეაფასოს და ჩაიბაროს კურორტ შოვის ქონება.

სტატისტიკური საგეგმო კომისია

საქართველოს ეკონომიურ საბჭოს დადგენილების თანახმად, სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოსთან დაარსდა სტატისტიკური საგეგმო კომისია. აღნიშნულ კომისიას დაევალა: რესპუბლიკაში სტატ. სამუშაოთა სრული გეგმის შედგენა და გეგმის შესრულებაზე მეთვალყურეობა; ყოველგვარ სტატ. სამუშაოების მეთოდოლოგიურ საკითხების დამუშავება; სახალხო მეურნეობის ბალანსის შედგენა; სტატისტიკური მუშაობა სახალხო მეურნეობის დინამიკაზე და კონიუნქტურაზე; დაწესებულებათა სტატ. მუშაობის შეთანხმება; ბრძოლა სტატმუშაობის პარალელიზმის წინააღმდეგ და სხვა.

აღნიშნული კომისია დამტკიცებულია საქართველოს ეკ. საბჭოს მიერ შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე—ა. რუხაძე, მისი მოადგილე—**ბ. ჩიგოგიძე**, წევრები—ზ. ჩხვაძე, (ს. ც. ს. სოციალური სტატ. სექც. გამგე), პროფესორი გოგიჩაიშვილი (სახ. უნივერსიტეტი), ა. ლანდია (ს. ც ს. გაცვლა-გამოცვლის სექც.) გამგე), ვ. პაპავა (ს. მ. უ. ს.), ნუცუბიძე (ს. ც: ს. შრომის სტატ. სექც. გამგე), ლ. მაჩაბელი (მიწ. მოქ: კომ:), მ ყუჩიაშვილი, (ს. ც: ს: სააღწერო განყ. გამგე), ლ. კარბელაშვილი (საგეგმო კომისია), შ. გომართელი (თბ. სტ. განყ. გამგე), ვ. თევზაია (შინა ვაჭრობის კომ.), გ. ფერაძე (ს. ც. ს. მრეწვ. სტ. სექც. გამგე), ვ. მაჯგალაძე (ს. ც. ს. სტატ-ეკონომ განყ.), შენგელაია (ს. ც. ს. სასოფლო სამ. სტ. სექც.) და ვ. გელეიშვილი.

სამკურნალო წყლების გამოკვლევა

პროფ. ოგილვის მოწვევა

საკურორტო სამმართველოს ინიციატივით, ამას წინეთ მოწვეულ იქნა ცნობილი გეოლოგი, პროფესორი ოგილვი, რომელსაც დავალებული აქვს მოახდინოს რესპუბლიკანურ კურორტებზე ჰიდრო-გეოლოგიური გამოკვლევები სამკურნალო წყაროებზე დებეტის მომატების მიზნით.

საქართველოს მთელი რიგი კურორტები ყოველწლიურათ სულ უფრო და უფრო მეტ ხალხს იზიდავს, რის გამოც უფრო და უფრო საგრძნობი ხდება ბალნეოლოგიური მკურნალობის ფართო ნიადაგზე დაყენების საჭიროება, ხოლო ამისათვის კი არაა საკმარისი სამკურნალო წყლების ის რაოდენობა, რომელიც დღესაა. გარდა ამისა პროფ. ოგილვის აზრით საქართველოს კურორტებზე არსებულ სამკურნალო წყლებს განსაკუთრებული ბალნეოლოგიური მნიშვნელობა აქვთ და ისინი განსაკუთრებული ორიგინალური ქიმიური შემადგენლობისა არიან.

საკურორტო სამმართველოს წინადადებით პროფ. ოგილვი უკვე შეუდგა ბორჯომისა და წყალტუბოს სამკურნალო წყაროების ჰიდრო-გეოლოგიურ გამოკვლევებს. მომავალ გაზაფხულიდან, როგორც ბორჯომში, ისე წყალტუბოში დაწყებული იქნება წყაროების დებეტის მოსამატებლათ შესაფერი მიწის სამუშაოები. შემდეგში შეუდგებიან აგრეთვე კუმისის სამკურნალო ტალახის ბუდობების, ნაბეღლავის სამკურნალო წყაროების, თეფლათის, საირმის ახალქალაქის, დობირის, მუხურის და შოვის წყაროების გამოკვლევას. მომავალი წლიდან შესწავლილი იქნება აგრეთვე ახტალის სამკურნალო ტალახის მოძრაობის რეჟიმი და სხ.

პროფ. ოგილვის აზრით, ყველა ზემოთ მოხსენებულ სამუშაოთა დასრულების და კურორტებზე ბალნეოლოგიური მკურნალობის ფართოთ დაყენების შემდეგ, საქართველოს მთელი რიგი კურორტები გადაიქცევიან მსოფლიო მნიშვნელობის სამკურნალო ადგილებათ. ამ მხრივ განსაკუთრებით კარგი პერსპექტივები აქვს წყალტუბოს რადიო-აქტიურ წყაროებს, სადაც შესაძლებელია გადიდებულ იქნეს დებეტი რამოდენიმეჯერ.

ა.-კ. ჯანსახკომების წარმომადგენელთა თათბირი

გუშინ საღამოს დამთავრდა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ჯანსახკომების სამკურნალო განყოფილებათა წარმომადგენლების თათბირი.

თათბირს თავმჯდომარეობდა საქ. ჯანსახკომის სამკურნალო განყოფილების გამგე ექ. გოცირიძე. რომელმაც გააცნო დამსწრეებს თათბირის მოწვევის მიზნები.

თათბირმა დაადგინა, რომ თვითეულ რესპუბლიკაში 5 წლიანი პერსპექტიული გეგმების დამუშავება ხდებოდეს სხვა რესპუბლიკებთან შეთანხმებით. გეგმების შესრულების უკანასკნელ ვადათ დანიშნულია 1931 წელი, ხოლო გეგმის შედგენის და ჩაბარების ვადა გაგრძელებულია მიმდინარე წლის 15 სექტემბრამდე.

სამკურნალო ქსელის მოწყობის შესახებ თათბირმა მიიღო შემდეგი გადაწყვეტილებები: ქალაქებში თვითეული საწოლი უნდა მოდიოდეს ყოველ 100 დაზღვეულზე და მათი ოჯახის წევრებზე. ამავე დროს თითო საწოლზე უნდა მოდიოდეს არა უმეტეს 150 მცხოვრებისა. მაზრებში თითო საწოლი უნდა მოდიოდეს ყოველ 500 მცხოვრებზე. გარდა ამისა გამომუშავებულია ნორმები სპეციალურ საწოლებზედაც, როგორიცაა ქირურგიული, საბებიო - გინეკოლოგიური, ტერაპევტიული საბავშო სნეულებათა და სხვ.

ამბულატ. ქალაქ-ში დაარსებული უნდა იქნეს ყოველ თითო კილომეტრზე, ხოლო სოფლად ყოველ 5 ათას მცხოვრებზე უნდა მოდიოდეს თითო საექიმო პუნქტი.

დასასრულ, თათბირმა სასურველად აღიარა, რომ ასეთი თათბირები სისტემატიურად იქნეს მოწვეული.

შეძლებული მოქალაქენი, მას რემონტიც უკეთდება, ხოლო თუ ღარიბები, ან ხელმოკლე მდგმურები, მაშინ სახლი ვარდება კრიტიკულ მდგომარეობაში. არ არსებობს არავითარი კავშირი სახლის ღირებულების და მის შემოსავლის შორის. მართალია, მდგმურებს იმდენი შეძლება არ აქვთ, რომ გადაიხადონ ყოველნაირი ხარჯების დასაფარავი თანხა, მაგრამ იმდენი მაინც შეუძლიათ, რომ დააკმაყოფილონ სახლის აუცილებელი საჭიროებანი და საამორტიზაციო მოთხოვნილება.

მშრომელი მასების თვითმოქმედების გასაძლიერებლათ ქალაქის საბჭოს პრეზიდიუმმა გადასცა საბინაო - საიჯარო ამხანაგობებს თითქმის 250-დი სახლი, ამდენივე დაახლოვებით პრეზიდიუმის სათანადო ორგანოს უშუალო გამგებლობაში.

თბილისში ბინათმფლობელობა შემდეგნაირად ნაწილდება:

	შემოსავალი.	გასავალი.	დეფიციტი.	პროც.
1924/25 წ......	116568.59 მან.	342214.54 მან.	225646.25 მან.	—193,5
1925/26 წ......	143147.95 „	276565.36 „	133417.41 „	— 93,2
სულ . .	2.597716.54 „	618780,20 „	359063.66 „	—138

ქალაქის საბჭოს უშუალო გამგებლობაში მყოფ და საიჯარო ამხანაგობათა ბინების სივრცე ერთად შეადგენს მთელი ქალაქის საბინაო ფართობის ერთ-მეშვიდედს. მიუხედავათ ამ ფართობის შედარებითი სიმცირისა, რეალური ღირებულება ქალაქის საბჭოს კუთვნილი სახლებისა ფრიად მნიშვნელოვანია. საუკეთესო და დიდი ღირებულების სახლები ქალაქში საბჭოს ეკუთვნის. ჩვენ ჯერაც არ გვაქვს აღრიცხული ქალაქის საბჭოს მთელი ქონების ღირებულება, ამიტომ ძნელია კერძოთ სახლების ღირებულების სწორათ აღნიშვნა. აშკარაა მხოლოთ, რომ ქალაქის საბჭოს ხელში დაგროვილია დიდძალი კაპიტალი, რომელსაც კარგი მოვლა უნდა. ამჟამად ეს უძრავი კაპიტალი გაცილებით მეტს შთანთქავს, ვინემ იძლევა შემოსავალს:

ვის ეკუთვნის	საცხოვრებელი ბინესი კვ. მეტრ.	სასამსახურო (სამზ. საკუბ. და სხვა) კვ. მეტრ.	დაწესებულების სადგომი კვ. მეტრ.	სულ კვად. მეტრ	პროცენტი
1. ქალაქის საბ.	75.500	16.000	15.500	127.000	3,9
2. საიჯარო ამხ-ბა	134.000	36.500	30.000	200.500	7,0
3. სახელმწიფოს	65.500	25.500	244.000	335 000	4,4
4. კერძო	1.648.500	403.500	1.000	2.053.000	85,7
სულ	1.923.500	481.500	310.500	2.715.500	100

1925—26 წლის სახლების შესანახი ხარჯი შემდეგნაირად ნაწილდება: 1) კაპიტალური შეკეთება 104.244,05 მ. (37,7 პროც.), 2) სამეურნეო ხარჯები—124.934,77 მ. (45,2 პროც.) და 3) ხელფასი—47886,54 მან. (17,1 პროც.). საშუალო თვიური შემოსავალი უდრის 11929 მან., გასავალი კი—23047 მან. მაშასადამე, გასავალი 48,25 პროცენტით სჭარბობს შემოსავალს, მაგრამ მაინც საკმარისი არ არის მარტო კაპიტალური რემონტისთვისაც. 1926—27 წელში, ესე იგი, უკანასკნელად საბინაო ტარიფის გადიდების შემდეგ ქალაქის საბჭოს უშუალო ექსპლოატაციაში მყოფ სახლებიდან თვეში საშუალოდ შემოდის 13.000 მან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ თვიურ შემოსავალს ძალიან ამცირებს მდგმურების დავალიანების სიდიდე, რისთვისაც საჭიროა მიღებულ იქნეს გადამჭრელი ზომები დავალიანების ლიკვიდაციისათვის. ასეც რომ მოხდეს, სახლების თვიური შემოსავალი არსებული ტარიფის მიხედვით მაინც ვერ დაფარავს გასავალს. ამნაირივე მდგომარეობაშია საიჯარო ამხანაგობათა ხელში მყოფი და კერძო სახლების უმეტესი ნაწილის რესურსები. ცხადია, რომ უახლოეს მომავალში უნდა უზრუნველვყოთ სახლის ნორმალური შემოსავალი, რათა მან დაფაროს აუცილებელი საექსპლოატაციო ხარჯები. 1926 წლის ოქტომბერში მიღებული საბინაო ტარიფი ითვალისწინებს საამორტიზაციო ფონდის შექმნასაც, მაგრამ, სამწუხაროდ, ამის განხორციელება ჯერაც მომავლის საკითხია. ამორტიზაციისათვის გადარიცხული თანხები უნდა იყოს თვით ქალაქის საბჭოს და საიჯარო ამხანაგობათა განკარგულებაში. უფრო მიზანშეწონილი იქნება მისი ცენტრალიზაცია ქალაქის ბანკის საშუალებით. ფონდი მიზნობრივია და არავითარ სხვა დანიშნულებას, გარდა სახლების აღდგენისა იგი არ უნდა ემსახურებოდეს. რადგან დღევანდელ პირობებში კიდევ ძნელია სახლში ჩადებულ კაპიტალზე სათანადო პროცენტების მიღება სარგებლის სახით, ამიტომ პირველ რიგში შესაქმნელია მტკიცე სისტემაზე აგებული საამორტიზაციო ფონდი. თუ სახლების ქირა აგებული იქნება თვით ანაზღაურების პრინციპზე და აქითკენ იქნება მიმართული უახლოესი დროს ქალაქის საბჭოს საბინაო პოლიტიკა, ამით თითქმის კარდინალურად გადაიჭრება არსებული საბინაო ფონდის შენარჩუნების საკითხი და ამასთან ერთად შეიქმნება რეალური სტიმული ახალი ბინათ აღმშენებლობისთვისაც.

ბინათ მშენებლობის საკითხი იქცევს ყურადღებას ყველა პასუხისმგებელ და დაინტერესებულ ორგანიზაციებისა. საბჭოთა რესპუბლიკების ხელმძღვანელი ორგანოები მას თვლიან უმნიშვნელოვანეს პრაქტიკულ საკითხად, რომლის განსახორციელებლად მიღებულია სხვადასხვა ზომები. სხვათა შორის ეს საკითხი დეტალურად შეისწავლა აგრეთვე საქართველოს საგეგმო კომისიამ, რომელმაც ამას წინეთ (აპრილში) უკვე დაამტკიცა ხუთწლიანი პერსპექტიული გეგმა ბინათ აღმშენებლობისა საქართველოს ქალაქებში.

ამ გეგმის მიხედვით თბილისის მოსახლეობა ყოველ წლიურად იზრდება 4 პროცენტით, ხოლო დანარჩენი ქალაქების—2 პროცენტით. ამის მიხედვით საქართველოს ქალაქების მოსახლეობა ხუთ წლიწადში გაიზრდება 90.000 სულით. სანიტარული ნორმით (8 კვ. მეტრ. სულზე) და საკმაყოფილებლად საჭიროა ჩვენი ქალაქების დღევანდელი მოსახლეობისათვის აშენდეს დამატებით არა ნაკლები 160.000 ოთახისა. ამის გარდა მოსახლეობის ზრდის დასაკმაყოფილებლად ხუთ წელში უნდა აშენდეს 60 ათასი ოთახი და ბუნებრივი გაცვეთის ასანაზღაურებლად 15 ათასი ოთახი. ამ რიგად მომავალ ხუთ წელში საქართველოს ქალაქებში უნდა აშენდეს არა ნაკლები 235 ათასი ოთახისა, რომელზედაც უნდა დაიხარჯოს დაახლოვებით 313,5 მილიონი მანეთი. 1925—26 სამეურნეო წელში ბინათ აღმშენებლობაზე დახარჯული თანხა შემდეგნაირად ნაწილდებოდა: 1) ადგილობრივი აღმასკომებმა დახარჯეს 42 პროც. მთელი თანხისა, 2) კოოპერაციამ—28 პროც., 3) სატრანსპორტო ორგანიზაციებმა—11,9 პროც., 4) კერძო პირებმა—10,1 პროც., და 5) სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოებმა—7,3 პროც. ეს თანხა უმთავრესად დაფარული იყო საკავშირო „ცეკობანკის" კრედიტით. მომავალ ხუთწლედში ამავე მიზნისთვის მოსალოდნელია „ცეკობანკის" კრედიტი 52 მილიონი მანეთი; დანარჩენი უნდა გამოიღონ ამშენებლებმა: მათ შორის ადგილობრივმა აღმასკომებმა—22 მილიონი მანეთი. ეს თანხა, რა თქმა უნდა უმთავრესად შეხვდება ქალ. თბილისს, სადაც საბინაო კრიზისი ყველაზე მწვავეთ სდგას და რომელსაც არსებითად მეტი შესაძლებლობაც აქვს.

მიმდინარე სამეურნეო წელში თბილისში იხარჯება ბინათ მშენებლობისათვის:

ა) **კოოპერაციის ხაზით**: 1) საბინაო გადასახადი—250 ათასი მან. 2) 5 პროცენტიანი ანარიცხი ქალაქის სავაჭრო სამრეწველო სადგომების შემოსავლიდან—230 ათასი მან. 3) ცეკობანკის კრედიტი—188 ათასი მანეთი. 4) კოოპერატიული საამშენებლო ჯგუფები—40 ათასი მანეთი, 5) ანარიცხი მუშა-მოსამსახ. მდგომარეობის გაუმჯობესების ფონდიდან—560 ათასი მან. ჯამი — 1.268 ათასი მანეთი.

ბ) **ქალაქის საბჭოს ხაზით**: 1) საბიუჯეტო დასივენა—875 ათასი მანეთი, 2) ცეკობანკის კრედიტი—670 ათასი მან., ჯამი—1.045 ათასი მან.

გ) **მრეწველობა-ტრანსპორტის ხაზით**—300 ათასი მან. და

დ) **კერძო მშენებლობის ხაზით**.—100 ათასი მან.

სულ კი მიმდინარე წელში აშენდება—2.713 ათასი მან. ღირებული შენობები.

ხუთ წლიანი პერსპექტივის მიხედვით ქალაქში უნდა აშენდეს დაახლოვებით 44.200 ოთარებელი ფართობი. თუ რომ ვიანგარიშებთ საშუალოდ ნორმალურ ოთახს ოც კვ. მეტრს, მაშინ უნდა აშენდეს დაახლოვებით 44.200 ოთახი, რისთვისაც საჭირო იქნება ორი ათასი მანეთის ანგარიშით ოთახზე—88.400 ათასი მან. დაუშვათ, რომ ბინათმშენებლობაზე გადადებული თანხა ყოველწლიურად 50 პროცენტით გაიზრდება წინა წელთან შედარებით. მაშინ თბილისში ხუთი წლის განმავლობაში უნდა დაიხარჯოს:

1927—28 წლ.	დაახლოვებით—4 მილ. მან.
1928—29 წლ.	„ 6 მილ. „
1929—30 წლ.	„ 13,5 მილ. „
1931—32 წლ.	„ 20,2 მილ. „
სულ კი	52,7 მილ. მან.

ამით იქნება დაკმაყოფილებული მხოლოდ 59,6 პროც. საჭიროებისა.

ნ. გავაშელი.

წითელ ჯარში

წითელ მეთაურთა პასუხი

ჟორდანია - რამიშვილს

ქუთაისი, 27 ივლისი. გაიმართა წითელი არმიის მეთაურთა, პოლიტიკურ ადმინისტრატიულ და საექიმო თადარიგის კრება, რომელსაც დაესწრენ 200 მეტი კაცი. ჟორდანია - რამიშვილის სადირექტივო წერილების შესახებ გაკეთებულ მოხსენების გამო კრებამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ საჭიროა შემჭიდროება და სამხედრო ცოდნის შეძენა, რათა მზად ვიყოთ გამცემელ მენშევიკების მხრით მოსალოდნელ პროვოკაციებისათვის. გადაწყდა აგრეთვე გაძლიერებულ იქნეს თავდაცვა - ავიაქიმის სასროლო სექციის მუშაობა, რომელშიაც წინადადება მიეცა ჩაეწერონ ყველა თადარიგში ჩარიცხულნი. (ადს)

—:—

1905 წელში დაბადებულთა გაწვევისათვის

უცხოელების გაწვევის შესახებ

მოქალაქენი, რომლებიც დაბადებულნი არიან 1905 წელში და თავისი უფლებრივი მდგომარეობით გათანასწორებული არიან უცხოელებთან; ან თუ სათანადო საბუთების წარდგენით დაამტკიცებენ ქვეშევრდომობას რომელიმე უცხოეთის სახელმწიფოებადმი, განთავისუფლდებიან გაწვევისაგან ნამდვილ სამხედრო სამსახურის მოსახდელათ.

ჯარში გაწვევის ვადის გაგრძელება

თანახმად სამხედრო სავალდებულო სამსახურის კანონისა, ჯარში გაწვევის ვადის გაგრძელებით სარგებლობენ ჩასახლებულთა და სხვა ადგილზე გადასახლებულთა ოჯახის წევრები, რომელთაც ეხებათ ჯარში გაწვევა.

აგრეთვე ვადა უგრძელდებათ: რეემიგრანტებს, რომელნიც დაბრუნდნენ საბჭოთა კავშირში და აქვთ სურვილი მოკიდონ ხელი სას.-მეურნეობას და იმიგრანტებს, რომელთაც მიიღეს საბჭოთა კავშირის ქვეშევრდომობა

ყველა ამ კატეგორიის მოქალაქეთ უგრძელდებათ ჯარში გაწვევის ვადა იმ მოსაზრებით, რომ მიეცეთ შესაძლებლობა გააძლიერონ თავისი ახალი მეურნეობა და სათანადოთ დაამუშაონ სახელმწიფოს მიერ მიცემული მიწა.

ზემო-ნაჩვენებმა მოქალაქეებმა ჯარში გაწვევის ვადის გაგრძელებისათვის გაწვევის წლის 15 აგვისტომდე უნდა მიიღონ სოფლის აღმასკომებიდან სათანადო მოწმობა, რომელიც დაამტკიცებს მათ ვინაობას. ეს მოწმობა მისაწერ საბუთთან ერთად წარდგენილ უნდა იქნეს გასაწვევ კომისიაში.

საბჭოთა კავშირის ცაკის დადგენილებით 1926 წლის 7 მაისიდან ჯარში გაწვევის ვადა უგრძელდებათ სოფლის პირველ საფეხურის, შვიდწლედების და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მასწავლებლებს.

ამ მასწავლებლებს ვადა გაგრძელებული აქვთ მთელი დროის განმავლობაში, სანამ იმყოფებიან მასწავლებლებათ აღნიშნულ სკოლებში.

აღნიშნულ სკოლების მასწავლებლები ვალდებულნი არიან 1 აგვისტოდან 10 აგვისტომდე წარადგინონ სოფლის აღმასკომებში მისაწერი საბუთი და მოწმობა, რომელიც დაამტკიცებს მათ სამსახურებრივ მდგომარეობას.

ქუთაისის მუშათა ფართო კონფერენცია

წერილი ქუთაისიდან

ამას წინად ქუთაისში შესდგა მუშათა ფართო კონფერენცია, რომელზედაც მოხსენება გააკეთა საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს თავმჯდომარემ **გიორგი ყურულიშვილმა**.

ამხ. ყურულიშვილის გამოსვლას კრება მქუხარე ტაშით მიეგება.

მომხსენებელი ვრცლად შეეხო ჩვენს საშინაო და საგარეო მდგომარეობას.

მას მრავალი შეკითხვები მისცეს, რაზედაც სათანადო პასუხი გასცა.

კონფერენციის მიერ მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ ქუთაისის მუშა-მოსამსახურეთა ფართო საქალაქო კონფერენცია აღნიშნავს იმ სწორ პროლეტარულ პოლიტიკას, რომელსაც კომუნისტური პარტია ატარებს საერთაშორისო საკითხებში, და აღიარებს, რომ ეს პოლიტიკა მიმართულია საერთაშორისო მშვიდობიანობის განმტკიცებისაკენ. ამიტომ, მთელი ქვეყნის მშრომელთა წინაშე ვაცხადებთ, რომ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დავიცავთ პროლეტარიატის დიქტატურას და ენერგიულად ვიბრძოლებთ ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ აღმშენებლობისათვის. აღშფოთებით ვიგონებთ რა მენშევიკურ მთავრობის დამღუპველ პოლიტიკას, მომავალშიც ძირ-ფესვიანად აღმოვფხვრით ყოველგვარ ცდას მიმართულს მუშურ-გლეხურ მთავრობის წინააღმდეგ და გავაძლიერებთ აქტივობას ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის გასამტკიცებლად. ძირს საერთაშორისო იმპერიალიზმი! გაუმარჯოს პროლეტარიატის დიქტატურას და მის ხელმძღვანელ კომუნისტურ პარტიას!"

პროფკავშირელი ვანო.

პარკის დამზადების შედეგები

აბრეშუმის პარკის დასამზადებელი ოპერაციები, რომელიც დაიწყო 25 ივნისს, ყველგან დამთავრდა. წელს პარკის დასამზადებელ ოპერაციებს საქართველოს ყველა რაიონებში, აფხაზეთის გამოკლებით, აწარმოებდა ტრესტი—„საქართველოს აბრეშუმი". გლეხებისაგან პარკის შეყიდვა სწარმოებდა „სოფლის კავშირის" ძირითადი ორგანიზაციების და ზოგს პუნქტებში მომხმარებელ საზოგადოებათა დახმარებით. მხოლოდ 11 პუნქტში, სადაც „საქართველოს აბრეშუმს" მოწყობილი აქვს მექანიკური სახმობები. აბრეშუმის პარკის დამზადება ჩატარდა ტრესტის საკუთარი აპარატის საშუალებით.

იმ თესლის მიხედვით, რომელიც გაზაფხულზე დაირიგა გლეხებს შორის „საქართველოს აბრეშუმმა", მიმდინარე წელს მოსალოდნელი იყო 140,000 ფუთი ნედლი აბრეშუმის პარკის შეგროვება. ნამდვილად დამზადებული იქნა დაახლოვებით 110.000 ფუთამდე. აქედან ქუთაისის მაზრაში შეგროვილია 22.000 ფუთი, ზუგდიდის მაზრაში 22.000 ფ., ოზურგეთის მაზრაში—20.000 ფუთი, სენაკის მაზრაში —17.000 ფუთი და 6 ათასი ფუთი აღმოსავლეთ საქართველოში. ეს ცნობები საბოლოო არ არის და შესაძლებელია აბრეშუმის პარკის საერთო ჯამს კიდევ მოემატოს 2—3 ათასი ფ. ნედლი პარკი. ყოველ შემთხვევაში აბრეშუმის წლევანდელი მოსავალი 110 ათას ფუთზე მეტი არ იქნება. ამგვარად, შედარებით იმ რაოდენობასთან რომელიც დასამზადებელი გეგმით გათვალისწინებული იყო, აბრეშუმის პარკის დეფიციტი აღწევს 30 ათას ფუთს. წლევანდელი ნაკლები მოსავლიანობის მიზეზი უმთავრესად არის უამინდობა. თითქმის ყველა რაიონებში აბრეშუმის თესლის გამოცოცხლების დროს დაიჭირა ცივი ამინდები, რამაც გავლენა იქონია აბრეშუმის ჭიის ზრდაზე მესამე და მეოთხე ასაკში. შემდეგ თვეებში ცივ ამინდებს მოჰყვა აღმოსავლეთის ცხელი ქარი და სიცხეები, რომელთაც ერთის მხრით შეაფერხეს ჭიის ნორმალური ზრდა და მეორეს მხრით გააფუჭეს თუთის ფოთოლი, რომელსაც გაუჩინდა ერთგვარი სიჯანის ავადმყოფობა. ასეთ პირობებში მოსალოდნელი იყო ამაზე უფრო ცუდი მოსავალი, ვიდრე მიღებულია, მაგრამ ამ სტიქიური მოვლენებით გამოწვეული დაბრკოლებები შენელებულ იქნა „საქართველოს აბრეშუმის" მიერ მიღებული განსაკუთრებული ღონისძიებებით. საქართვ. მეაბრეშუმეობის თითქმის ყველა რაიონებში დაგზავნილ იქნენ 40-მდე ინსტრუქტორი, რომელნიც მეაბრეშუმე გლეხებს აძლევდენ სათანადო რჩევა-დარიგებებს, როგორც ტემპერატურის მხრით, ისე ჭიის რაციონალური კვების დარგში.

ამჟამად ყველა იმ მიზეზებს გამოსარკვევად, რომელიც შეამცირეს მოსავლიანობა, მუშაობენ, მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის და „საქართველოს აბრეშუმის" სპეციალისტები.

მოსავლიანობის მხრით გამონაკლის წარმოადგენს მხოლოდ ქუთაისის მაზრა, სადაც წელს მოსავალმა შარშანდელს გადააჭარბა. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ მოსახლეობა დაურიგეთ არა თესლი, არამედ ინკუბატორების საშუალებით გამოჩეკილი აბრეშუმის ჭიები; მეორე მხრით, ამ მაზრაში მოსახლეობა უფრო წესიერ და რაციონალურ მოვლას აწარმოებდა სხვა მაზრებთან შედარებით. როგორც ირკვევა, ნაკლები მოსავლის მიზეზი არის აგრეთვე ცუდი ღირსების თესლი. განსაკუთრებით ნაკლები ხარისხის გამოდგა კერძო გრენიორებისაგან დამზადებული თესლი, რომელიც 60 პროცენტით ნოლს იძლეოდა.

პარკის შეყიდვა გლეხებისაგან „საქართველოს აბრეშუმის" მიერ სწარმოებდა ნაღდ ფულზე და დაუყონებლივ. ამგვარად დავალიანება გლეხობისადმი სავსებით დაფარულია. მეორე-მესამე ხარისხის ფუთ ნედლ პარკში მეაბრეშუმეებს საშუალოდ ღებულობდენ 24 მანეთს, ხოლო პირველი ხარისხის პარკში სამი მანეთით მეტს.

დამზადებულ 110 ათას ფუთ ნედლი პარკიდან გახმობის შემდეგ მიღებული იქნება 35 ათასი ფუთი ხმელი პარკი გამომუშავებისა საწარმოო გეგმის მიხედვით, „საქართველოს აბრეშუმის" ძაფ-საღებ ქარხნებს დასამუშავებლად გადაეცემა 18 ათასი ფუთი. საგრენაჟო სადგურებს თესლის დასამზადებლად ათასი ფუთი. ორი ათასი ფუთი გადადებული იქნება უცხოეთში საექსპორტოთ, ხოლო დანარჩენი, ხელშეკრულების თანახმად, გაეგზავნება „შელკოტრესტს" და აზერბეიჯანის აბრეშუმის სამრეწველო ფაბრიკებს.

პირველ ივლისიდან ახალ მოსავალზე უკვე მუშაობს „საქართველოს აბრეშუმის" 4 ძაფსაღები ქარხანა:— ოზურგეთის ქარხანა— 72 აუზით, ხონის—48 აუზით, თელავის— 52 აუზით და სამტრედიის —52 აუზით. ამგვარად, მუშაობს სულ 224 აუზი—ორწყებად. 1-ლ სექტემბრიდან სამტრედიის ქარხანას მიემატება კიდევ 48 აუზი. ოზურგეთში მუშაობს აგრეთვე ძაფის საგრეხი განყოფილება 2.400 თითისტარით და თბილისის საქსოვი ფაბრიკა 20 დაზგით. ამჟამად ყველა ამ წარმოებებში ყოველდღიურად ჩაბმულია— 1.335 მუშა.

პატარა ფელეტონი

პოლიანდრე რაკრიკაძის მოგზაურობა ეს-ეს-ერში

პოლიანდრეს გამგზავრება

— ა-ა, ხოზიკ! შენც მოდიხარ?
შემომძახა პოლიანდრემ.
— ლამის დარჩეთ, ვუპასუხე:
რათ არ მოდით ცოტა ადრე?!
— შტო ვი, კაცო, პორტფელში მაქვს
მატარებლის, აგერ კუდი...
ბილეთი მაქვს და ურემოთ,
სკაჟი აბა, პაიდიოტ კუდი?!
არ მოდიო,—შენ გგონია
მოკლილი ვარ ასე განა?
რა გაიგეს რომ მიდისო,
ღამეხვია თავს ქვეყანა.
აგერ, ნახე? სადგურშიაც
რამოდენა მომყვა ხალხი?!
ხედავ, ჩემთან გამოსვლა სურთ,
როგორ აქვთ ნახე ჯახი!
რათ დამლუპე ხოზიკ, კაცი!
ხალხს არ იცნობ კაცო განა!?
რათ დასწერე, რომ მიდისო,
გამომისვი ყელში დანა.
რამოდენა უსაქმოა...
როგორ უყვართ კაცის ცდენა...
დილიდანვე იწყო, ხოზიკ,
ჩემს ეზოში ხალხმა დენა.
ზოგს რძე ჰქონდა და საყვირით
აყრუებდა არე - მარეს;
—პოლიანდრეს მიერთვასო,
რადგან მიდის უცხო მხარეს.
ზოგი კიდევ მოდიოდა
და ყვიროდა: „ვიცი, ვიცი"
გაჰკიოდენ: პოლიანდრე
ნუ მიდიხარ დაიც, დაიცა..
ზოგს მოჰქონდა ხილეული,
ატამი და მსხალი-ვაშლი,
მიირთვით, პოლიანდრე,
გაისველე ყელი გზაში..
მაგრამ არა მივიღე რა...
გავაბრუნე ყველა უკან.
თუ რამ მინდა, შენ გასაჯე
ვერ მოვინახავ განა დუქანს?
მართალია, მე ვიცი, რომ
პატივს მცემენ მეტის - მეტად,
მაგრამ ისიც როდი ვარგა,
რომ დამსახონ ხოლმე ღმერთად!..
წამო, წამო ვაგონში,
მივაკითხოთ იმ ჩვენს სკამებს,
თორემ ვიცი, მნახველები.
სადგურშიაც გამაწამებს....
და ჩამქიდა პოლიანდრემ
მკლავზე ისე მაგრად ხელი,
რომ სიმწრისგან გადამასხა
მთელ სხეულზე ოფლი ცხელი.
დავბინავდით ვაგონში
მოგვიზომეს ცალკე კუპე,
ავირჩიე ზედა თარო,
გადავშალე და ვისკუპე...
პოლიანდრე დარბაისლათ
აირჩია ქვედა თარო,
მოეწყო და მკითხა შემდეგ:
—ხოზიკ, მაღლა როგორ ხარო.
მართალია, რათ არ გამოცხადდა
„ნაჩალნიკი" ღვამიჩავა?!
მე ვინ უნდა მომახსენოს
ეს-ეს-ერში როდის ჩავალთ!"
ამ მოვლენამ პოლიანდრე,
იმნაირად გააბრაზა,
რომ მზად ჰქონდა რისხვით სავსე
არა ერთი უკვე ფრაზა.
მაგრამ გაჩნდა ღვამიჩავა
(თან მოსდევდა კონდუქტორი)
ყვირის: — აქ ვინ შემოუშვა
პასაჟირი, კაცო, ორი!
—გამობრძანდით, გამობრძანდით
აბა ჩქარა, აბა ჩქარა...
არ გვცალია, მატარებელს
რაც ვაჩერებთ ისიც კმარა!..
—რათ გავიდეთ? — ვეკითხები:
ეს ადგილი ჩვენი არი?
—კუპენები დამიცალე,
ზედმეტია საუბარი!
—კაცო, რატომ გვაცლევინებ,
ეს თქვი, მაინც აგვიხსენი.
(პოლიანდრე არას ამბობს,
ჩუმად არის, როგორც ბრძენი)
—გამობრძანდით, აბა მალე!
აბა მალე, აბა მალე!
—აგვიხსენი კაცო, მაინც
კუპე რისთვის გვიცალეს!..
—რატომ სცლით და (ჩაჩურჩულა)
აქ თავსდება რაკრიკაძე!
—აგრე გეთქვა მადლიანო....
რაკრიკაძე აგერ არ წევს?
„უკაცრავად, თქვენ მბრძანდებით
რაკრიკაძე პოლიანდრე?
რა ვიცოდი ასე თუა,
რატომ არ სთქვით ცოტა ადრე?
-- იმიტომ რომ (პოლიანდრემ
მხოლოდ ეხლა უპასუხა)
ამდენმა გაცილებამ
მე ძალიან შემაწუხა...
იცით რა ვსთქვა? მე მივდივარ
შტობი ნი ზნალ ეტო ამბავ,
კალინინთან ინკოგნიტოთ,
შტობი ნი ზნალ ეტო ნიკტო...
გაგვისტუმრე, თუ კაცი ხარ...
მიეც ერთი ჩქარა ზარი..
არ მცალია, ხომ კი იცი,
კალინინთან მეიჩქარი...
არ გასულა ორი წუთიც
რომ მეორე მისცეს ზარი
და ჩვენ — მე და პოლიანდრე,
თბილისიდან დავიძარით...

ხოზიკა.

კომუნისტი

პარასკევი. 29 ივლისი 1927 წ. № 170 (1915)

თბილისის პროლეტარიატი

ამხ. მიშა პაიჭაძის გამოწვევით შემომაქვს ხუთი მანეთი თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ფონდის გასაძლიერებლად და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ქუთაისიდან: ნოე კაკაბაძეს, კლემენტი აბულაძეს, მაქსიმე კვერნაძეს, სერაპიონ ნამჩავაძეს, დათიკო რიმნისთაველს, ფილიპე რამიშვილს, მიტუშა ბახტაძეს, გიორგი ჯანდიერს, ნიკო ნუცუბიძეს, კალენიკე გიორგაძეს, ლეონტი ჭავჭანიძეს, დათიკო ბეროძეს, მარო კოსტავას, კალისტრატე ცაგარეიშვილს, ვარლამ სოფრომაძეს, ჭიჭიკო ნიკოლეიშვილს, კაპიტო კალანდაძეს, ვანო ნასარიძეს, კოსტა მინდიაშვილს, ხარიტონ ნოსელიძეს, სამსონ გოგოლაშვილს, კ. მერკვილაძეს, სანდრო ღოღობერიძეს, ბენია მესხს, კოწია იმნაძეს, კირილე წიწწივაძეს, ვარლამ კაშიას, ვასო ჯიბლაძეს; ლევან სხირელს; ბიქტორ სვანიძეს, ვარდენ ლოსაბერიძეს, ვასო მეძმარიაშვილს, ვასო თათეიშვილს, ალექსანდრე აფხაიძეს, იონა კობახიძეს, იუსტინე გვასალიას, მელიტონ ჭეიშვილს, ვანო ფხაკაძეს, ოსკო დევდარიანს, გიორგი დევდარიანს, თეოფილე [illegible], მიშა გაგნიძეს, ალექსანდრე სტურუას; სერაპიონ ჭავჭანიძეს; ევგენია ჩახუნაშვილს, ალექსანდრე ჩახუნაშვილს, მიშა კუჭავას, არტემ ბარამიძეს, ვასილ მხეიძეს, ვალოდია გაბადაძეს, მაქსიმე გრიგოლაშვილს, იოსებ სულაქველიძეს, დათიკო რუხაძეს, პასიკო რუხაძეს, დათიკო კოვზირიძეს, სერგო ჩოგავაძეს, მიტრაფონე მიმარდაშვილს, ლადო ნადარეიშვილს, ლადო მანჯგალაძეს, კალე ჭყონიას, ილია მაჭავარიანს, ბარნაბა ეძგვერაძეს, პლატონ მიხელიძეს, ისიდორე ბოხუას, გორიდან: ვასო ქურდაძეს, სერგო ცხოვრებაშვილს, არჩილ გიორგაძეს, გრიშა მურადოვს, მიშა მურადოვს, გიორგი ბადრიაშვილს, სტეპკო ხახანოვს, (კატორღელს) შორაპნიდან: სიმონ ცუცქირიძეს, კალისტე გამეზარდაშვილს; მიშა ძიძიგურს; ონისიმე მოდებაძეს; ოლია მოდებაძეს; ალექსანდრე ვაშაძეს, კოწია ვაშაძეს, ჰაბუკ მიშველიძეს და იროდიონ ბურჯანაძეს თბილისიდან: გიორგი რუხაძეს, ვანო გოქაძეს, ტარასი მგალობლიშვილს, მილოსი ჩხიკვიშვილს, გუგუნი ბუხნიკაშვილს, ბორჩალოს მაზრის გლეხკომის თავმჯდომარე სულტანოვს და ქუთაისის მაზრაში ყველა 50 თემ გლეხკომების თავმჯდომარეებს.

მელიტონ ყორყოლიანი.

ამხ. ლავრენტი ძიძიგურის გამოწვევით შემომაქვს სამი მანეთი თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ფონდის სასარგებლოდ და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: თბილისიდან: ვლადიმერ ენიკოლოპოვს, საშა მამულაშვილს, ტიგრან წვენიევს; მიშა მერაბიშვილს; პეტრე ახალკაცს; შალვა ახალკაცს; ნიკო თევდორაშვილს; პავლე მეტრეველს; ელენე პავლიაშვილს; გრიშა თავზარიშვილს; ლიოზ ხუციშვილს. მათხოჯიდან: ნესტორ ძიძიგურს; იოროდიონ ძიძიგურს, კონსტანტინე ხუროძეს, იული ფიოლიას, ნიკოლოზ მელაძეს, სპირიდონ კარსანიძეს, ვანო ბარაბაძეს, ტრიფონ წიწწივაძეს, ელეფთერ მელაძეს, გიორგი ჩიმაკაძეს, გიორგი ლორთქიფანიძეს, კოლა ადამიას, ერმილიონ ლოჭვირს, ცხინვალიდან: (სამხრეთ-ოსეთის ცაკის თავმჯდომარის მოადგილე) დავით ხახანოვს, გრიშა ავანოვს. გორიდან: კირილე არგველაძეს, დავით ნადირაძეს, სოსო ხუციშვილს.

შალიკო ძიძიგური.

ამხ. შურა იოსავას გამოწვევით შემომაქვს თვითმფრინავი „თბილისის პროლეტარიატის“ ფონდის გასაძლიერებლად თითო მანეთი და ჩვენი მხრით ვიწვევთ შემდეგ ამხანაგებს.

გრიშა კუჭავას, ლეონტი თოდუას გედეონი ქაჯარავას, (ახლ. აბაშიდან) თეოფანეს სარიას, ილია და გრიშა შეროზიებს, პლატონ კვაშილავას, გერასიმე ხვიჩიას, სერგო ახვლედიანს, ბიქტორი მირცხულავას, გრიშა ლომიას, გალაქტიონი ნადარეიშვილს, ნესტორი თოფურიას, მამია დავითაიას, (ონტოფიდან) და მიხეილი ბარამიას.

სამ მანეთზე: ვალოდია ბერიას, გრიგოლი გეგენავას, სიმონი შურღაიას, ხარიტონი ბესელიას, ერმილე შუშანიას, კაპიტონ გოგიას.

(წალენჯიხიდან): კოლია ქურულორიას, პავლე, რაჟდენ და გრიგოლ შანავებს. (ონტოფიდან) ივსევი თოფურიას.

ლ. ნადარეიშვილი, პ. კორთხონჯია, ქ. აფაქიძე.

ამხ. ურუშაძის გამოწვევით თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ სასარგებლოდ შემომაქვს ხუთი მანეთი.

ევგენი ქუთათელი.

ამხ. ილიკო სოლომონის გამოწვევით შემომაქვს ხუთი მანეთი თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ფონდის გასაძლიერებლად და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ვანო მხეიძეს, ვასო ტორჩინავას, ვალოდია ბოკუჩავას, ინდიკო გოიავას, ბათომიდან: სერგო ბახტაძეს, იოსებ შუბლაძეს, ქუთაისიდან: ილია მელაძე, სოხუმიდან: გიორგი ს. ლეჟავას, პარმენ ლეჟავას, იასონ ტაბიძეს, ბოკერიას. კლემენტის, შალიკო ტაბიძეს და ნუცუბიძეს.

ილია ლეჟავა.

ამხ. იასონ ფირცხალავას გამოწვევით შემომაქვს ხუთი მანეთი თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ასაგებ ფონდის გასაძლიერებლად და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ჭიათურის საავადმყოფოს ექიმებს: სერგო ხუნდაძეს, კაკო გამრეკელს, ანდრო წერეთელს, ალექსანდრე წერეთელს, ვლადიმერ კიკნაძეს, ყარამან ფალავას; ვალერიან ვალერიანისძე გუნიას, დ. კასის ექიმს სერგო ბრეგვაძეს, აბესალომ წერეთელს, ეორეიკა ასათიანს, გრიშა ქუთათელაძეს, ჭიათურის დ. კასიდან, გრიგოლ გუნიავას, სიმონ ელენტს, ანეტა ჩიხელიძეს, ამბერკი კაშიას, ალექსანდრე სიკოსძე ვაშაძეს, გრიგოლ ვაშაძეს, სადიკო ვაშაძეს, გოგუცა ჯოხაძეს, საველ ლეჟავას, ჰაბუკი მიშველიძეს, გერმანე მათითაიშვილს, კოსტა ბრეგვაძეს, ვარლამ თათეიშვილს, ვანო ლომთათიძეს, გრიშა დურმიშიძეს, იაგორ სტურუას, მიხა აბაშიძეს, გორია პაპუშვილს, ზესტაფონიდან: კალისტრატე გამეზარდაშვილს, კოლია ფუტკარიძეს, შალიკო მოდებაძეს, თბილისიდან: გრიშა მალანიას, გრიშა ტაპიძეს, იაშა კონტრიძეს, ჭიათურის აფთიაქიდან ჯიბო იაშვილს, პროკოფი წერეთელს.

ბიტოლი ლეჟავა.

ამხ. ვ. ჩიტიშვილის გამოწვევით თავდაცვა-ავიაქიმის „თბილისის პროლეტარიატის“ სასარგებლოდ შემომაქვს 3 მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: მ. გრიგოლიას (სისხ. სამართ. მილიციიდან), ვანო კიკნაძეს (ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოდან), ეგნატე წიკლაურს (ერწოს ფოსტის სააგენტ.) და შ. ფიცხელაურს თიანეთიდან.

ა. ტუშური.

თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ფონდის გასაძლიერებლად შემომაქვს ერთი მანეთი (1) და ჩემის მხრით ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: წესის ფ-ტ. დაწესებულებიდან ლადო გომელაურს, ონის ფ-ტ. დაწესებულებიდან არჩილ ჩიკვილაძეს, კოლია ჯაფარიძეს, ილიკო ჩიკვილაძეს, ილიკო ძიძიგურს, ოლია მელიძეს, ეორეიკა ქართველიშვილს, ტრიფონ კერესელიძეს, მიხა იაშვილს, დომენტი მეტრეველს და აქსენტი ბოხუას. ნიკორწმინდის ფ-ტ. სააგენტოდან ნიკოლოზ კანდელაკს. ჭრებალოს ფ-ტ. დაწესებულებიდან იოსებ სურღულაძეს და გრიშა ცხვედიანს. ალპანის ფ-ტ. დაწესებულებიდან ბესო კოპალიანს და კოტე მანჯგალაძეს. მექვენის ფ-ტ. სააგენტოდან მიხა გაგუას. ქუთაისის საოლქო ფ-ტ. კანტორიდან კოლია ჭარბაძეს, მიხა დოლიძეს, ნოე გვეტაძეს, იპოლიტე ქათამაძეს, აქსენტი ნუცუბიძეს, აკაკი ქუთათელაძეს, მარო ტაბატაძეს, ნინა გვარამიას, მარო დოლონაძეს, გრიშა ფაჩუაშვილს, საშა ჰუბაზრიას, ვანიჩკა გაბუნიას, ერასტი მურღულიას, დათიკო თათეიშვილს, დიმიტრი სილაგავას, პეტრე კურცხალიას, გიგო გრიგოლიას, კონსტანტინე გაბისონიას, თეოფილე ჭაკნელიძეს, პროკოფი უკლებას, იოსიკა დოლიძეს, ბიქტორ იობიძეს, პლატონ ოყურეშიძეს, სტეპკო არუთინოვს. მარტვილის ფ-ტ. დაწესებულებიდან შევასტი ხუროძეს.

ნიკოლოზ გეგეჭკორი.

თანახმად ამხ. იასონ ფირცხალავას გამოწვევისა მე შემოვიტანე ხუთი მანეთი თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ასაგებ ფონდის გასაძლიერებლად (იხ. კომუნისტი № 186) და ჩემის მხრივ ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ველევან მჟავანაძეს, გიორგი ლომთათიძეს, პეტრე ჭიჭინაძეს, ივანე ჯინჭარაძეს, ალექსანდრე ბადურაშვილს ზაქარია გოგორაძეს, რემანოზ ცხადაძეს, ვასილ ქურდოვანიძეს, შალვა გვიმრაძეს, ივანე მიგინეიშვილს, ნიკო თუშიშვილს, შალვა ჭუმბურიძეს, სერგო ბაინდუროვს, შალიკო აფხაიძეს, თამარა წულაიას, გიორგი ბუდდანოვს, დათიკო მარიამიძეს, მიშა გოგინაშვილს, გიორგი ბუაძეს, ვარლამ ნარჩემაიშვილს და კალისტრატე ჭანიშვილს.

კოტე თოფაძე.

დღეს შემოსულია 30 მანეთი.

სულ შემოსულია 5493—59 კაპიკი და ერთი ოქროს მაჯის საათი.

წყალთა მეურნეობა

რა უნდა გაკეთდეს 1928 წელში

ა.-კ. წყალთა მეურნეობის სამმართველომ მოსთხოვა საქ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს ცნობები, თუ რა სამუშაოების შესრულება აქვს მას განზრახული მომავალი წლის განმავლობაში. ამასთან ერთად საქ. წყალთა მეურნეობის სამართველომ შეიმუშავა, მომავალ წელში განზრახულ სამუშაოებისათვის საჭირო ხარჯების რაოდენობა.

თანახმად შემუშავებული ანგარიშისა, მომავალი წლის განმავლობაში ჩატარებული იქნება შემდეგი სამუშაოები: **აფხაზეთის წყალთა ოლქში**—მდ. ეოეკვარას ნაპირების გამაგრებისათვის დაიწყება მუშაობა, სამუშაოთა შესასრულებლად საჭიროა — 43.000 მანეთი. იმავე ოლქში ჩატარდება კოდორის მაზრაში ნიაღვრისაგან თავდასაცავი სამუშაოები, რაც დაჯდება 5.000 მანეთი.

სამხ.-ოსეთში — კეხვის სარწყავი არხის გასაყვანად საჭირო იქნება 20.000 მანეთი. აღნიშნული არხით მოირწყება 1.000 დესეტინა მიწა. დაწყებულ იქნება მდ. ლიახვის ნაპირების გამაგრება ქალ. ცხინვალიდან სოფ. ჯავამდე, 5 სოფელში გაყვანილი იქნება სასმელი წყალი და დაიწყება მეწყერთან ბრძოლა. ყველა სამუშაოთა შესასრულებლად საჭირო იქნება—16.000 მანეთი.

ქუთაისის წყ. მეურნეობის ოლქში — დაიწყება ხახულის ჭალების მორწყვა და აჯამეთის სარწყავი არხის გაყვანა. გარდა ამისა, იწარმოებს ლაბანდარის და სუჯუნის ჭაობების ამოშრობა, გვალემბარის და ცაგერის ხევების ნაპირების და მდინარე ცხენისწყლის და რიონის ნაპირების გამაგრება. ყველა სამუშაოებზე დაიხარჯება 237.000 მანეთი. ამავე ოლქში დასრულდება წყალსადენის გაყვანა სოფ. ტოლაში და დაიწყება ულევილას ველის გამოკვლევები მისი მორწყვის მიზნით. აღნიშნულ სამუშაოთათვის საჭირო იქნება დამატებით 19.000 მანეთი.

კახეთის ოლქში — დასრულდება ე. წ. ანდრონიკაშვილების სარწყავი არხი, კარალის ჭაობების დაშრობა, დაიწყება მდ. დურუჯის, თურდოს და კისისხევის ნაპირების გამაგრება და გაყვანილ იქნება 19 წყალსადენი (მარტო თელავის მაზრაში). ყველა სამუშაოთა შესასრულებლად დაიხარჯება 208.000 მანეთი.

გორის წყალთა ოლქში—შესრულებული იქნება შემდეგი სამუშაოები: სკრა-ქარელის სარწყავი სისტემის გამოკვლევები, მდ. დიდი ლიახვის ნაპირების გამაგრება ცხინვალიდან გორამდე, წყალსადენის გაყვანა 18 სოფელში და სოფ. ბეთლემში ახალი სასოფლო წყალსადენის გაყვანა. ყველა სამუშაოები დაჯდება 63.000 მანეთი.

ახალციხის წყალთა ოლქში—დაიწყება მუღარეთის სარწყავი არხის გაყვანა, რითაც მოირწყება 700 დესეტინა მიწა და გაყვანილი იქნება 5 სასოფლო წყალსადენი; ყველა სამუშაოები დაჯდება 76.000 მანეთი.

თბილისის ოლქში—დაიწყება სამუშაოები ვერა - საბურთალოზე 910 დესეტ. მოსარწყავათ, წალკაში ახალი სარწყავი სისტემის გასაყვანათ, არაგვის ნაპირების გამაგრება და სხ. სულ თბილისის წყალთა ოლქში შესრულებულ სამუშაოებისათვის გამოთხოვილია 112.000 მან.

ქრონიკა

15 აგვისტო დასასვენებელი დღეა

შრომის კომისარიატის განმარტებით, 15 აგვისტო, ორშაბათი, დასასვენებელი დღეა.

საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმი

სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმი დაიხურა 1 სექტემბრამდე.

გელათის ქვების ქარხანა

თბილისის აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილება და ქუთაისის სამაზრო აღმასკომი ქუთაისის ახლოს შეუდგენ გელათის ქვების ქარხნის აგებას. ეს ქარხანა დაამზადებს ქუჩების მოსაკირწყლავ კუბიკებს და ძვირფას შენობების ფასადებისათვის საჭირო ქვებს.

შოვის ჰიდრო - ელსადგურის ჩაბარება

გუშინ შოვიდან დაბრუნდა სპეციალური კომისია, რომელსაც დავალებული ჰქონდა ჩაბარებია საკურორტო სამართველოსათვის შოვში სახელმწიფო ელექტრო - ტრესტის მიერ აგებული ჰიდრო-ელსადგური.

კომისიამ მოახდინა სადგურის ნაგებობათა დაწვრილებითი დათვალიერება - შემოწმება და სცნო იგი ტეხნიკურის თვალსაზრისით უდეფექტოთ, სადგური გადაეცა მთავარ საკურორტო სამმართველოს.

ხილის სახმობი ქარხანა

გუშინ, ახალციხეში გაემგზავრა ს. მ. უ. ს. კომისია, რომელსაც დავალებული აქვს ამოირჩიოს მესხეთის რომელიმე რაიონში ხილის სახმობი ქარხნის ასაგები ადგილი.

აღნიშნულმა ქარხანამ ყოველწლიურად უნდა დაამზადოს 10.000 ფუთი ხმელი ხილი.

შემთხვევები

გამსაღებელი პუნქტი

შეცხვართა კოოპერატიულმა ამხანაგობამ „მწყემსმა“ წაღვერში მოაწყო გამსაღებელი პუნქტი.

თბილისის აღმასკომში

◆ **უძრავ ქონებათა სამმართველოს** საექსპლოატაციო ნაწილის გამგეთ დაინიშნა ამხ. ნ. ქარცივაძე.

◆ **დარაბების შეკეთება.** უძრავ ქონებათა სამმართველოს დაევალა შეუდგეს ყველა დარაბების საფუძვლიან შეკეთებას.

◆ **ღუმლების გასაწმენდათ.** კომუნალურმა განყოფილებამ დაამტკიცა ახალი ნიხრი ღუმელების გასაწმენდათ. ნიხრი ძალაში შევა 1 აგვისტოდან.

◆ **საერთო საცხოვრებელი.** თბილისის აღმასკომი ვაკეში შეუდგა დიდი შენობის აგებას, სადაც მოეწყობა მუშფაკების და უმ. სასწავლებლების სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი.

◆ **ახალი ხიდი.** მიმდინარე წელს დაიწყება საბურთალოსა და სადგურის ქუჩის შესაერთებლად ახალი ხიდის აგება მდ. მტკვარზე.

◆ **ხიდის შეკეთება.** კეთილმოწყობის განყოფილება შეუდგა ორთაჭალაში საცალფეხო ხიდის გადაკეთებას.

◆ **ელექტრო ქსელის მასალები.** გერმანიიდან მიღებული იქნა 111 ფუთი ელექტრო-ქსელის მასალები.

ჯანსახკომში

◆ **ფიზიო-ტერაპევტიული ინსტიტუტი,** რომელიც დახურული იყო შეკეთების გამო, მუშაობას განაახლებს 15 აგვისტოდან.

◆ **პოლიკლინიკა.** მანგლისში გაიხსნა პოლიკლინიკა ლაბორატორიით.

◆ **მალარიასთან საბრძოლველად** ჯანსახკომმა მაზრებში დააგზავნა სამალარიო რაზმები.

შრომის კომისარიატში

◆ **შრომის დაცვის ინსპექციამ** დაამთავრა სასოფლო სამეურნეო დარგში შრომის პირობების გამოკვლევა აფხაზეთსა, აჭარისტანში და ახალციხეში.

◆ **დახმარების ახალი ნორმები.** შრომის კომისარიატის სოცდაზღვევის კომიტეტმა მიიღო საკავშირო სოცდაზღვევის საბჭოს მიერ გამომუშავებული სოციალური დახმარების ახალი ნორმები, რომელიც ძალაში შედის 1 სექტემბრიდან.

◆ **პლენუმი.** სოცდაზღვევის სამმართველო 15 სექტემბრისათვის იწვევს სოცდაზღვევის კომიტეტის გაფართოებულ პლენუმს.

◆ **უმუშევარ ქალთათვის** თბილისში დაარსდა ქრა-კერვის სახელოსნო.

◆ **ახალი კოლექტივი.** შრომის ბირჟა შეუდგა უმუშევარ მეჩექმეთა მეორე კოლექტივის მოწყობას.

სხვადასხვა

◆ **თბილისის ქალაქის ბანკმა** ზესტაფონში გახსნა თავისი განყოფილება.

◆ **სასოფლო-სამეურნეო ჟურნალი.** ამ დღეებში გამოვა მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის სასოფლო-სამეურნეო ჟურნალის პირველი ნომერი.

◆ **ამხ. სტალინის სახელობის** ავტო-სახელოსნოს მუშებმა გადასწყვიტეს გადადონ ერთი დღის ხელფასი ახალი ჰაეროპლანის „საქართველოს მელიტონეს“ ასაგებად.

—:—

ხელოვნების ქრონიკა

◆ **კლუბის შეკეთება.** თბილისის აღმასკომმა კომუნალურ განყოფილებას დაავალა შეაკეთოს და გადააკეთოს ავჭალის მუშათა კლუბი.

◆ **სიმფონიური კონცერტი.** დღეს საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კლუბში გაიმართება სიმფონიური კონცერტი საენდიაროვის ხელმძღვანელობით.

◆ **სატირის თეატრი.** მომავალ სეზონიდან განზრახულია თბილისში მოეწყოს რევოლიუციონურ სატირის თეატრი.

◆ **ქართველ მხატვართა გამოფენა.** უკვე გაიხსნა გამოფენა. გამოფენა მოწყობილია „ორიანტი“-ს დიდ დარბაზში.

◆ **სამხატვრო აკადემია** შეუდგა სამზადისს ოქტომბრის ათი წლის თავის დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად.

◆ **ოპერის მომავალ სეზონში** სადებიუტოთ მოწვეულია ახალგაზრდა მომღერალი ცირილაძე.

◆ **ქუთაისის აგიტ-რევოლ. სატირის თეატრი** ამ დღეებში გაემგზავრება საგასტროლოდ საქართველოს კურორტებზე.

დღეს კინოებში

— **მინიონში**—„პროვინციალი“.
— **არფასტოში**—„მაქსიმ მაქსიმეს ძე“.
— **აპოლოში**—„არაბი“.
— **დარბაზში**—„მაქსიმ მაქსიმეს ძე“.
— **ოდეონში**—„ადამიანი კომეტაზე“.
— **პალასში**—„ვუ-ფანგის საიდუმლოება“.
— **ეთერში**—„მაქსიმ მაქსიმეს ძე“.

შემთხვევები

ქურდების შეპყრობა

ქურდები და ჯიბგირები თავის სამოქმედო ასპარეზად უმეტეს შემთხვევაში რკინის გზის სადგურებს ირჩევენ.

უკანასკნელ ხანებში თბილისის სადგურის ფარგლებში გახშირდა სხვადასხვა ნივთების მოპარვა.

საგზ. - სატრანსპორტო სახელმწიფო პოლიტსამართველოს სადგ. თბილისის განყოფილების მიერ მიღებულ ენერგიული ზომებით ამ დღეებში დაპატიმრებულ იქნენ: **მაქსიმე ემეცი,** რომელსაც აღმოუჩნდა 20 კალათი ნაქურდალი საოჯახო ნივთები; გუშინ დააპატიმრეს ვინმე **კუზაიშვილი,** რომელსაც აღმოუჩინეს მთავარ სამასალო საწყობიდან მოპარული სპილენძი. დაპატიმრებულნი არიან აგრეთვე **აშოთ ალოჯანი,** მთავარ საწყობის მუშა **მაღრაძე,** რომელმაც მოიპარა დამარილებულ ტყის შესანახი ხუთი კასრი, „ზაკპოგრუზი“-ს მცველი **ახობაძე,** რომელმაც მოიპარა კალათი ფაიფურის ჭურჭლით, **კიკობიძე,** რომელმაც პროფ. მაჭავარიანს სადგურზე ჯიბიდან ამოაცალა ფული და საბუთები, **ჩოჩია** და **მანგანიანცი.**

ქურდების ამხანაგობა

15 ივლისს კომუნალურ ქუჩაზე № 62 გაქურდულ იქნა მოქ. ტერ-პოღოსოვის ტყავების საკუთებელი სახელოსნო (დაბახანა), საიდანაც წაიღეს 400 მანეთის ტყავეულობა. აღნიშნული ქურდობის გამო, სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა რამოდენიმე საეჭვო პირი, რომლებიც უკვე გამოტყდენ დანაშაულში.

დაბახანა გაუქურდავთ—ტიგრან ბიბლიშოვს, ტუხა ხულდაველოვს და ნიკოლოზ ვართანოვს. გატაცებული ტყავეულობა მათ მიუბარებიათ ვინმე ბეჟა ზალიევისათვის, რომელიც ჩვეულებრივ ინახავდა ნაქურდალ ნივთებს.

ოთხივე ბოროტმოქმედი გადაგზავნილია სპეციანიშნულების იზოლიატორში, ხოლო დაკარგული ტყავები მთლიანად დაუბრუნდა პატრონს.

სოფლის „ბებია“-ს მსხვერპლი

სოფ. მარტყოფში მცხოვრებმა გლეხმა ლორიაშვილმა თავის ცოლის მოსალოგინებლად მოიწვია „ბებია“ ქალი ნინო დიმიტრის ასული კოპლიაშვილი. ქალს გაუძნელდა მშობიარობა, არა ნორმალური პროცესის გამო, რისთვისაც „ბებია“ ქალმა ბავშვს თავი მოსჭრა უბრალო დანით. ქალი გადაიგზავნა საავადმყოფოში. „ბებია“ დააპატიმრეს.

„ფარსუნკას“ აფეთქება

27 ივლისს პოლკის ქუჩა № 7 მოქ. ღარიბოვის სახლში აფეთქდა „ფარსუნკა“ რის დროსაც მძიმედ დაშავდენ შავაშა ღარიბოვა, აშოტ მათუზოვი და ნაყოფა ჩანჩალაშვილი. სამივენი გადაგზავნეს საავადმყოფოში.

რკინის გზეზე

დამატებითი შვებულება

თანახმად ა. კ. რკინის გზის გამგეობის ბრძანებისა, წელს, მუშაობის მავნებლიანობის გამო დამატებითი ორი კვირის შვებულებით ისარგებლებენ შემდეგი კატეგორიის მუშები: ზეინკლები, რომლებიც მუშაობენ დეპოებში ბანდაჟების გადაჭიმვაზე, ნავთსადენის სადგურების ქვაბების მწმენდელ-გამრეცხელები, მერადიატორენი, საქონლის ვაგონების მლებავები და სხვა. გვირაბებში მომუშავეთაგან: დარაჯები, შემკეთებელი მუშები, ნადის თავები, [illegible] მფენი და ქვის მთლელები.

მზადება ოქტომბრის დღესასწაულისა-

ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავის მოახლოების გამო, თბილისის საუბნო კომიტეტი კომპოზიტორ კ. ფოცხვერაშვილის ხელმძღვანელობით აწყობს 200 კაცისაგან შემდგარ მომღერალთა გუნდს.

მსახიობთა კოლექტივი

ა. კ. საგზაო კომიტეტმა შექმნა მსახიობთა კოლექტივი, რომელიც ხაზებზე გამართავს წარმოდგენებს და კონცერტებს.

გზათა გამგეობა კოლექტივს უჩენს დახმარებას იმ მხრივ, რომ მას ანიჭებს მგზავრობის შეღავათიან ტარიფს—25 პროცენტით დაკლებით.

25 წლის ერთგული სამსახურისათვის

ა. წ. 8 ივლისს შესრულდა 25 წელი, რაც ინჟ. **იულიუს გენრიხისძე ოტტო** მუშაობს ა. კ. რკ. გზებზე.

ამ ხნის განმავლობაში, მიუხედავად მძიმე პირობებისა, იგი განუწყვეტლივ და ერთგულად ეწეოდა მუშაობას სარკინიგზო ტრანსპორტის სასარგებლოდ.

ა. - კ. რკინის გზის გამგეობამ გზებზე გამოცემული ბრძანებით გამოუცხადა ინჟ. **ოტტოს** მადლობა, რკინის გზის ტრანსპორტისათვის სასარგებლო მუშაობისათვის.

სასამართლო

„გამოსარჩენი“

რა არის ეს „გამოსარჩენი?“

პატარაობიდანვე მიკვირდა, რომ გავიგონებდი ამ სიტყვას.

ცოტათი თავს რომ მოვესწარ, დავრწმუნდი, რომ ეს სიტყვა ხალხში შემოიტანეს მეფის წუწკმა მოხელეებმა, რომლებიც ხალხს ტყავს აძრობდენ და ქრთამებით და სხვადასხვა სისაძაგლით ისქელებდენ ჯიბეებს.

მაგრამ ჩემს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა ერთხელ, ამას წინად, როცა შვებულებაში ყოფნის დროს სოფლად ჩემმა მეზობელმა „გამოსარჩენზე“ ჩამომიგდო ლაპარაკი.

მე გავბრაზდი, მეწყინა, გაკვირვებული თვალებით შევხედე მეზობელს და ვუთხარი:—თუ კაცი ხარ, მაგას, მეორეხელ ჩემთან ნუ გაიმეორებ მეთქი!..

მეზობელმაც გაკვირვებული თვალებით შემომხედა, მაგრამ ვერაფრის თქმა ვერ მოახერხა და გაჩერდა.

მე განუმარტე, რომ ეს „გამოსარჩენი“ მეფის მოხელეების „საქმე“ იყო და დღევანდელ საბჭოთა სინამდვილეში ამაზე ლაპარაკი შეუძლებელია მეთქი.

თურმე ნუ იტყვით, ჩემი მეზობელი ცამდე მართალი!..

თურმე არის ხალხი, რომელიც „გამოსარჩენით“ აპობს ხელს.

აი ერთი მაგალითი: თბილისის აღმასკომის უძრავ ქონებათა სამმართველოში მსახურობდა მოქ. ვლ. მესხი. მას დავალებული ჰქონდა ამ სამმართველოს განკარგულებაში მყოფ სახლების მობინადრეებისაგან გადასახადების აკრეფა. ამისთვის ღებულობდა ის ჯამაგირს, ამისთვის იყო ის კავშირის წევრი, ამისთვის იყო ის დაზღვეული და სხვა...

მესხმა, ალბად, იცოდა, ძველი რეჟიმის მოხელეების ადათი და არ დაჰკარგა მათი კვალი. გაიჩინა „გამოსარჩენის“ წყარო. აკრეფილ ფულიდან საკმაო თანხას თავისთვის სდებდა და აძლიერებდა „გამოსარჩენის“ ფონდს. ასეთი გზით მან მიიღო „გამოსარჩენი“ 677 მანეთის რაოდენობით.

რა ვუთხრა ჩემს მეზობელს ამის შემდეგ!

ვეტყვი, რომ თუ წინად „გამოსარჩენის“ მოყვარული ხალხი დაუსჯელი რჩებოდა, ეხლა მოქ. ვლ. მესხი პასუხისგებაშია მიცემული და ჯეროვან სასჯელსაც მიიღებს.

საქმე ამ დღეებში გაირჩევა აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში.

გერ.

ფინაგენტი მაღრაძე

მოქ. ლუკა მაღრაძე თბილისის აღმასკომის საფინანსო განყოფილების აგენტი იყო.

მას ევალებოდა გაწერილ გადასახადების აკრეფა მოქალაქეებისაგან. მაგრამ მან ისეთი რამ დაივალა, რაც მისთვის არავის დაუვალებია. სახელდობრ, აკრეფილ თანხიდან „სახარჯო“ ფულის ჯიბეში ჩადება.

1925 წლიდან 1926 წლამდე მან „იხარჯა“ აკრეფილ ფულიდან სისტემატიურად და თბილისის აღმასკომს დააკლო 494 მანეთი.

ეს მან მოახერხა ყალბი ქვითარების შედგენის გზით. გადასახადის შემომტანს აძლევდა სწორ ქვითარს, სადაც მიღებული თანხა სავსებით იყო აღნიშნული, მაგრამ სამავიეროდ მაღრაძეს საფინანსო განყოფილებაში წარსადგენ ქვითარებში შეჰქონდა ნაკლები თანხა, მისი ჭკუით ატყუებდა საფინანსო განყოფილებას!

მაგრამ ეს ყველაფერი გამოაშკარავდა და ფინაგენტი მაღრაძე პასუხისგებაშია მიცემული.

საქმე გაირჩევა ამ დღეებში. **მ.**

ფასების დაკლება შაქარზე

საუბარი ამიერ-კავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისართან—ამხ. ბეკზადიანთან

ჩვენი თანამშრომლის შეკითხვაზე, მოსალოდნელია თუ არა ახლო ხანში ფასების დაკლების კამპანიასთან დაკავშირებით ფასების შემცირება შაქრის პროდუქტებზე, ამიერ-კავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარმა ამხ. **ბეკზადიანმა** განაცხადა:

— 1926-27 წელში საბჭოთა კავშირში გადამუშავებული იყო სულ 60.200.000 მეტრიული ცენტნერი ჭარხალი; წინა წელში კი გადამუშავებული იყო 80.200.000 ცენტნერი. 26-27 წელში სულ დამზადებული იქნა 52.417.300 ფუთი შაქარი.

1927 წელში გლეხების მიერ დათესილი იყო 334.000 დესეტინა ჭარხალი. ე. ი. 37 პროცენტით მეტი, ვიდრე წინა წელში და 12 პროცენტით მეტი, ვიდრე გეგმაში იყო გათვალისწინებული. შაქრის ტრესტის მიერ დათესილ სივრცესთან ერთად ჭარხლის მთელი ნათესები უდრის 462.000 დესეტინას, ე. ი. 112 ათასით მეტი, ვიდრე ეს იყო 1926 წელში; გასულ წელს. როგორც ზევით იყო აღნიშნული. დამზადებული იქნა 52.417.300 ფუთი შაქარი; მიმდინარე წლის გეგმის მიხედვით კი დამზადებული იქნება არა ნაკლებ 55.500.000 ფუთი.

ვიღებთ რა მხედველობაში შაქრის დამზადების ხელსაყრელ პირობებს და შაქრის მრეწველობის რაციონალიზაციას, ჩვენ განზრახული გვაქვს წამოვაყენოთ საკითხი საგასაცემო ფასების შემცირების შესახებ ყველა შაქრის პროდუქტებზე, რაც, რასაკვირველია, გავლენას იქონიებს საცალო ფასებზეც.

კერძოდ, უკვე წამოყენებულია საკითხი შაქრის ფასების შემცირების შესახებ შავი ზღვის სანაპიროების (აფხაზეთი, აჭარისტანი) სანავსადგურო პუნქტებში და დასავლეთ საქართველოში, და ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს საკითხი ჩქარა იქნება გადაწყვეტილი.

სტუდენტთა მიღება

უმაღლეს სასწავლებლებში

საბჭოთა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლელათ განცხადებების მიღება დაიწყება 1-ლ აგვისტოდან და გაგრძელდება 25 აგვისტომდე. განცხადებები უნდა გადაეცეს, ან გადაეგზავნოს ფოსტით დაზღვეული წერილით. ამა თუ იმ უმაღლეს სასწავლებლის მიმღებ კომისიას. 25 აგვისტოს შემდეგ შეტანილი განცხადებები არ განიხილება. განცხადებასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნას შემდეგი საბუთები: 1) წლოვანების შესახებ (შემსვლელი უნდა იყოს არა ნაკლებ 17 წლისა), 2) განათლების, 3) სოციალური მდგომარეობის, 4) სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულების შესახებ და 5) მოწმობა ჯანმრთელობის შესახებ სამკურნალო დაწესებულებიდან აღებული; განცხადებას თან დართული უნდა ქონდეს ორი ფოტოგრაფიული სურათი.

სახელმწიფო უნივერსიტეტში მისაღები გამოცდები უნდა ჩააბარონ: ქართულში (წერითი), რუსულში (ზეპირი), მათემატიკაში, ფიზიკაში და საზოგადოებათ-მეცნიერებაში.

ლენინის სახელობის პოლიტინსტიტუტში:: რუსულში (წერითი), მათემატიკაში, ფიზიკაში და საზოგადოებათ-მეცნიერებაში. გამოცდები დაიწყება 1-ლ სექტემბერს.

სოცდაზღვევის ბიუჯეტი

ამიერ - კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს და ა.-კ. უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ, იმ მიზნით, რომ სოცდაზღვევის ბიუჯეტი უდეფეციტოთ იქნეს შედგენილი, დაადგინა წინადადება მისცეს ამიერ-კავკასიის დამზღვევ ორგანოებს მიიღონ გადამწყვეტი ზომები დაზღვევის ანარიცხების აკრეფის ტემპის გასაძლიერებლად, ანარიცხების აკრეფა უნდა სწარმოებდეს სრული 100 პროცენტით.

რესპუბლიკების სახკომსაბჭოებმა თვალყური უნდა ადევნონ ამ დირექტივის თავის დროზე და სრულიად გატარებას ცხოვრებაში.

ა.-კ. შრომის სახალხო კომისარიატის სოცდაზღვევის მთავარ სამართველოს წინადადება მიეცა არ განიხილოს იმ რესპუბლიკების შუამდგომლობა დოტაციის შესახებ, სადაც დაზღვევის ანარიცხების აკრეფის ტემპი 94,5 პროც. ნაკლებია. პერსონალური პასუხისმგებლობა და ზღვევის ფონდების არაპირდაპირ დანიშნულებაზე ხარჯვისათვის ეკისრება ამიერ-კავკასიის დაზღვევის ორგანოების ხელმძღვანელებს.

დაზღვევის ორგანოების შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველსაყოფად სხდომამ აუცილებლად სცნო დაარსებული იქნეს ა.-კ. სოცდაზღვევის მთავარ სამართველოსთან ერთიანი სარეზერვო კაპიტალი მთელი ამიერ-კავკასიისათვის, რისთვისაც მიმდინარე საბიუჯეტო წელში გამოყოფილი იქნა 500.000 მანეთი.

შრომის ბირჟაში

მუშ-ხელის მოთხოვნილება

დღეს 29 ივლისს შრომის ბირჟა სამუშაოზე იწვევს შემდეგ უმუშევრებს:

საწარმოო კვალიფიციურ მუშათა 1-ლი სექცია. ევა კალანდაძეს, ელენე მელიქიანს, ისიდორე მარჯველოვს, ანასტასია ჩერეპჩენკოს, ქსენია პოპოვას, აშოტ ვაზარილიანს, ანტრამ გასპარიანს, მარიამ არუთინოვს, ელისაბედ კერვალიძეს, მარიამ მაისიანცს, მარიამ მურადოვას, მარიამ კოლოსოვას, ვართანუშ თერთუმანიანცს, რეზამ ხარჩმანუკიანს, სოფიო უხანოვას.

გოწებრივ მუშაკთა მე-2 სექცია: პაატა გუგუშვილს, მიხეილ დარჩიას, ივანე ხერხეულიძეს, გიორგი ჯავახიშვილს, გიორგი გაბაშვილს, მიხეილ შავდიას.

მე-5 სექცია: ალექსი ნაჩხატაშვილს, იოსებ კაზაშვილს, აპეტ კაზარიანს, კარაპეტ კაზარიანს, ვართან ბადოიანს და აკოფ არუთინოვს.

მე-7 სექცია: ელენე ბრაბეცს.

რადიო-გადაცემა

პარასკევი, 29 ივლისი

დღეს საქართველოს პროფსაბჭოსთან არსებული რადიოფსტუდიიდან გადაცემული იქნება:

პიონერთა გაზეთი ქართულ და რუსულ ენებზე (7—7—30).

მუშათა გაზეთი—ქართულ და რუსულ ენებზე (7—30—7—50).

თავდაცვა-ავიაქიმის მოხსენება—„ქიმიური თავდაცვის საშუალება“—რუსულ ენაზე (7—50—8—20).

ტეხნიკური კონსულტაცია (8—20—8—40).

საუბარი რადიო-ტეხნიკაზე—ქართულ ენაზე (8—40—9).

ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია—ქართულ და რუსულ ენებზე (9—9—10).

კონცერტი—(9—10—11).

ოფიციალ. განყოფილება

დადგენილება № 25|101

ამ.-კავ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებულისა საქართველოში

1927 წ. ივნისის 24.

ნედლი და შინამრეწველურ ჩაის ფასების დაწესების და დამამზადებელთა კონტინგენტის განსაზღვრის შესახებ

თანახმად ამ.-კავ. ცაკ-ის მიერ დამტკიცებულ „ამ.კავ. ვაჭრობის სახკომატის დებულების“ მუხ. „გ“-სა და საქართველოს ეკონომიურ საბჭოს 17 ივნისის სხდომის დადგენილებისა (ოქმი № 20).

ამ.-კავ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებული საქართველოში ადგენს:

§ 1.

დაწესებულ იქნეს ნედლ და შინა-მრეწველურ გამხმარ ჩაიზე შემდეგი დასამზადებელი ფასები:

ა) **ნედლი მწვანე ფოთოლი.** 1 ხარ. გირვანქა 18 კაპ.—კილოგრ. 44 კაპ. 11 ხარ.—გირვანქა—13 კაპ.—კილოგრ. 32 კაპ.

ბ) **შინა-მრეწველური გამხმარი ჩაი.** გირვანქა—60 კ. კილოგრამი 1 მან. და 46 კაპ.

§ 2.

საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჩაის დამზადების, გადაწონვის, შეხვევისა და გაყიდვის უფლება აქვს მხოლოდ „საქართველოს ჩაის“, ამ.-კავ. კოოპერატიულ კავშირს და ამ.-კავ. სახელმწიფო ვაჭრობას. ყველა დანარჩენ ორგანიზაციებს და კერძო პირთ ეკრძალება ჩაის დამზადება და გადაწონვა.

§ 3.

ამ.-კავ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის წარმომადგენლებს რესპუბლიკებში, რომელნიც შედიან საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკაში და ყველა ადგილობრივი აღმასკომის შინა-ვაჭრობის კომისიას ევალება ფრთხილად ადევნოს თვალყური ამა დადგენილების ცხოვრებაში გატარებას.

§ 4.

ამა დადგენილების დამრღვევნი პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი თანახმად რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონისა.

§ 5.

დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ამ.-კავ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის მოადგილე: **კაკაბაძე.**
შ.-ვ. მომწესრიგებელი განყ. უ. უფროსი **გერელაშვილი.**
საქმეთა მმართველი: **მგალობლიშვილი.**

პარტიული კალენდარი

დღეს, 29 ივლისს, საღამოს 6 საათზე თბილისის კომიტეტის მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილებაში შესდგება თბილისის კომიტეტის მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილების გამგეობის თათბირი.

დღეს, დილის 12 საათზე სახელმწიფო უნივერსიტეტის 1-ლ აუდიტორიაში შესდგება ტ. ს. უ. არსებული საქ. ახ. ლ. კ. კ. ბიუროს სხდომა, სადაც უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: ვ სულუხია, სალუქვაძე, კომახიძე, საგინაძე. სიმბროვსკი და უჯრედის ტეხნიკური მდივანი.

საქ. კომ. პარ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის არსენალის რაიკომის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება იუწყება, რომ აგიტპროკოლეგიის მორიგი სხდომა დანიშნულია შაბათს 31 ივლისს, დღის 1-ლ საათზე.

ვინ არის წინააღმდეგი?

მე-2-ე ლეგსკოლის კომუჯრედში განცხადება აქვთ შემოტანილი კომუნისტურ პარტიაში შესვლის შესახებ შემდეგ პირებს:

1. სირაძე დავით ლუკას ძე, 2. ამონაშვილი ალექსი თედორეს ძე, 3. ბასილაშვილი კოლა ბრიკოს ძე. 4. ღოღნაძე ნესტორ ვასილის ძე, 5. სანოძე დავით ლეონტის ძე, 6. შანიძე ევტიხი ივანეს ძე, 7. ხმიადაშვილი შალვა მიხეილის ძე, 8. კვაბილავა იასონ პავლეს ძე, 9. გამგონეიშვილი შალვა სამსონის ძე, 10. ბოხუა შალვა ივანეს ძე, 11. ჯიღაური ვანო გიგოლის ძე, 12. ცარელაშვილი დარჩო ზაქარიას ძე, 13. თოლორდავა დარისპან ზოსიმეს ძე. 14. ხარაბაძე დავით მაქსიმეს ძე, 15. გომცაიანც აკოფ ლაზარეს ძე, 16. ჩოგოვაძე სევერიან იუსტინეს ძე.

თუ ვინმეს აქვს რაიმე აღნიშნული ამხანაგების წინააღმდეგ, გვაცნობოს 10 დღის განმავლობაში.

საქართველოს მთავპოლიტგანთან არსებული საბიბლიოთეკო-საბიბლიოგრაფიო კაბინეტი ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, კაბინეტის თავმჯდომარის

დავით გიორგის-ძე კარიჭაშვილის

გარდაცვალებას. 3425

ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების საბჭო მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას საენათმეცნიერო საზოგადოების აქტიური წევრის, საზოგადო მოღვაწისა და ისტორიკოსის

დავით კარიჭაშვილის

გარდაცვალებას. 3430

ანა გიორგის ასული მექანარიშვილისა თავისი შვილებით, სიძეებით, რძლებით, შვილისშვილებით და ნიკოლოზ კარიჭაშვილი შვილებით ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 26 ივლისს, გარდაიცვალა მისი ძვირფასი და დაუვიწყარი ძმა

დავით გიორგის-ძე კარიჭაშვილი

გამოსვენება საკუთარი ბინიდან დღეს, 29 ივლისს, საღამოს ხუთის ნახევარზე. დაკრძალვა დიდუბის პანთეონში. 3429

დავით დავითის-ძე კარიჭაშვილი, ქეთევან კარიჭაშვილი შვილებით, ეკატერინე გულისაშვილისა შვილებით, ელენე კარიჭაშვილი, მამია ხუხუნაიშვილი, ვასილ გულისაშვილი და თამარ მათიკაშვილი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართა და ნაცნობთ მათ უძვირფასეს და უსაყვარლეს მამის პაპის, სიმამრის და მამამთილის

დავით გიორგის-ძე კარიჭაშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, ნაშუადღევის ხუთის ნახევარზე საკუთარ ბინიდან მელიქიშვილის (წყნეთის) ქუჩა № 30. დაკრძალვა დიდუბეში ქართველ მოღვაწეთა პანთეონში. 3429

ღრმად დამწუხრებულნი ძმა ნიკოლოზი; ძმისწულები: ლევანი მეუღლით, ელენე, ნინო, ზინა, ლუსია კარიჭაშვილები და ემა ციცქიშვილისა აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ ძვირფას და დაუვიწყარ ძმის, ბიძის და მამამთილის

დავით გიორგის-ძე კარიჭაშვილის

გარდაცვალებას. 3334

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყება ამავე საზოგადოების დამფუძნებელი წევრის და საზოგადოებისა და საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგის, საზოგადო მოღვაწისა და ისტორიკოსის

დავით კარიჭაშვილის

გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი საკუთარ ბინაზე (მელიქიშვილის, ყოფ. წყნეთის ქ., № 30) ხუთშაბათს, ივლისის 28, საღ. 7 ს. გამოსვენება დიდუბის პანთეონში დასაკრძალავად პარასკევს, ივლისის 29, საღ. ხუთის ნახევარზე. 2—1 3424

მარიამ დავითის ასული ჯავახიშვილისა, სოფიო დავითის ასული კალანდარიშვილისა, თამარა დავითის ასული ვაჩნაძისა, ივანე, ნიკოლოზი, დიმიტრი, პავლე და ალექსანდრე დავითის-ძენი ციციშვილები თავიანთი ოჯახობით გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, თავიანთი ძვირფასი და დაუვიწყარი რძლის

სოფიო იოსების ასულის ციციშვილის

ტრაღიკულათ გარდაცვალებას 25 ივლისს, პანაშვიდი დღეს, ხუთშაბათს, საღამოს 7 საათზე. დასაფლავება ვერის ახალ სასაფლაოზე პარასკევს, 29 ივლისს, საღამოს 5 ნახ. საათზე. გამოსვენება საკუთარ ბინიდან, ანასტასიევის ქუჩა № 21. 3436

უზომო მწუხარებაში მყოფი: ქმარი სიმონი, მამამთილი ნიკოლოზ, დედამთილი მართა, შვილები: ალექსანდრე და ნორა გოგიები; მშობლები: იაკოფი და მაკრინე, ძმები: კოსტა და ვალიკო არველაძები აუწყებენ, ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს მათთვის უძვირფასესის და უსაყვარლეს, მუდამჟამს დაუვიწყარი

ოლიმპიადა იაკობის ასულის გოგიას

უდროოთ გარდაცვალებას,—გამოსვენება მოხდება სოფელ ილორში არგვეთის ქუჩა № 2, დასაფლავება წმინდა გიორგის სასაფლაოზე, სამშაბათს, 26 ივლისს, საღამოს 5 საათზე. 3433

გულდათუთქული და დამწუხრებული მშობლები სალომკა და ვალოდია, პატარა ძამიკო ბესიკო, ბებია კატო, ბაბუა სტეფანე, მამიდა ცუცია, ბიცოლა ბაბილინა და ბიძაშვილი გუგულია აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს, რომ 25 ივლისს, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ, სურამში გარდაიცვალა მათი ოჯახის სიამაყე, სიცოცხლე, ჭკვიანი ოთხი წლის

აჩიკო ვლადიმერის-ძე ჩიმოგიძე

დასაფლავება მოხდება ს. საჭილაოში (სენაკის მაზრა) 31 ივლისს, დღით კვირას, ნაშუადღევის 4 საათზე. 3437

„კომუნისტი“

დიდი პოლიტიკური გაზეთი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის
და
თბილისის კომიტეტის
და
სრულიად საქართ. მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და
მეზღვაურთა ცენტ. აღმასრულებელი კომიტეტის ორგანო

მიიღება ხელის მოწერა წლის ბოლომდე

გაზეთი ეღირება:

მუშა-მოსამსახურეთა, გლეხების, წითელარმიელების, მოწაფეებისა და მასწავლებლებისათვის

1 თვით	1 მან.	4 თვით	3—85
2 „	2 „	5 „	4—80
3 „	2—90	6 „	5—75

დაწესებულებათა, ორგანიზაციებისა და კერძო პირთათვის

1 თვით	1—30	4 თვით	5—00
2 „	2—60	5 „	6—25
3 „	3—80	6 „	7—55

საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეებში

1 თვით	1 მან. 50 კ.
1 წლით	18 მან.

საზღვარ-გარეთ

1 თვით	1 ნახ. დოლ.	6 თვით	8 ნახ. დოლ.
3 „	4 ნახ. „	1 წლით	16 ნახ. „

0—1 0—1

ეთერი
(სახელმწ. ოპერის ბაღში)

დარბაზი
(ბაღში, პლეხანოვ. № 91)

აპოლო
(არტის ბაღში).

0—23 ნ. 13 88

უკანასკნელი სურათი სერიიდან
„ჩვენი დროის გმირი“
„მაქსიმ მაქსიმიჩ“
რეჟ. ვ. გ. ბარსკის დადგმა.
ოპერატორები: ა. პოლიკევიჩი, ვ. პოზნანი.
მთავარ როლებში: ვიშნევსკაია, ობოლენსკი, პროზოროვსკი და სხვ.

პირველად თბილისში მხატვრული კინო-პიესა
აღმოსავლეთის ცხოვრებიდან
მთავარ როლში რამონ ნავარო „არაბი“ საუკეთესო სურათის სკარამუში-ს გმირი
დადგმა ცნობილი რეჟისორის რეკს ინგრამისა.
შენიშ.: ვინც კინოს ბილეთს იყიდის, იგი არტის ბაღში შესასვლელ ფასს არ იხდის და სარგებლობს უფლებით დაესწროს ყველა გასართობებს ბაღში.
ანონსი: მალე „დარბაზ“-ში საუკეთესო სურათი „ბოროტმოქმედების დაღი“.

სააქციონერო საზოგადოება „ტექსტილ-ტორგი“
აცხადებს, რომ ა. წ. 30 ივლისს, დილის 10 საათისათვის დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
რუსთაველის პროსპექტზე № 24 მდებარე მისი ლიკვიდაციაქმნილი მაღაზიის მოძრავი ქონებისა და ინვენტარის გასაყიდათ.
ქონების დათვალიერება შეიძლება მაღაზიაში სამუშაო დროს ა. წ. 29 ივლისს. 3432

პროფესორი
მ. წინამძღვრიშვილი
ილებს ავადმყოფებს
ბორჯომში. 13—1

პროფ. ბ. მ. მუხაძე
დაბრუნდა
და განაახლა ავადმყოფების. მიღება
პლეხანოვის პრ. № 58 13—1

დავკარგე სამხედრო საალრიცხვო წიგნაკი, ცენტრ-პარტსკოლის დამთავრების მოწმობა და საკავშირო კ.პ.ც.კ. არსებულ სამაზრო მუშაკების გადასამზადებელ კურსების დამთავრების მოწმობის ასლი ტერენტი მელიტონის-ძე შარიქაძის სახელზე, ჩ. გ. 3431

დავკარგე პირადობის მოწმობა ბაგრატა ოსკანის-ძე ოგანეზოვის სახელზე, ჩ. გ. 3428

დავკარგე პროფკავშირის წიგნაკი № 97238—ნინა რარუ კალანდაძეს სახელზე, ჩ. გ. 3427

დავკარგე პირადი წიგნაკი № 2, მოსე დარახველიძეს სახელზე, ჩ. გ. 3434

დავკარგე კომკავშირის პირადობის ფურცელი ნიკოლოზ კონსტანტინეს-ძე მეტრეველის სახელზე, ჩ. გ. 3426

დავკარგე პროფკავშირის წიგნაკი № 2597 ევდოკია ზინოვიევის ასული მდივიშვილის სახელზე, ჩ. გ. 3431

დავკარგე პირადობის მოწმობა, სამგზავრო და სასეზონო ბილეთი და სასურსათო მოწმობა გაცემული რკ. გზ. მიერ ევა შერიანცის სახელზე, ჩ. გ. 3438

დავკარგე სამხედრო აღრიცხვის ნუსხა, გაცემული ხობის სამხედრო მაგიდის მიერ ფილუ ბესარიონის-ძე კუტუას სახელზე, ჩ. გ. 3438

დავკარგე ცხენთ საალრიცხვო წიგნაკი, ფორმა № 144, გაცემული დარჩელის სამხედრო მაგიდის გამგის მიერ ნოე სალიას სახელზე, ჩ. გ. 3438

დავკარგე სამხედრო აღრიცხვის ნუსხა მოცემული ხობის სამხედრო მაგიდისაგან ერასტო სოსელიას სახელზე, ჩ. გ. 3438

დავკარგე ხარის მოწმობა № 1820 გაცემული აბედადის თემ-აღმასკომის მიერ ზაქარია ცეკვავას სახელზე, ჩ. გ. 3438

დავკარგე მეტრიკული ამოხაწერი გაცემული გორის მაზრის ჩ. ის. ქვეგანყოფილებიდან შიო სუთიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3438

აღმასკომის სტამბა, კამოს ქ. 6ზ.